

140 / 2  
1984 / 2



ՀԻՆՎՈ



# ՀՈՒՆԵՍԿՈՅԻ

11  
1984

~

# მეგობრობისა და სოლიდარობის ღია ზეიმი



იდეა 1946 წლის, დიადი გამარჯვების შემდგომი პირველი წლის შემოდგომა. ჯერ არ განუღებულყო უშიძმესი დანაკარგებით გამოწვეული ტკივილები, ხალხის-ის იყო ეჩვეოდა მშვიდობიან ცხოვრებას, იწყებდა ომით გაპარტახებული მეურნეობის აღდგენას.

ლონდონში, ალბერტ-პოლის ვეება დარბაზში შეიკრიბნენ ახალგაზრდობის მსოფლიო კონფერენციის დელეგატები. თავი მოიყარეს ომგამოვლილმა ახალგაზრდებმა — აქ იყვნენ ახალგაზრდა საბჭოთა მეომრები, რომლებმაც იხსნეს კაცობრიობა ფაშიზმისაგან, მათ გვერდით — საფრანგეთის წინააღმდეგობის მონაწილენი, იტალიელი ანტიფაშისტები, პოლონელი და იუგოსლავიელი პარტიზანები, სიკვდილის ბანაკების ყოფილი პატიმრები.

„წარსული არ უნდა განმეორდეს!“ — ასეთი იყო შეხვედრის მონაწილეთა საერთო აზრი. მომწოდებლურად უღერდა სიტყბების ხმა — „სიტყვას ვიძლევი, რომ ჩვენი გამარჯვებები, ნათელი გონება, ჭაბუკური ერთუზიაზში შემდგომში აღარასოდეს მოხმარდება ომს! ჩვენ ავაშენებთ ლამაზსა და თავისუფალ სამყაროს!“ ასე დაიწყო თავისი გზა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციამ. და მამინვე გაჩნდა ახალგაზრდობის ფესტივალების ჩატარების იდეა.

37 წელი გავიდა პრალაში გამართული სიტყბების პირველი ზეიმის დღეებიდან და ამ ხნის მანძილზე უძველესმა ლათინურმა სიტყვამ — „ფესტივალი“ ახალი აზრი და სიცოცხლე შეიძინა.

ბუდაპეშტი და ბერლინი, ვარშავა და ბუქარესტი, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი მოსკოვი, ვენა და პელსინკი, სოფია და პავანა მასპინძლობდნენ მსოფლიო ახალგაზრდობის წარგზავნილებს.

ფესტივალი — ეს არის ახალგაზრდობის ბრძოლა მშვიდობისათვის, იმპერიალისტების აგრესიის წინააღმდეგ.

ფესტივალი — ეს არის მშვიდობის საქმისათვის ერთგულების ფიცი, ახალგაზრდობის საბრძოლო პაროლი.

ფესტივალი — ეს არის შეჯიბრებები სიმარჯვეში, გამბედაობასა და ძალაში.

1947 წლის 25 ივლისი — 17 აგვისტო. პრალაში გაიმართა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა I მსოფლიო ფესტივალი.

1949 წ. 14-28 აგვისტო. ბუდაპეშტი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა II მსოფლიო ფესტივალი.

1951 წ. 5-20 აგვისტო. ბერლინმა უმასპინძლა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა III მსოფლიო ფესტივალს.

1953 წ. 2-16 აგვისტო. ბუქარესტში მიმდინარეობდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალი.

1955 წ. 31 ივლისი — 15 აგვისტო. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალი ვარშავაში.

1957 წ. 28 ივლისი — 11 აგვისტო. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი მოსკოვი იქცა ახალგაზრდობის



ფესტივალი თვით სიჭაბუკეა, მისი დიმილი, სიმღერები და მხიარული ცეკვებია. „ფესტივალი, — თქვა პოეტმა-კომუნისტმა ნაზიმ ჰიქმეთმა, — ეს არის მშვიდობისა და სიცოცხლის გამარჯვების სიმღერა, ამ სიმღერას მღერის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობა“.

როული და მფოთიანია დღევანდელი სამყარო. იმპერიალიზმი ცდილობს, შეაჩეროს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა, უკუღმა დაატრილოს ისტორიის ჩარხი. ბურჟუაზიული პროპაგანდა ავრცელებს ხმებს ვითომდა არსებული საბჭოთა მუქარის შესახებ, ცდილობს დათესოს შიში და უნდობლობა.

„ახალგაზრდა თაობა მოითხოვს, — ნათქვამია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის მოწოდებაში, — შეწყდეს ადამიანთა და მატერიალური რესურსების უგუნურად ხარჯვა, რასაც იწვევს სულ უფრო მზარდი შეიარაღება, და მთელი ეს სიკეთე მთლიანად მოხმარდეს კაცობრიობის ისეთი გლობალური პრობლემების გადაჭრას, როგორც არის შიმშილი, სიღატაკე, ელემენტარული განათლების უქონლობა.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII

მსოფლიო ფესტივალი გაიმართება ფაშიზმზე გამარჯვების მე-40 წლისთავზე. იგი მოწვეულია იმ ქვეყანაში, რომლის ხალხმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჰიტლერული ფაშიზმისა და იაპონური მილიტარიზმის განადგურებაში. სხვადასხვა ქვეყნების მილიონობით ანტიფაშისტმა შესწირა სიცოცხლე ჩვენი მომავლისათვის ბრძოლას. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევჩეროთ მილიტარიზმისა და აგრესიის ძალები. ომის წინააღმდეგ ბრძოლა მანამდეა საჭირო, ვიდრე ის არ დაწყებულია!“

საბჭოთა ახალგაზრდობა უკვე შეუდგა მზადებას სიჭაბუკის ამ დიდებული ზეიმისათვის.

ამ მზადებაში თქვენც, ნორჩი ლენინელებიც იტყვი თქვენს სიტყვას. გვჯერა, რომ ეს იქნება კეთილი, გულწრფელი სიტყვები, რომელთაც თქვენი სანაქებო სწავლითა და მონდომებული საქმიანობით დაამტკიცებთ.

საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს ყველა გამარჯვება და შრომისმოყვარეს, შემოქმედებითი კონკურსებისა და დათვალთვლების მონაწილეებს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა წარგზავნის მსოფლიოს სიჭაბუკის XII ზეიმზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის გულში — მოსკოვში გაიმართება.



ბისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის არენად.

ჰენა, 1959 წ. 26 ივლისი — 4 აგვისტო. მიმდინარეობდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII მსოფლიო ფესტივალი.

პელსინჯი, 1962 წ. 28 ივლისი — 6 აგვისტო.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VIII მსოფლიო ფესტივალი.

სოფია, 1968 წ. 28 ივლისი — 6 აგვისტო.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალი.

ბარლინი, 1973 წ. 28 ივლისი — 5 აგვისტო. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა X მსოფლიო ფესტივალი.

ჰავანა, 1978 წ. 28 ივლისი — 5 აგვისტო.


ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალი.

CUBA 78

ქვეყნის სახელს  
სადაც შეიქმნა  
ნიმუში



3. 0. ლენინი  
კრემლში,  
თავის  
კაბინეტში.  
1918  
წლის  
16  
ოქტომბერი.



# ახალი იყო ზვენი ბეჭედი

ა. შოთინი

მთხრობა

ოქტომბრის რევოლუციიდან ცოტა დრო იყო გასული, როცა პუტილოველმა მუშებმა გადაწყვიტეს, თავიანთ საქარხნო სკოლასთან სამხატვრო სტუდია ჩამოეყალიბებინათ. წინათ მუშების ნიჭიერ შვილებს არ ჰქონდათ თავიანთი ტალანტის განვითარების შესაძლებლობა. ახლა კი ამის საშუალება მიეცათ, და გვინდოდა გვესარგებლა. სკოლის პედაგოგ-მუსიკოსს მიხეილ პლოტნიკოვს ვთხოვეთ, დაგვემარებოდა საქმის მოგვარებაში. ისიც ხალისით დაგვთანხმდა. საჭირო იყო სტუდიისათვის გამოგვენახა ცალკე შენობა, რომელიც და სიმებიანი საკრავები გვეშოვა.

რაიონული საბჭოს აღმასკომი რომ დავითანხმეთ, მე და რამდენიმე მუშა, პლოტნიკოვთან ერთად, სახალხო განათლების განყოფილებას მივა-

დექით. იქ ყურადღებით მოგვისმინეს, შემდეგ კი გვითხრეს:

— მოგვწონს თქვენი იდეა, ამხანაგო პუტილოველებო, მაგრამ თავად მოგეხსენებათ, რა მძიმე დღეში ვართ ამჟამად — არც სათბობია, არც პური... თქვენ კი სტუდია გინდათ გახსნათ... ერთ წელიწადს დაცდა მოგიწევთ!

ამ პასუხზე პლოტნიკოვმა ხელები გაშალა: ხომ გაიგონეთ, რა თქვეს, არაფერი გამოდისო.

მაგრამ მე უკან არ დავიხიე:

— სმოლნში წავიდეთ, მიხეილ ალექსანდროვიჩი, ამხანაგ ლენინთან.

იმ დროს სმოლნში ათასნაირი ხალხი ირეოდა: გუბერნიებიდან ჩამოსული გლეხები, ჯარისკაცები, პიტერელი და სხვა მუშები. ყველა რევოლუციის შტაბისკენ მიემუშრებოდა თავ-თავისი გადაუდებელი საქმეების მოსაგვარებლად.

ჩვენც სმოლნში მივედით. ლენინის ოთახს ადვილად მივაგენით. მდივანს მოვასხენეთ, რისთვისაც ვიყავით მისულნი.

მდივანმა მოგვისმინა და გვირჩია, სახალხო განათლების განყოფილებისათვის მიგვემართა.

— უკვე ვიყავით, მაგრამ ვერაფერს გავხდით. მეტად იქ მიმსვლენი აღარა ვართ, — ვუთხარი მე.

ალბათ ხმამაღლა ვლაპარაკობდი. უცებ გვერდითა კარი ყურთამდე გაიღო. ზღუბლთან ამხანაგი ლენინი გამოჩნდა.

— რაო, რაო? — წამოიძახა მან. — პუტილოველები მოხვედით? შემოდით, ამხანაგებო!

მოულოდნელობისაგან, ცოტა არ იყოს, დავიბენით, მაგრამ მაშინვე შევედით კაბინეტში, სადაც სხვებიც იყვნენ.

ვლადიმერ ილიას ძემ, რომელსაც მარცხენა ხელი ჟილეტის უბეში

საქართველოს ალკა მკ-ის ლა.  
3. 0. ლენინის სახელობის  
პრონათა ორბანიანი  
რესპუბლიკური საბჭოს  
ყოველთიერი  
საბავშვო პარალი


**პრონათა**

**11 ნოემბერი 1984**

საქ კა მკ-ის გამომცემლობა



3. 0. ლენინი  
კრემლში,  
თავის  
კაბინეტში.  
1918  
წლის  
16  
ოქტომბერი.



# ახალი იყო ზვენი ბეჭედი

ა. შოთინი

მთხრობა

ოქტომბრის რევოლუციიდან ცოტა დრო იყო გასული, როცა პუტილოველმა მუშებმა გადაწყვიტეს, თავიანთ საქარხნო სკოლასთან სამხატვრო სტუდია ჩამოეყალიბებინათ. წინათ მუშების ნიჭიერ შვილებს არ ჰქონდათ თავიანთი ტალანტის განვითარების შესაძლებლობა. ახლა კი ამის საშუალება მიეცათ, და გვინდოდა გვესარგებლა. სკოლის პედაგოგ-მუსიკოსს მიხეილ პლოტნიკოვს ვთხოვეთ, დაგვემარებოდა საქმის მოგვარებაში. ისიც ხალისით დაგვთანხმდა. საჭირო იყო სტუდიისათვის გამოგვენახა ცალკე შენობა, რომელიც და სიმებიანი საკრავები გვეშოვა.

რაიონული საბჭოს აღმასკომი რომ დავითანხმეთ, მე და რამდენიმე მუშა, პლოტნიკოვთან ერთად, სახალხო განათლების განყოფილებას მივა-

დექით. იქ ყურადღებით მოგვისმინეს, შემდეგ კი გვითხრეს:

— მოგვწონს თქვენი იდეა, ამხანაგო პუტილოველებო, მაგრამ თავად მოგეხსენებათ, რა მძიმე დღეში ვართ ამჟამად — არც სათბობია, არც პური... თქვენ კი სტუდია გინდათ გახსნათ... ერთ წელიწადს დაცდა მოგიწევთ!

ამ პასუხზე პლოტნიკოვმა ხელები გაშალა: ხომ გაიგონეთ, რა თქვეს, არაფერი გამოდისო.

მაგრამ მე უკან არ დავიხიე:

— სმოლნში წავიდეთ, მიხეილ ალექსანდროვიჩ, ამხანაგ ლენინთან.

იმ დროს სმოლნში ათასნაირი ხალხი ირეოდა: გუბერნიებიდან ჩამოსული გლეხები, ჯარისკაცები, პიტერელი და სხვა მუშები. ყველა რევოლუციის შტაბისკენ მიემუშრებოდა თავ-თავისი გადაუდებელი საქმეების მოსაგვარებლად.

ჩვენც სმოლნში მივედით. ლენინის ოთახს ადვილად მივაგენით. მდივანს მოვასხენეთ, რისთვისაც ვიყავით მისულნი.

მდივანმა მოგვისმინა და გვირჩია, სახალხო განათლების განყოფილებისათვის მიგვემართა.

— უკვე ვიყავით, მაგრამ ვერაფერს გავხდით. მეტად იქ მიმსვლენი აღარა ვართ, — ვუთხარი მე.

ალბათ ხმამაღლა ვლაპარაკობდი. უცებ გვერდითა კარი ყურთამდე გაიღო. ზღუბლთან ამხანაგი ლენინი გამოჩნდა.

— რაო, რაო? — წამოიძახა მან. — პუტილოველები მოხვედით? შემოდით, ამხანაგებო!

მოულოდნელობისაგან, ცოტა არ იყოს, დავიბენით, მაგრამ მაშინვე შევედით კაბინეტში, სადაც სხვებიც იყვნენ.

ვლადიმერ ილიას ძემ, რომელსაც მარცხენა ხელი ჟილეტის უბეში

საქართველოს ალკა მკ-ის ლა.  
3. 0. ლენინის სახელობის  
პრონათა ორბანიანი  
რესპუბლიკური საბჭოს  
ყოველთვიური  
საბავშვო ჟურნალი

**ჩვენაჟი**  
11 ნოემბერი 1984

საქ კა მკ-ის გამომცემლობა

ედო, მარჯვენით კი ფანქარი ეჭობა.  
გვეთხა:

## დიდი ოჯახი

— რით შემიძლია გემსახუროთ?  
ვუამბეთ ჩვენი გასაჭირი.

— გესმით, რას თხოულობენ პუტილოველები? — მიუბრუნდა ლენინი ყველას, ვინც მის კაბინეტში იმყოფებოდა. — უნდათ, თავიანთი მშრომელი ინტელიგენცია შექმნან. მათ კი ეუბნებიან, ერთი წელი დაიცადეთო. არავითარი დაცდა, სტუდია უნდა ჩამოყალიბდეს!

ტელეფონის ყურმილი აიღო და სახალხო განათლების განყოფილებას დაუკავშირდა:

— თქვენთან მოვლენ პუტილოველი მუშები. ყველაფერი მიეცით. რაც სჭირდებათ.

ასეთი მიღებით გულშეძრულებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეთ ვლადიმერ ილიას ძეს და გარეთ გამოვედით. ორი დღის შემდეგ სახალხო განათლების განყოფილებას მივაკითხეთ, სადაც უკვე სხვანაირად შეგვხვდნენ. გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. იმ მცირე ხანში ჩვენი სტუდიისათვის რიგის (ამჟამად ოგოროდნიკოვის) პროსპექტზე შეარჩიეს შესანიშნავი ცალკე სახლი მშენიერი ბაღითურთ. პუტილოველებმა ენერგიული მონაწილეობა მიიღეს შენობის შეკეთებაში, მუსიკალური ინსტრუმენტების მიტანაში. ასე ჩაეყარა საფუძველი ქარხნის სამხატვრო სტუდიის ბავშვებისათვის. კარგა ხნის შემდეგ ეს სტუდია ლენინგრადის პირველ სამუსიკო სკოლად გარდაიქმნა.

მე დღემდე არ შემიძლია აუღელვებლად გავიხსენო, რომ კაცობრიობის გენიამ, ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისათვის მძიმე დროს უზარმაზარი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეებით დაკავებულმა, საბავშვო სტუდიის ჩამოსაყალიბებლად მოიცალა.

ასეთი იყო ლენინი.

თარგმანი ს. ბაჩოაშვილი

მაშვრალებს და კმაყოფილებს.  
გულის, თვალის სასიამოდ  
შემოგვეცინა მონატულმა  
მასპინძლების კარმიდამომ.

მათთვის თურმე პაპა შიოს  
წესრიგი აქვს მისეული, —  
ამბობს: შრომის სიყვარულში  
იზრდებიან ღირსეულნი!

ნათურების სიჩაჩაჩხე  
ფოთლებს მწვანე შუქად ატანს,  
ხეივანი მტევნებს უძლებს,  
წელს უმაგრებს ჭიგო ატამს.

დილით გელა ბალ-ბოსტანში  
გამოთონხის, გამომარგლავს,  
თავის დროზე ამყნობს კიდევ,  
კარგად იცის ბიჭმა გასხვლავს.

ყვავილნარის სურნელება  
აივნამდის მოაქვს სიოს...  
მუხლზე უზის ცელქი ცირა  
ტკბილმოუბარ პაპა შიოს.

ღია ბოსლის ეზოს დაგვის,  
ძროხას ნახირს გაადევნებს...  
ცირა ქათმებს დააპურებს,  
ბალიშებსაც გაამუხეებს...

დიასახლისს წრფელ ღიმილში  
სათნობის უკრთის სხივი,  
ქალი მხნე და უმდიდრესი, —  
დედა გახლავთ ხუთი შვილის.

სიბეჯითით, სიხალისით  
და-ძმებს კობაც უბამს მხარსა, —  
პაწაწინა სათლითა რწყავს  
ეზოსპირა ყვავილნარსა!

სულ უფროსი ვანო არის, —  
ჯარში იღებს მხედრულ წრთობას,  
მომდევნონი — გელა, ღია,  
მერე — ცირა, მერე — კობა...


ღიას, ასე... ეს ოჯახი  
შრომით არის კერასავსე.  
სიხარულიც ალაღმითი,  
სამშვიდობო ზეცაც თავზე!

## ოჯახის ველები

სოფლის გადასახედიდან  
სულ თავთუხის ველებია.  
მიწას მარად მადლიანი,  
მკერდი გაუმზევებია.  
მარცვლით სავსე თავთავები  
თითქოს ოქროს ცელებია.  
მოლივლივე ქარვის ფერში  
ვერცხლის ბზინვა შერევიან.  
მწიფე ყანის მზერა მიყვარს,  
გრძნობა მიპყრობს საოცარი,  
ხვავის კალო გაგვიმრავლოს.

პური — წმინდა სალოცავი!  
მუხლს მოუყური მხვენელს და  
მთესველს,  
გულმოუღლე ყანის მომკელს,  
ვინც მამულის ყადრი იცის,  
ვინც მარჩენლად უდგას სოფელს.  
მოსავალი ზღვად მომსკდარა,  
ამ ჭირნახულს — მზე ცხრათვალა...  
მიხარია, ჩემო ბაქარ,  
ბარაქალა,  
ბარაქალა!

მხატვარი ი. რაზმაძე



# სიჭაბუკის განუყრელი თანამგზავრი

...„პატარა უფლისწული“, „ტომ სოიერი“, „სამი მუ-  
შკეტერი“... წიგნზე დათენებული ლამეები, სახელმძღ-  
ვანელოებს შორის მიმალული ეგრეთ წოდებული „მა-  
ტკრული ლიტერატურა“... თუ დედა შემოგისწრებს, ფი-  
ზიკას ჩაუღრმავდები ან ქიმიის სახელმძღვანელოს გა-  
დაშლი, თვალს მიეფარება და... წიგნებს შუა გელო-  
დება ის, „მატკრული“ წიგნი — ამაფორიაქებელი, მი-  
მზიდველი, ბობოქარი ცხოვრებით, ფათერაკებით, თავ-  
გადასავლებით, უჩვეულო ამბებით...

ასეთ წიგნებს რა დალევს, ზოგი ახლაც შენი განუყ-  
რელი მეგობარია, თუმცა, გახსენებას რომ დაიწყებ,  
თურმე არც ისე ბევრი ყოფილა დღემდე, დიდობამდე  
გაუხუნარი შთაბეჭდილებით მოყოლილი წიგნი.

მაგრამ ის ერთი სხვა იყო — უფრო ახლობელი, საო-  
ცარი, თითქმის დაუჯერებელი და მაინც ნამდვილი ამ-  
ბები. იმ წიგნში ჩვენი თანატოლი ან ჩვენზე ცოტათი  
უფროსი პავკა კორჩაგინი იზრდებოდა, იწრთობოდა  
ჩვენს თვალწინ, ჩვენთან ერთად იქცეოდა გმირად,  
ისეთ გმირად, რომელიც შემდეგ, ძალიან დიდი ხნის  
შემდეგაც თვალწინ დაგიდგებოდა სიძნელის ქაშს და  
გაიფიქრებდი — პავკამ რამდენი შესძლო, მე კი... თავს  
შეარცხვინდი უსუსურობისთვის, კორჩაგინის ძალა გა-  
ამაგრებდა, თითქოს შეუძლებელს შეგაძლებინებდა.

მერე გაიგებდი, რომ თავად ოსტროვსკიც, „როგორ  
იწრთობოდა ფოლადის“ ავტორი, ასეთივე იყო, პავკა-  
სნაირი. კორჩაგინის სულის სიმტკიცე, მისი ცეცხლში  
გამოვლილი ცხოვრება — ოსტროვსკის მიერ განვლი-  
ლი გზა იყო. თუმცა თავად მწერალი არ ეთანხმებოდა  
გმირისა და მისი ცხოვრების გაიგივებას, მაგრამ ტყუი-  
ლად როდი იწყებოდა მისდამი მიმართული უამრავი  
წერილი ასე: „პავკა, ძმაო“...

...რვა წლის კოლია ოსტროვსკის მეთაურობით სოფ-  
ლის ყმაწვილებმა ჩაამსხვრიეს პანის კანტორის ფანჯ-  
რის მინები, ცეცხლი წაუკიდეს მემამულის თივასა და  
კარტოფილს...

...თერთმეტი წლისა მასწავლებელ მღვდელთან შეხ-  
ლა-შემოხლის გამო სასწავლებლიდან გარიცხეს —  
საღვთო სჯულს ვერ ჰგუობდა...



ნიკოლოზ ოსტროვსკი

...ჯერ კიდევ მცირეწლოვანი მუშაობდა სადგურის  
ბუფეტში ხელზე მოსამსახურედ, შემის მჭრელად...

...ოქტომბრის რევოლუციამ 14 წლის ოსტროვსკის  
შეპეტოვკაში, ელექტროსადგურზე მოუსწრო, აქ თავ-  
დაპირველად იგი ცეცხლფარეშის შეგირდად მუშაობ-  
და, შემდეგ კი ელექტრომონტიორის თანაშემწედ. ამ  
დროს უკრაინაში გერმანელი ოკუპანტები თარეშობდ-  
ნენ. ჭაბუკი ოსტროვსკი საიდუმლოდ აკრავდა კედლე-  
ბზე ბოლშევიკთა მოწოდებებს...

...15 წლის კომკავშირელი ნ. ოსტროვსკი აქტიურად  
მონაწილეობს სამოქალაქო ომში...

...16 წლისა ცხარე ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა მუცე-  
ლსა და თავში და ორი თვის შემდეგ უკვე ინვალიდი  
გამოვიდა კიევის ერთ-ერთი საავადმყოფოდან...

...18 წლის ოსტროვსკი მუშაობდა შემის გამოსაზიდი  
ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობაზე. მშენე-  
ბლობის დამთავრებისას მას მუცლის ტიფი შეეყარა  
და თანაც მწვავე რევმატიზმით დაავადდა. ერთი წლის  
შემდეგ ხერხემლის ძვლის გაშეშების პროცესი დაეწყო.  
საქიმო კომისია დაბეჯითებით მოითხოვდა მის განთა-  
ვისუფლებას ყოველგვარი სამუშაოსაგან, ის კი ამ  
დროს კონტრრევოლუციონერებს ებრძოდა...

...20 წლის ოსტროვსკი კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს...

...24 წლისამ სრულიად დაკარგა მხედველობა, მაგრამ არასოდეს ჩათვლია თავი მწყობრიდან გამოსულად. „იმარჯვებენ მხოლოდ სულიერად ძლიერნი. ეშმაკმა დალაზვროს ის ადამიანები, რომლებმაც არ იციან სასიხარულო, სასარგებლო და ლამაზი ცხოვრება. ეშმაკმა დალაზვროს მოწუწუნენი და მწიშრები! გაუმარჯოს შემოქმედებს!“ — სწერდა ოსტროვსკი მეუღლეს და, მართლაც, ამიერიდან იგი მწერლობაში აქსოვდა თავის უდიდეს სულიერ ენერგიას.

26 წლის ოსტროვსკი იწყებს მუშაობას წიგნზე „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. მისი კარნახით წერდნენ მეუღლე რაისა ოსტროვსკაია, ახლო ნათესაეები, მეგობრები, მეზობელი გოგონა ვალია ალექსეევა. უსინათლო მწერალი ღამღამობით თავად წერდა ტრანსპარანტიანი მუყაოს მეშვეობით.

ფიზიკურ უძლურებასა, მტანჯველ ტკივილებსა და მხატვრულ სიტყვასთან გაუგონარ ჭიდილში ერთი წლის მანძილზე იწერება წიგნის პირველი ნაწილი.

1934 წელს „მოლოდია გვარდია“ ცალკე წიგნად სცემს „როგორ იწრთობოდა ფოლადს“ და სარეცელს მიჯაჭვული 30 წლის ფოლადივით მტკიცე მწერლის ასევე მტკიცე გმირი პავკა კორჩაგინი ცხოვრებასა და ბრძოლას იწყებს.

„როცა იერიშზე გადავდივართ, გვგონია, თითქოს ჩვენი სამხედრო მწყობრის მარჯვენა ფრთაზე, ხელში თოფ-მომარჯვებული მოდის პავკა კორჩაგინი და ურტყამს საზიზღარ ფაშისტებს ისე, როგორც სამოქალაქო ომის დროს“... დიდი სამამულო ომის ფრონტიდან მოწერილი ეს წერილი, სხვა მრავალთა შორის, ინახება ნიკოლოზ ოსტროვსკის მუზეუმში.

ოლეგ კოშევიკის დედამ წერილი მისწერა ნიკოლოზ ოსტროვსკის დედას. „ოსტროვსკის წიგნი ოლეგისთვის იყო ყველა ძნელად გადასაწყვეტი ამოცანის ერთგვარი ცნობარი, — წერდა ელენე კოშევაია, — საკმარისი იყო რომელიმე ამხანაგს მოეწყინა და ნაღვლიანობა შესტყობოდა, რომ ოლეგი უმაღლეს თაროდან გადმოიღებდა „როგორ იწრთობოდა ფოლადს“ და ყოველთვის პოულობდა ხოლმე შიგ კონკრეტული შემთხვევის ციტატას“...

„ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა, იგი ეძლევა მას მხოლოდ ერთხელ და ეს სიცოცხლე ადამიანმა ისე უნდა გაატაროს, რომ ბოლოს სინანულმა არ დატანჯოს უმიზნოდ გატარებული წლების გამო, რომ სირცხვილით არ დაიწვას სულმდაბლური და წვრილმანით სავსე წარსულის გამო, რომ სიკვდილის პირას შეე-

ძლოს თქვას: მე მთელი სიცოცხლე და ძალ-ღონე შევწირე ქვეყანაზე ყველაზე მშვენიერს — კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლას“.

ეს სიტყვები ამოჭრილია ზოია კოსმოდემიანსკაიას საფლავის დაფაზე. ეს სიტყვები არა მხოლოდ ოსტროვსკის, არამედ მებრძოლი ახალგაზრდობის მთელი თაობის — „კორჩაგინელთა“ თაობის მრწამსად იქცა.

ჩვენს დღეებში ლენინური კომკავშირის სახელობის ალექსანდრე ბონდარის ბრიგადა საუკუნის მშენებლობის — ბამის ერთ-ერთ უბანზე საფუძველს უყრის ქალაქ კორჩაგინს. იშვიათია, ალბათ, შემთხვევა, როცა ქალაქს ლიტერატურული გმირის სახელს უწოდებენ.

თაობათა მემკვიდრეობითობის ურღვევი ჯაჭვი ახალი რგოლებით მტკიცდება...

ოსტროვსკის თხზულებანი საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა ენაზეა თარგმნილი. „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ გამოიცა საზღვარგარეთის 40-ზე მეტ ქვეყანაში.

„...თქვენი სახელი ჩემთვის იშვიათი და უწმიდესი ზნეობრივი მამაცობის სინონიმია... თქვენ მსოფლიოსათვის დარჩებით ბედის მუხანათობაზე სულის გამარჯვების კეთილნაყოფიერ, დიად მაგალითად, თქვენ გახდით ერთი მთლიანი თქვენს განთავისუფლებულ ხალხთან ერთად, თქვენ მასში ხართ, ის თქვენშია“, — წერდა დიდი ფრანგი მწერალი რომენ როლანი.

ოსტროვსკი სიცოცხლეშივე დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, ხოლო ლენინური კომკავშირის პრემიის შემოღებისთანავე ეს პრემია მიენიჭა ამ წიგნს — „როგორ იწრთობოდა ფოლადს“ — კომკავშირელთა თაობის სულიერი წრთობის უკვდავ წიგნს.

ნიკოლოზ ალექსის ძე ოსტროვსკი 1904 წელს დაიბადა უკრაინაში, ყოფილი ვოლინის გუბერნიის სოფელ ვილიაში, სეზონური მუშის ოჯახში.

გარდაიცვალა 1936 წელს, 32 წლისა, სიკვდილ-სიცოცხლესთან ათ წელზე მეტი ხნის ჭიდილის შემდეგ.

ამ შემოდგომაზე ნიკოლოზ ოსტროვსკის 80 წელი შეუსრულდებოდა. მისი პავკა კორჩაგინი 50 წლის წინათ მოევიწყა პირველ მკითხველებს. წავიკითხავთ ამ თარიღებს და უმალ დავივიწყებთ, — ხომ წარმოუდგენელია ხანდაზმული ოსტროვსკი ან ჭარმაგი პავკა!

ისინი ჩვენი სიტაბუკის განუყრელ თანამგზავრებად რჩებიან მუდამ...

**ლაშრა კუტუბიძე,**

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე.





# ქვემოთაშენი

ქვემოთაშენი ლოგო  
მხატვარი ჯემალ ლოლუა  
მ მ თ ს რ ბ ა

უკვე გასაგები იყო ყველაფერი: გიგოლა დაეცა, ფეხი ზორბლის ქვეშ მოჰყვა, ტკივილისაგან გული შეუღონდა, გრძობადაკარგული წყალში ჩავარდა და ისრჩობოდა. წამიც და — გაიგულებოდა. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ ამის დადგენა ახლა რა საშველს იძლევა?.. აწი რაღა უნდა ჰქნან?

დიდი ვაი-ვაგლახით ჩასხდნენ მანქანაში. გიგო ირიბად დაჯდა, ნატკენი ფეხი დასაჯდომზე შემოდო გარდინაგარდმო. იმ სიციფროვეში ძლივს გაიხადა სველი საცვალი, მშრალი სამოსი დიდი კვნესითა და კრუსუნით ჩაიცვა. საიდანღაც ტყაპუჭიც გამოაძვრინა და ზევიდან ის მოიგდო. ბესომ კიდევ, თავისი ტანსათბურა გაიხსენა, ყოველი შემთხვევისათვის რომ ჰქონდა წამოღებული. არც პიონერული პილოტურა დავიწყნია. თუ რამე ჰქონდათ, ჩაიცვეს, რომ არ გაყინულიყვნენ იმ სიცივეში. თავისი სველი შარვალი კი ბესომ ისევ ტორპედოს მიაფინა.

უკვე სავსებით დაღამდა და ერთბაშად კვლავ თქვეში წამოვიდა ციდან. წინ წასვლაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო.

ღელე დიდდებოდა, იჯაგრებოდა, მაგრამ იმედი იყო, ისე არ აზვირთდებოდა, მგზავრებს საფრთხე შექმნოდათ რამე, თუმცა სატვირთო ნახევრად წყალში იყო ჩამჯდარი.

ბესომ მცირე ხნით ჩართო ძრავა და კაბინა დაათბო. ტანსაცმელიც მალე შეუშრა, თავადაც გაიმართა წელში, სიცივისაგან შებოჭილი. მაგრამ სითბოში უფრო ძლიერად იგრძნეს ნერვიულობა და ფიზიკური გადაღლა. აღარაფრის თავი აღარ ჰქონდათ, თვალეები ეხუჭებოდათ და მძიმე ძილი თავის კალთებში ითრევდა ორთავეს.

ძლივს მოასწრო გიგომ ეთქვა, ძრავა ჩართული არ დაგრჩეს, გავიგუდებითო, რომ მკვდარივით ჩაეძინა კიდევ. ბიჭმაც გამორთო მანქანა და საზურგეზე გადაწვა, ფეხები მოკრუნჩხა და რამდენადაც შეეძლო. მოხერხებულად მოეწყო მალე მასაც ჩაეძინა.

რაღაც უცხაურმა, გაგრძელებულმა გრუნუნმა გამოაღვიძა ისინი. უცებ ვერც კი გაერკვნენ, სად იყვნენ და რა ხდებოდა მათ ირგვლივ, მაგრამ როცა გიგომ ანაზღად ფეხი ჩამოიღო ქვევით, ტკივილმა ყველაფერი გაა-

სხენა.  
ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ უკვე ემჩნეოდა ცის ციაგი. ჟინჯღლადა, საშინლად ციოდა. შიშველი ფეხი მთლად გაყინვოდა საცოდავ გესლოს, რომელსაც ახლა არამც თუ გესლეის, კვნესის თავიც აღარა ჰქონდა, საცოდავად მოკუნტულიყო, სახე დამანჯვოდა, თვალეები ჩასცვენოდა, წამოზრდილი წვერი ავადმყოფურ იერს აძლევდა. ბიჭი ხომ სულ დაპატარავებულიყო. თავს დამნაშავედ და უხერხულად გრძობდა. უფროსს შესცქეროდა მორჩილებით, რას იტყვის, როგორ მოვიქცეთო. მზად იყო, გიგოს ყოველი სიტყვა შეესრულებინა, ყველაფერი გაკეთებინა, ოღონდ კი მისთვის ეამებინა რამე.

თბილად, მორიდებით ჰკითხნა:  
— გტკივა, გიგოლ?.. ძალიან გტკივა?.. როგორ გავსი-  
ებო, კაცო!

— ე-ე-ე! — დანანებით ამოიხსრა კაცმა. ბიჭი ვერ მიუხვდა, რას ნიშნავდა ეს: ასე უბრალოდ რომ გაცუდ-  
და, ის ადარდებდა, თუ, საერთოდ, რომ დაუჯერა და დროზე არ გაეცალა აქაურობას. იქნებ ერთიცა და მეორეც?

— ასე რომ მიდევს მალლა, არა მტკივა... აი, ახლა სულაც არ მაწუხებს, ცოტათი მიბჟუის და ეგ არი... რომ გავატოკებ, ისე დამკრავს, ტვინამდე აღის და გონება მიბნელდება... მაინც რა ყოფილა, კაცო, ე ფეხი, ჰა?.. რას ვიფიქრებდი, ეგეთი მტკივნეული თუ იყო...

— ხომ არ შეგვეხვია?  
— კარგი იქნებოდა, მაგრამ რით?

ბიჭი უცებ გამოცოცხლდა. რატომ აქამდე ვერ მოვიფიქრეო, თავს უსაყვედურა. სუფრის ტილო სიგრძეზე გახია და ნახევები ერთმანეთს გადააბა, რომ დაგრძელებულიყო. თავისი ბაღდადიც მოიშველია. მერე არაყიც გაახსენდა. გაჭირვებით ამოათრია ბოთლი გიგოლამ საზურგის უკანიდან. კბილებით ამოაძრო კორპი და არაყი საფეხზე დაასხა. ბესომ ცოტა ნატკენ ადვილზეც გადაავლო და შეეცადა მსუბუქად დაეზილა. გიგო კრუსუნებდა, კვნესოდა, მაგრამ თანაც სიამოვნებდა ეს. ფეხი გათბა, კანი მოლბა, ტკივილიც თითქოს დაუცხრა. კაბინაში შინაურული სუნი დატრიალდა. სიმწარენარევი სიამით რამდენჯერმე ღრმად შეიყნოსა ჰაერი ასე უაზროდ გავაივავლახებულმა მძლოლმა და თითქოს რაღაც წარსულ, შორეულ მოგონებას შესცინაო. ოღნავ შეფარულად გაეღიმა. მერე უმწეოდ ჩაიქნია ხელი და ბოთლს კორპი მაგრად დააცო.

ვიწრო კაბინაში ფეხის შეხვევა არ იყო ადვილი საქმე. ნაჭრის ყოველ შემოხვევაზე სიმწრით კვნესოდა ამოდენა კაცი და ბესოც ვერ მოქმედებდა თამამად. უხვევდა ფეხს ნახევრად გულწასულ გიგოს და წარამარა თვალეებში შესცქეროდა, ძალიან ხომ არ ვატკინეო.

— მგონი, კოჭი უნდა გქონდეს ამოვარდნილი... ეგ არაფერია. მტკივნეულია, თორემ მეც ჩაგიგდებდი... მივძრავ-მოვძრავდი და თავად ჩახტებოდა თავის ფოსოში... ბევრჯერ მინახავს, როგორ აკეთებენ. აი, ის ბიძა, ვისთანაც ვიზრდებოდი, მაგ საქმის ნამდვილი ოსტატი იყო, მთელ სოფელს ის აქიმობდა...

— არა, შენი ჭირიმე, არა!.. ფეხი რომ მიმიძრ-მომიძრა, სულს გავაფრთხო და ეგ არი, — თითქმის სლუკუნებდა გიგო და შიშით მისჩერებოდა ბიჭს, როგორი მოწიწებით ახვევდა ფეხზე ტილოს.

— ცოტა მაგრად კი უნდა შეეკრა, — თავისას გაიძახოდა ეს ძალაუნებური ექიმბაში. — მაშინ ყოველ გატოკებაზე ისე აღარ გეტკინება. გამიგია, მონატეხი არ უნდა იძროდეს, გამყარებული უნდა იყოს. — ცდილობდა, კოჭს ზემოთ მაგრად შეეკრა თასმით ტილო, რომ არ ჩამოცურებულიყო სახვევი, და თან ლაპარაკს განაგრძობდა: — ჩვენთან საექიმოსაც გადიან, მაგრამ მხოლოდ გოგოები... ბიჭები სამხედრო საქმეს ვსწავლობთ. ჩვენც რომ გვასწავლიდნენ საექიმო საქმეს, ურიგო არ იქნებოდა... ვინ იცის, სად და როდის გამოგადგება... აი, ახლა, მაგალითად, კარგი არ იქნება, ყველაფერი მცოდნოდა?!

— შენ მაინც იმდენი იცი, სამ შენისთანა ბიჭსაც ეყოფა, — კვნესით თქვა გიგოლამ.

ბესოს ამ სიტყვებში შემრიგებლური ტონი მოესმა და ცოტათი მოეშვა გულზე. მიხვდა, ავენა გესლო არ უჯავრდებოდა, მას არ აბრალებდა თავის უბედურებას, და ამან ცოტა გაამხნევა. მეტი გულმოდგინებით შემოახვია ფეხზე სახვევი და საიმედოდ გაუკრა. ავადმყოფმა


შეძლო ფეხი ისე გაენძრია, რომ აღარ აყვირებულიყო და ესეც დიდ შეღავათად მიიჩნია. თითქოს ცოტა კრძღვდამიამდაო, თქვა, უგემურად გაიჭყიტა გარეთ და შექცვივნებულივით მოიბუზა.

ბესომ ძრავა აამუშავა და ფარები ჩართო. შუქზე კარგად ჩანდა, როგორი თავგამოდებით ჟინუღლავდა. შუქი ჩააქრო და გარეთ გაიჭვრიტა, თენდება თუ არაო. ცოტა ხანში ძრავაც გააჩერა და უცებ უჩვეულო სიჩუმე დადგა. მყუდროებას მხოლოდ წყლის ჩხრიალი არღვევდა, რომელიც მანქანის ქვემოდან ისმოდა და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს სადღაც ძველ, ჩაბნელებულ, მიტოვებულ წისქვილში არიანო.

ერთმანეთთან საუბარს გაუბროდნენ, რომ ძალაუნებურად თავიანთ გასაჭირზე არ დაეწყით წუწუნი. შეთენდა თუ არა, მოქმედების გეგმის შედგენას შეუდგნენ.

— რა ვქნათ, ბესო? — პირველად გიგომ დაძრა ენა და ბესომაც იგრძნო, უფროსი ამხანაგი მას აკისრებდა ხელმძღვანელის მოვალეობას. ამან სიამაყისა და პასუხისმგებლობის გრძნობა გამოუცოცხლა ბიჭს. ენერგიულად აუკიაფდა თვალები. წამით ჩაფიქრდა და დიდი კაცის სიდინჯით დაიწყო განსჯა:

— ჩვენ რომ აქედან იოლად ვერ გავალწევთ, ცხადია... არადა, ასე ჯდომაც არაფერს გვარგებს... ვინ იცის, მაშ-





ველი როდის მოგვივა... წუხელ რომ არ ჩაველით, შე-  
შინდებოდნენ, მაგრამ ღამით რას გააწყობდნენ? ვთქვათ,  
ამ დილით გამოგზავნიან ორ-სამ ცხენიან კაცს... მაგრამ  
როდის მოაღწევენ? ალბათ ამ საღამოს... ეს — საუკეთე-  
სო შემთხვევაში. ახლა უარესი ვიფიქროთ: ხომ შეიძ-  
ლება, გვიან ჩამოვიდნენ და სოფელში დარჩნენ თავიან-  
თთანო?.. მაშინ ხვალ დილამდე არავინ მოგვიკითხავს.  
მთელი დღე ამბის გაგებას მოუნდება. ღამით ხომ არა-  
ვინ წამოვა საშველად?... ჰოდა, ხვალ საღამომდე აქ ნუ-  
რავის ელოდები... შეიძლება ზეგ დილამდეც კი... ხომ  
ხედავ, როგორი ავდარია...

— მე მგონი, ეგრე უფრო იქნება, — დაემოწმა ბიჭს  
გიგო, — გარაჟში იფიქრებენ, მიიტანა მეურნეობაში თი-  
ვა გესლომ და მანქანა თავის სახლში დააყენაო. მეურ-  
ნეობაში კი არავინ იცის, ვინ საით წავიდა და როდის  
უნდა მოვიდეს. რომ იცოდე, ჩვენი მომკითხავი მართლაც  
ზეგამდე შეიძლება არავინ დარჩეს.

— ამიტომაც ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს თავს, —  
დაასკვნა ბიჭმა, — გადადარებას ვერ დავუცდით...

— მაშ რა ვქნათ? — ცნობისმოყვარეობით ჩააცქერდა  
თვალებში გიგო. — მანქანა ამ გზაზე ვერ ივლის. სანამ  
გრუნტი არ გაშრება, ამაზე ოცნებას ზედმეტი... თანაც  
ამ ფეხით როგორ ვმართო... ისიც მარჯვენა...

— როგორმე უნდა გაიჭირვო და შეძლო... მართალი  
ხარ, გზა ცუდია, მაგრამ სხვა რა შეიძლება გავაკეთოთ?  
უნდა ვსინჯოთ, — გაუბედავად შეათვალა იერა მძლოლი  
ბიჭმა და თითქოს ნიადაგი მოსინჯაო, ისევ გაუმეორა  
შეპარვით: — უეჭველად უნდა წავიდეთ.

გიგომ წარბები შეკრა. უსიამოვნოდ მოიღუშა. არა-  
ფერი უთქვამს, მაგრამ ეტყობოდა, სადავოდ მიაჩნდა წი-  
ნადადება. მისი ღუმილით ისარგებლა ბესომ და თავისი  
აზრის გაღრმავებას შეუდგა:

— როგორმე მივალთ ბორცომდე... შორს არაა... იქ  
ჩვენს ნასახლარში დავბინავდებით. შეშა არ გაგვიჭირ-  
დება, არღვეული იატაკებისა და დამპალი ჭიშკრების მე-  
ტი რაა... შენ იქ დაგტოვებ. მე ქედანას გორის გაღმა  
გავალ. ვიცი, იქ სოფლის კერძო ფარას აბაღახებენ, ცო-  
ტა ქვემოთ ფარეხებიც აქვთ გამართული. ვინმეს ვნახავ,  
ცოტა საჭმელსაც მოვიძევ და ამბავსაც ჩავგზავნი ქვე-  
ვით... რაღა ღმერთი გამიწყრება, საღამოსათვის უკან  
ვერ დავბრუნდე? სულ მოკლეზე ვივლი.

გიგო ეჭვით შეხვდა ამ წინადადებას. იმის გაფიქრე-  
ბაც კი, რომ მართო უნდა დარჩეს მიუვალ მთაში გაციე-  
ბულ ნასახლარებში, თავზარსა სცემდა. მერე ვინ იცის,  
ეს ბიჭი, ამდენს რომ იქადის, შეძლებს კი ყველაფერს?  
მთელი მთა უნდა გადაიაროს, ნახავს იქ მეცხვარეებს?  
დაბრუნდება კი უკან? არ შეეზარება?... იქნებ სულაც  
გაიქცეს!.. მართალია, არ ჰგავს ეგ ასეთ ბიჭს, მაგრამ,  
ბავშვს რომ გაუჭირდება, ვინ იცის, რას იზამს.

უკვე აღარ ესმოდა, რას ელაპარაკებოდა თანამგზავ-  
რი. თანდათან იბოდმებოდა. ჯავრი მოსდიოდა თავის  
თავზეც, ბიჭზეც, სატვირთოზეც, გზაზეც, მდინარეზეც,  
ამინდზედაც და მთელ ქვეყანაზეც...

ერთი ლაზათიანად შეუკურთხა ღმერთს ასეთი ტა-

როსისათვის და გახსნა თავისი წყევლა-კრულვისა და  
უწმაწურობის ყულაბა. ივინა, ილანძლა უმისაძროდ  
მერე უცებ უხეშად მოქაჩა ბავშვს, მარჯვნივ გადმოსვა,  
ღრენით მიუჯდა საჭეს და ძრავა ჩართო. მანქანის დაძე-  
რა მოინდომა, მაგრამ ისეთი ტკივილი იგრძნო ფეხში,  
რომ გული შეუღონდა და თავი დასაკლავი მოხვერივით  
გადააგდო გვერდზე.

ძლივს მოასულიერა ბიჭმა. ფეხი მაღლა შემოუდო,  
გაუსწორა, მოხერხებულად დასვა, შუბლზე სველი ხელი  
გადაუსვა, სახე წვიმის წყლით დაუნამა, და იმანაც გაა-  
ხილა თვალები. ისეთი მორჩილი და საწყალი ჩანდა ახ-  
ლა, იფიქრებდით, მის დღეში ჭიანჭველა რაა, ისიც კი  
არ გაუსრესიაო.

ბესომ ცოტა სული რომ მოითქვა, უსიტყვოდ ჩართო  
ძრავა. რაღაც ქედმაღლურად, ამაყად, თითქოს ნიშნის-  
გებითაც გამოხედა თანამგზავრს, ვითომც ეუბნება, რაკი  
ასე გინდა, ასე იყოსო, და მანქანა სიჩქარეში ჩააგდო.

გაისმა ბორბლების ღრჭიალი და კაბინაში მჯდომთ  
იგრძნეს, რომ დაიძრნენ. გიგომ გაოცებით და შიშით გა-  
მოხედა ბიჭს, მაგრამ იმას სად ჰქონდა ახლა მისი თავი?  
დაძაბული იყურებოდა წინ და მთელი ძალით ჩაფრენო-  
და საჭეს. ძლივს იმორჩილებდა, როცა ოღროჩოღრო ღე-  
ლის ფსკერზე გადიოდა.

ღელეს რომ დააღწიეს თავი და გზაზე გამოვიდნენ,  
უცებ გაადვილდა საქმე. აქედან მაშინვე იწყებოდა აღ-  
მართი. პატარა მძლოლი ფიქრობდა, სატვირთოსათვის  
ინერცია არ დაეკარგა და ამავე დროს სავალად მოსახე-  
რებელ ადგილებს არჩევდა — სადაც მეტ ქვიანს შენი-  
შნავდა ან მტკიცე გრუნტს დაინახავდა, ცდილობდა იქ  
გაეტარებინა მანქანა.

დაქანებულ გზაზე წყალს თავი ვერსად დაემაგრები-  
ნა და, ბედად, გუბურები არსად იყო, ჩამორეცხილი  
ხრეშნარევი მიწა შედარებით იოლად დასაძლევნი აღმო-  
ჩნდა. ორთავემ იცოდა, სადაც ქვანარევი, იქ არა უშავს,  
მძიმედ დატვირთული მანქანა როგორმე გაივლის, მაგ-  
რამ თუ თიხნარი შეხვდათ სადმე, მაშინ კი იკითხე გასა-  
ჭირი!

მანქანა ღრენა-ღრენით ნელ-ნელა მიიწევდა მაღლა.

გიგო გაოცებული და გულაფრენილი მისჩერებოდა  
მთელი სხეულით დაძაბულ, სახეგაქვავებულ ყმაწვილს.  
„აბა, მიდი, მიდი, — ფიქრობდა გუნებაში, — იქნებ გაგ-  
ვიმართლოს! იქნებ როგორმე ავიღმართოთ. შემდეგ  
კი სულ დაღმართია... შეიძლება არ ჩავჯდეთ მოხრეშილ  
გზამდე... მერე სულ ნელ-ნელა ვივლით... ამ ბიჭმა, ეტ-  
ყობა, მანქანა კარგად იცის... მეც აქ არა ვარ?... თვალს  
არ მოვაშორებ... იქნებ როგორმე ქვედა სოფლამდე ჩავი-  
დეთ... მერე ხალხს გავგზავნი... ყველაფერი მოგვარ-  
დება.“

— აღმართი ბევრი აღარ რჩება... სულ ცოტაც... სულ  
ცოტაც და გვეშველება! — გული ამოვარდნამდე ჰქონდა  
ამ ხნის ნაცადსა და გამოცდილ მძლოლს.

მართლაც, ცოტა და, მანქანამ აათავა აღ-  
მართი, წამით თითქოს წელში გასწორდა და  
ახლა ქვევით დაეშვა მძიმე-მძიმედ.

ბიჭმა შევებით ამოისუნთქა, თანატოლის  
ღირსებით გადახედა შოფერს, როგორ მოგ-  
წონსო. იმანაც მოწონებით დაუქნია თავი,  
ცერი აჩვენა, ყოჩაღო, მაგრამ მაშინვე თითი  
მიიტანა ტუჩებთან: ჩუმად ვიყოთ, არაფერი  
ვთქვათ, ჩვენი საქმე არ გავთვალთო.

მანქანა ნელ-ნელა მიდიოდა თავქვე და  
უკან ღრმა კვალს ტოვებდა.

მთაგრეხილს რომ გადაადგენ, ხელმარ-  
ცხნივ, ზემოთ, შენიშნეს: ერთ-ერთი მახლო-  
ბელი გორიდან უზარმაზარი ქანის ნაწილი  
დაცურებულიყო და თითქმის გზამდე ჩამოე-  
ტანა ღორღი და ტალახი. მადლობა ღმერთს,  
გზაზე არ გადმოსულიყო და ღვარცოფს სხვა მიმართუ-  
ლებით ექნა პირი, თორემ მათი მგზავრობა უთუოდ აქ  
შეწყდებოდა.

— ხედავ? — რატომღაც ჩურჩულით იკითხა ბიჭმა, —  
ღვარცოფი წამოსულა... ალბათ მაგის ხმაური იყო, ჩვენ  
რომ გამოგვადვიძა.

გიგომ რაღაც გაურკვეველი შიშითა და მოკრძალებ-  
ებით შეხედა სტიქიის ნამოქმედარს, თითქოს ეშინოდა,  
არ გაჯავრდეს ეს ბუმბერაზი, კიდევ არ დაიძრას და თან  
არ დაგვიტანოსო.

ამ ადგილს რომ გასცდნენ, წვიმამ ხელახლა იმატა.  
რახარუნი აუყენა კაპოტს. კვლავ ასისინდნენ ცაში ცეცხ-  
ლოვანი ენები. შორეული გრუხუნი გაისმა.


— პა, ჩამოიქცეს უნდა ცა თუ რა ამბავია?! — გაჯავ-  
რებით წამოიძახა გიგოლამ და ზედ კენესაც მოაყოლა.  
ნატკენი ფენი დაიზილა სახედამანჭულმა.

ბესომ ცას ახედა და პარპრიზის მინის საწმენდი ქან-  
ქარები ააჩქარა. ახლა ყველაზე საშიში მონაკვეთი იწ-  
ყებოდა. ვიწრო გზა ხევ-ხევ მიიკლავებოდა მდინარის  
პირას. წვიმის ხმაურსა და ძრავის ღუღუნს მდინარის  
თავაშვებული ღრიანცელი ფარავდა. მისი ხმა შიშის მო-  
მგვრელი წინათგრძნობით ავსებდა მანქანაში მსხდომთ  
და ნერვიულ დაძაბულობას აორკეცებდა. უფრო ნელა და  
ფრთხილად მიდიოდნენ.

ბიჭი ერთ მუჭად იქცა. თვალს არ აშორებდა გზას და  
მთელი ძალით ჩაფრენოდა საჭეს. ცდილობდა თანაზო-  
მიერად ევლო. იცოდა, ერთი მოუფიქრებელი დამუხრუ-  
ჭება და ყირამალა გადაეშვებოდნენ მდინარეში.

გიგო ეკლებზე იჯდა. სულ დაფიწყებოდა ფენის ტკი-  
ვილი. ისიც გზას მისჩერებოდა და გუნებაში თავად მარ-  
თავდა სატვირთოს. ხან კმაყოფილებით გაიღიმებდა,  
ხან შიშით დაიძაგრებოდა, ხანაც უკმაყოფილოდ შეკრა-  
ვდა წარბებს. დროდადრო ჩუმი ხმით კარნახობდა პატა-  
რა მძღოლს:

— მარჯვნივ აიდე!.. ფრთხილად, ნუ აუჩქარე!.. ახლა  
ნებაზე მიუშვი!.. მკვეთრად არ მოჭრა მოსახვევში!.. შეა-  
ნელე!..



ბიჭიც, რამდენადაც შეეძლო, შეგი-  
რდის სიმარდით ასრულებდა ბრძანე-  
ბას. მართალია, მასწავლებელმა რამ-  
დენჯერმე შიში ჭამა, მაგრამ საერთოდ  
მანაც კმაყოფილი იყო მოსწავლით.

როგორც იქნა, გასცდნენ ამ ავბედით  
მონაკვეთს. თუმცა არც ახლა ედოთ წინ  
იოლი გზა, მაგრამ იმასთან შედარე-  
ბით, რაც გამოიარეს, ეს უკვე შევებად  
მიიჩნიეს.

სულ ცოტაც და, ქვემოთ ბორცოც  
გამოჩნდა თავისი მიტოვებული ღო-  
ბე-ყორეებით და ჩაქცეული ლავგარდ-  
ნიანი სახლებით. საცოდავად გამოიყურებოდა არუხად  
ჩაუამებული ნასოფლარი. ამ ჯანღში მის უკან ფონზე  
გაწოლილი, გულგაღელი მთაგრეხილი თავისი ამწვა-  
ნებული ქედებით აღარ ჩანდა და ისეთი შთაბეჭდილება  
რჩებოდა, თითქოს ეს ქონხახების გროვა ეულად დარჩე-  
ნილა ცაში გამოკიდებულიო.

მიუხედავად ამისა, ჩვენს მგზავრებს გული სიამით  
შეუთამაშდათ: მალე გზაც გაფართოვდება და დაღმართიც  
აღარ იქნება ასე დაკიდებული. მართალია, დიდი ხანია  
იქ შარავგა არ მოუხრეშავთ, მაგრამ გრუნტი მანაც საი-  
მედოა. ბლანტე ნიადავი არსად არ უნდა იყოს და, თუ  
ნელ-ნელა ივლი, უახლოეს სოფლამდეც მშვიდობიანად  
ჩააღწევ.

მიუახლოვდნენ თუ არა სოფლის გადასახვევს, მიდა-  
მო უცებ გავაკდა და გზა სწორზე გავიდა. აქ კარგა გა-  
ყოლებაზე, ვიდრე სოფლის შემოგარენს არ გასცდები,  
სულ სწორზე უნდა იარო და რამდენიმე კილომეტრის



შემდეგ თუ მოგიწევს თავიკვე დაშვება. თან ნიადაგი თიხანარევი, ისეთი წებოვანი, რომ წვიმაში გაუვალ ფაფად იქცევა ხოლმე. ამაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ არც ერთსა და არც მეორეს და არხეინად მიდიოდნენ, ვიდრე უზარმაზარ ყვითელ გუბურას არ მიადგნენ.

მანქანა შედგა. ბიჭმა უსიამოდ გააქნია თავი, მაგრამ ისე ჩაიღიმა, თითქოს ამბობდა, ასეც ვიცოდით. რატომღაც შვებით ამოისუნთქა, თითქოს კიდევ გაუხარდა საწადელს მიღწეული კაცივით. დაღლილი გადააწვა საზურგეს და თვალები მილულა. გიგო ერთბაშად ვერ გაერკვა, რაში იყო საქმე, რატომ გაჩერდნენ, მაგრამ გზას რომ გახედა და ყოველ ნაბიჯზე გუბუები და ტბორები შენიშნა, გულზე შემოეყარა.

— ეპა!.. — უგემურად შეათვალა იქაურობა. მაშინვე მიხვდა, რაც მოელოდათ, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია. ბესოს გადახედა ირიბად, რას იტყვისო. ბესო ჩაფიქრებული იჯდა. ხმას არ იღებდა. ამიტომაც ისევ მან გამოიტანა გადაწყვეტილება:

— სულ ერთია, აქ ვიდგებით თუ ტლაპოში... რა განსხვავებაა? შემოსაველი გზაც არ არის სადმე... რაღა დაგვრჩენია?.. ბუდი უნდა ვცადოთ!.. შეიძლება გავიდეთ, თქვა და გზა დაზვერა, როგორ აჯობებდა აქ გავლა, საით აეღო გეზი, რომელი მხრიდან გასულიყო, თუ სულაც პირდაპირ ევლო განურჩევლად. რომ ნახა, ყოველგვარი არჩევანი უაზრო იყო, ხელი ჩაიქნია და ბრძანების კილოთი მიმართა ბიჭს: — წადი!.. მერე ვნახოთ!

ბესომ ყოყმანით, მაგრამ უსიტყვოდ დაძრა მანქანა და ატალახებულ შარაზე ალაღბედზე მიუშვა სახედარივით. ერთი პატარა გუბურა მშვიდობიანად გადაიარეს, მეორეც... მესამეს როგორღაც გვერდი აუქციეს, მაგრამ მანქანა თითქოს თანდათან მძიმდებოდა და ნიადაგს ეწებებოდა. ძლივს ბრუნავდა ბორბლები. მალე ბუქსაობა დაიწყო. ჭაპანწყვეტით გადაადგილდნენ მცირე მანძილზე და უცებ უზარმაზარ ჭანჭყობში შეტოპეს. შეტოპეს და დადგნენ კიდევ.

რას არ ეცადნენ განაწამები მძლოლები, მაგრამ მანქანას ძვრა ვერ უყვას.

ბესომ უიმედოდ ჩაიქნია ხელი:

— მოვედით!.. ამის იქით უკვე — ბოდიში, ბატონო!..

მაგრამ უფროსს, გამოცდილ მძლოლს, არ უნდოდა ბედს შერიგებოდა. წუწუნით დაიწყო, ფეხი მაინც არ მტკიოდეს, იქნებ გავმხდარიყავ რამესო, თუმცა დარწმუნებული იყო, ვერაფერსაც ვერ გახდებოდა. ამოდენა ლაფის წინააღმდეგ მანქანა სავსებით უძლური იყო.

გამოთიშეს ძრავა და დაისვენეს. ახლა რაღაც სხვა გზას უნდა დასდგომოდნენ, მაგრამ ბიჭი ვერ ბედავდა თქმას, ისე იყო გაცეცხლებული მისი უფროსი ამხანაგი, რომ მალე ისევ დაიწყო ლანძღვა-გინება. ცასა და ქვეყანას გადასწვდა. გარაჟის გამგე ვანუაც არ დაივიწყა, ჯაჭვები რატომ არ გამომატანა საბურავებისათვისო.

— ამ გვალვაში რას იფიქრებდა? — უნებლიეთ გაეცინა ბესოს. გიგოც მიხვდა თავისი სიტყვების უსაფუძვლობას. მაგრამ რა ექნა, რით მოეხსნა გული?.. იჯდეს

ახლა ნატკენი ფეხით ამ სიცივეში, მშვიერი, გამართლებული, და უცადოს, როდის უშველის ვინმე!

ბესომ თავისი გეგმა შესთავაზა:

— ახლა შედარებით უფრო იოლია ჩვენთვის... როგორმე ჩავიდეთ ნასოფლარში. იქ მე...

— არა, არა!.. — თითქმის ღრიალით შეაწყვეტინა გიგომ, — არსადაც არ წავალ აქედან... თუნდაც მოვკვდე, არ წავალ!

— მაშ რა ვქნათ?

— რა ვქნათ?.. — უცებ გონება გაუნათდა არაერთ საგზო: ო გასაჭირს გადანახად გესლოს. მაგრამ პირდაპირ არ გ; ამჟღავნა სათქმელი, შემოვლით დაიწყო: — მომისმინე ბესო!.. — დაუყვავა ბიჭს, — ეს ჭანჭყობი, ხომ ხედავ, სულ რაღაც ასიოდე მეტრზე თუ იქნება... მერე ისევ თავი; მოგვიწევს წასვლა და თითქმის ქვემო სოფლამდე ვაკე აღარ შეგვხვდება არსად. იმ სოფლამდე სულ ადგილად მივალთ, ძროხა რომ ვნახეთ... მერე კი რაღა დარჩა, თითქმის იქიდანვე ახალმობრეშილი გზაა. რა იქ გავსულვართ, რა სახლში მივსულვართ... ახლა მთავარია, ამ საზიზღარ წუმპეს მოვშორდეთ როგორმე...

— მერე, როგორ მოვშორდეთ? — სმენა გაამახვილა ბიჭმა.

— მომისმინე!.. — მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა მძლოლმა და შეეცადა, რამდენადაც შეეძლო, შთამბეჭდავი გაეხადა თავისი სიტყვები, რომ მეტი ზეგავლენა მოეხდინა ბავშვზე. — აი, ეს ოხერი თივა... ასეთ რამეს ვერც ინატრებს ტალახში ჩამჯდარი შოფერი... საუკეთესო საშუალებაა!.. ახტი ზევით, წინ გადმოყარე კონაკონა, მიასწორ-მოასწორე ტალახში, უკანა ბორბლებსაც ჩაუტენე ცოტა და ასე თანდათან გავალთ... მადლობა ღმერთს, თივა ბლომად გვაქვს... გეუბნები, სუ თავისუფლად გავალთ.

ბიჭს ზაფრანის ფერი დაედო. უგემურად განხედა გზას. ამის გავლას მთელი თივა მოუნდებდა და სოფელში რაღა ჩაიტანოს?.. გიგომ მაშინვე შეატყო, რომ ყოყმანობდა და ამიტომაც იყო, შეეცადა დაწოლა გაეძლიერებინა:

— მთავარია, ამ ოხერტიალ ადგილს გავცდეთ... ჩავიდეთ ერთი მშვიდობით ჩვენებთან, ვინ იცის, ახლა უკვე როგორ სწუხან, რომ აღარ ჩავბრუნდით ამდენ ხანს... პატარა საქმე გგონია ასეთი გზის დაძლევა?.. ამდენი რამის გადატანა?.. ნუ გეშინია, საძრახი აქ არაფერია... გმირებივით კი არ მიგვიღებენ?! ზარზეიმით შეგვხვდებიან... გამარჯვებას მოგვილოცავენ.

— ცარიელი მანქანით დავბრუნდეთ? — ცოტა არ იყოს, რისხვა დაეტყო ხმაში ყმაწვილს. — ამისათვის ავიტანეთ ამდენი გასაჭირი?.. ამისათვის მოიტენე ფეხი? ამისათვის ვყრივართ ასე მშვიერ-მწყურვალნი, რომ ცარიელი მანქანით დავბრუნდეთ? რაღას ამოვდიოდით მაშინ აქ?.. ცარიელი გარაჟშიც მშვენივრად იდგა ეგ შენი სატვირთო.

— საქმემ მოიტანა, ძმაო!.. ჩვენი ბრალი ხომ არ არის? საქმემ როგორც გვიჩვენა, ისე მოვიქცეთ.

— რა გვიჩვენა საქმემ? სილაჩრე? — ანთო ბიჭი და დაუფარავი ზიზლით შეხედა გვერდით მჯდომს.  
ახლა უკვე გიგოსაც მოაწვა სისხლი ყელში და უღებრივ გესლოდ იქცა ისევ. ჩაავლო ბიჭს საყელოში ხელი და თავისკენ მოქაჩა. კბილების კრაჭუნით გამოსცრა ხმადაბლა:

— აბა, ეგეთები არ იყოს, თორემ!.. ისედაც ბევრი დავიჯერე. ამ დამპალი თივისთვის ფეხი გავიფუჭე და ახლა გინდა თავიც გადავაყოლო?.. ადი ახლავე მალლა და გადმოყარე!

ბიჭი დუმდა. არც კი უყურებდა უშნოდ აღრენილ ამხანაგს. ის კი თანდათან უფრო და უფრო ფიცხდებოდა:

— ადი-მეთქი!.. გაიგონე?!

— არ ავალ! — მტკიცედ მოუჭრა ბიჭმა.

— არ ახვალ და მე ვიცი შენი!.. — ჯარიდან ჩამოყოლილი მსხვილბალთიანი ქამარი შემოიხსნა და ცალი ბოლოთი ხელზე დაიხვია. — ისე ავაჭრელებ ამ „დედინაცვლის ენითა“, რომ პატრონმაც ვერ გიცნოს... შენ ჩემი ხასიათი არ იცი!

— არც შენ იცი ჩემი! — უკმეხად შემოეპასუხა ბესო, რომელსაც გარეგნულად წარბიც კი არ შეუხრია მუქარაზე, თუმც შინაგანად საოცარ შიშსა და ძრწოლას განიცდიდა. ქამარს რომ ხედავდა, ჟრუანტელი უვლიდა და უნდოდა თვალი აერიდებინა როგორმე მისთვის, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ასეთმა პასუხმა გიგოლა დააბნია და მიხვდა, პირველი შეტევა მარცხით რომ დამთავრდა. ახლა მეორეზე გადავიდა:

— მაშ არ ახვალ, არა?.. არა და მე ავალ, ცალი ფეხით ავალ!.. სულ თუ არ გადმოვყარე, იმასაც ნახავ! ჯერ კიდევ მაქვს ძალა, ისეც არ წავემხდარვარ!.. — გამოფეთქა კარი, გადგა სალი ფეხი საფეხურზე და წამოდგა, მტკივანი კი მოხრილად დაიჭირა. ხელებით თივაზე გადაჭიმულ თოკს ჩააფრინდა და შეეცადა ძარაზე დატანებულ შვერილზე შემხტარიყო, რომ როგორმე კაპოტზე აბობლებული იქიდან თივას მოქცეოდა თავში. მაგრამ ცალი ფეხით თავი ვერ შეიმაგრა, თოკს ჩამოეკონწიალა ხელებით, თოკი კიდევ დაიჭიმა, დაგრძელდა და წონასწორობა სულ დააკარგვინა გონებიდან გადასულ კაცს. უგერვილოდ შემოპროწიალდა გიგოლა და ტალახში მოადინა ზღართანი. ის კი მოასწრო, ნატყენი ფეხი მალლა დაეჭირა და მიწაზე არ დაეკრა.

— უ-უჰ!.. — ამოიგმინა საცოდავმა. ცალკე ტყვიულმა, ცალკე ცივმა ლაფმა და ერთბაშად გამოცოცხლებულმა სირცხვილის გრძნობამ სახე დაუმანჭა.

ბესო სხარტად გადმოეშვა კაბინიდან. ის იყო, უნდა მივარდნოდა საშველად, რომ გიგოლა აყვირდა:

— არ მომეკარო!.. მოგკლავ, იცოდე!.. აქვე ჩაგაძაღლებ!..

ბიჭი გაოცებული და შეშინებული, თავგზააბნეული გაქვავდა ერთ ადგილზე. გესლო თავისას გაიძახოდა:



მზინა ჩხეიანი

ოუ, ჩეღა

დარდი მახრჩობს, მზე რომ ჩავა,  
 გარს რომ მცირე ჯალაბს ვისვამ —  
 მე, საბრალო შთამომავალს  
 ერთი ლაზი მამლუქისა,  
 ვისი მკლავიც სხვისთვის, გაცვდა  
 და ნაცადი ფარიც, ხმალიც,  
 სამშობლოზე ფიქრში დასცდა  
 ვისაც ოხვრა გულსაკლავი,  
 ვის სწიწკნიდა მწარედ გულთან  
 ეს მარადი ურვის გზები, —  
 „ბუა ღია დო მუმა თუთა“<sup>1</sup>  
 და კოლხეთის მურიცხეფი.<sup>2</sup>  
 ვისთვის გვრჩება,  
 თუ რამ გვრჩება,  
 სად რას ჩაქრნენ ლომგულები!  
 ოუ, ჩეღა,  
 თუთარჩეღა,  
 მოქვითინე ჩონგურები:

1 მზე ღეღა, მამა მთვარე (მეგრ.).  
 2 მურიცხეფი — ვარსკვლავები.

„პირჯვარს იწერ,  
 ვაი, ნანა!  
 გხედავ, ცრემლი გაგშრობია!  
 ბედმა საით წამიყვანა!  
 სამშობლოდან რა შორია!“  
 ის ტკივილი მეც თან მახლავს  
 ვერაფერმა დამავიწყა;  
 ერთხელ მაინც დამანახვა  
 საქართველოს ცა და მიწა!..  
 ეს დარდი მკლავს,  
 მზე რომ ჩავა  
 და გარს მცირე ჯალაბს ვისვამ —  
 მე, საბრალო შთამომავალს  
 ერთი კოლხი მამლუქისა!

ნონას

კიონერთა სასახლის  
 აღსაზრდელთა სახელით

მონვალ,  
 სასახლის კედლები  
 გაიცინებენ უმალ,  
 მონვალ,  
 ხალისით შეგხვდებით  
 მარად სასურველ სტუმარს.

ჭადრაკის ხუთგზის დედოფალს  
 სხვა გაქვს ფასი და წონა,  
 შენი სახელიც გვეყოფა  
 ჩვენ სამაყოფ, ნონა!  
 ნო-ნა! —  
 რა თრთოლვით,  
 სიამით  
 წკრიალებს სულის სიმზე!  
 აქ, ჩვენი თვალით, მზიანი  
 შენი ბავშვობა გიმზერს!  
 წამწამში ცრემლი მოყონავს —  
 როგორც მშობლიურ სახლში  
 ბრუნდები ისევ გოგონა,  
 ბაბთებიანი ბავშვი.  
 გელის პირველი პარტია,  
 მკერდში ფართხალებს ჩიტი,  
 გინდება, რაც გინატრია,  
 დრო კი  
 მიდის და... მიდის!  
 მაგრამ ის ლურჯი ფრინველი  
 აქ დაფრთხილებს ისევ  
 და ავსებს უცხო სიმღერით  
 სასახლის ფერად სიზმრებს.

— ვერ გადამირჩები, იცოდე!.. ილოცე, არ ავდგე,  
 თორემ დაგახრჩობ ნაღდად!.. ის გერჩიოს, შენ მომკლა...  
 აიღე ფიწალი და ჩამკარი ბარემაც!.. სულ ერთია, მოვკვ-  
 დები და აქედან ფეხს არ მოვიცვლი!..

— გიგო!.. კაცო!.. — ხმა გაუტყდა საცოდავ ბიჭს. —  
 რა მოგივიდა, ჰა? რა მოხდა ასეთი?.. ვაჟკაცი არა ხარ?..  
 განა ასეთები მოსვლია ხალხს ფრონტზე?.. კინოში არ  
 გინახავს მაინცა?.. არ გაგივია?

— ვაი, რად არ მოვკვდები, — ტუჩი მოიკვნითა გიგო-  
 ლამ, — ეს ცინგლიანიც რომ ვაჟკაცობაზე მელაპარაკე-  
 ბა!.. შემირცხვეს სიყრმე!.. — თავს ძალა დაატანა და წა-  
 მოხდა ისე, რომ მტკივნეული ფეხი მიწაზე არ დაუდვია,  
 — თუ ავდექი, მე შენ გიჩვენებ, რა ვაჟკაციცა ხარ, შე  
 ლერწმის ლეროვ, შენა!.. დაგჭმუჭნი ქალღღივით, ლაწი-  
 რაკო!

ბიჭმა წყენით შეხედა ლაფში ჩამჯდარ თავის უფროს  
 ამხნავს. იგი სულ ამოთხვრილიყო; ერთიანად დასვე-  
 ლებულს თმები შუბლზე დაწებებოდა, გაუპარსავი სახე  
 ჩაშავებოდა და ისეთი მგლური თვალეებით იცქირებოდა,  
 თითქოს მართლაც შეჭმას უპირებდა ბავშვს. ბესოს ცი-  
 ვად გააჟრჟოლა. აუტანლად უსიამოვნო განცდა დაეუფ-  
 ლა. გულის სიღრმემდე ჩაწვდა წყენა და თავადაც არ  
 იცოდა, რატომ, საყვედურით მიუბრუნდა მქშინავ გი-  
 გოლას:

— გიგოლავ, ვაჟკაცობა ღონეში კი არა, გულშია, გუ-  
 ლში!.. — თქვა და არაქათგამოცლილი ჩამოჯდა კაბინის  
 საფეხურზე. არც წვიმას ეპუებოდა უკვე, არც სიცივესა  
 და ტალახს.

გიგომ ავი თვალი შეავლო ბიჭს. უკვე აღარაფერს  
 უწევდა ანგარიშს, არც ვაჟკაცობას, არც სინდისსა და ნა-  
 მუსს. რაღაც უჩვეულო, თავაწყვეტილ სურვილს აეტა-  
 ცა იგი: როგორმე გასცლოდა აქაურობას, ჩქარა წასუ-  
 ლიყო აქედან, უკან დაეტოვებინა ყოველივე და ყველა-  
 ფერი, რომ ჩამოერეცხა სიზმარივით უეცარი და უცნაუ-  
 რი ამბის მოგონებაც კი. რაღაც გაურკვეველი, მუდარისა  
 თუ მუქარის ხმით მიუბრუნდა ბიჭს:

— უკანასკნელად გეუბნები: ჩამოყარე თივა!.. გაიყვა-  
 ნე აქედან მანქანა, თორემ!..

— არა!.. — ცივად მოუჭრა ბიჭმა და წამოდგა. კაბი-  
 ნაში უნდოდა შესვლა, მაგრამ გიგოს თავაშვებულმა  
 ღრიალმა შეაჩერა:

— არ გაბედო!.. არ ჩაჯდე მანდა!.. მოგკლავ, იცოდე!..  
 ზევით ადი ჩქარა!.. გადმოყარე თივა!.. — ისტერიულად  
 ყვიროდა გესლო და ცდილობდა ცალ ფეხზე წამომდგა-  
 რიყო როგორმე, მაგრამ ვერ ახერხებდა.



მარტოა,  
„კიონაკაბი-  
სამოგლოს“

ლა, მოგონებებზე ლაპარაკი და მსჯელობა რა შუაში იყო.  
მე მაინც ჩემს სიტყვაზე ვდგავარ: ყვარლელ მოწაფეთა ნაამაგარის მნახველსა და მხილველს მარტო ის კი

პირველ ყოვლისა, უმშვენესესი გზაა და რა კარგია, როცა გზის წყისშივე ამდენის გაკეთებას შეიძლებს კაცი.  
ვის, თუ არა მშობლიურ სკოლას.

# »... და დაიწყებს სიყვარულით ფიქვანა გული«

ან: რაგომ არის ასე ძვირფასი პაგარა სასკოლო საგნაო მუარანაო-ბის სიზოცხლით სავსე გაკვეთილები

თეიმურაზ მებრეველი  
მ. გენვიურის ფოტო

ასე ტკბილმა მოგონებამ იცის... მათთვის კი ჯერ, რაღა თქმა უნდა, ძალიან ადრეა მოგონებები. ისინი, ბავშვებო, თქვენსავით სიყმაწვილის უღამაზეს ქვეყანაში სახლობენ და ყოველი დღე ისეთი წარმტაცი ფერებით აქვთ სავსე, დღევანდელი გუშინდელს — ყველაზე მშვენიერი რომ ეგონათ — მალე ავიწყებთ.

მე თქვენ ახლა ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელობის პირველი საშუალო სკოლის ნორჩ მეტყვევებზე, ბუნების მეგობარ ყმაწვილებზე გიამბობთ, ან, უფრო ზუსტად, იმ საქმეზე, რასაც ისინი აკეთებენ.

ოღონდ ნუ აჩქარდებით და ნუ მეტყვიან: ამით დაგეწყო ამბის მოყო-

არ მახარებს, თუ რამდენი რამ შესძლებიათ ამ პატარა მშრომელებს, რამდენი რამ შემატა მათმა მზრუნველმა ხელმა ჩვენს საერთო საქმეს, არამედ უფრო იმაზე ფიქრი მსიამოვნებს, რომ ვისაც სიყმაწვილეშივე შეუძლია ამდენი ნახოს, განიცადოს და შეიცნოს, შეუძლებელია დიდობაში ცხოვრების გზაზე შეუქად არ გაპყვეს ამადლებული, წმინდა, ფაქიზი ადამიანური გრძნობა, რომელსაც, ქვეყანაზე ერთადერთს, შეუძლია გულს სიყვარულით დააწყებინოს ფეთქვა.

ეს — სამშობლოს სიყვარულია! მშობელი ქვეყნის ბუნების, მისი ტყისა და ველის, მისი ყოველი ხისა და ბუჩქის სიყვარული, მათი სიცოცხლისათვის ზრუნვა და სამსახური.


საყვარელ მასწავლებლებს უნდა უმადლოდნენ აქაური ყმაწვილები ყოველივეს, რითაც შეუძლიათ სრულიად კანონიერად იამაყონ?

მე რომ ყვარელში ჩავედი, მთელი სკოლა, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც, კოლმეურნეობის ზვარში იყო გასული. რთვლის დიდი საქმე და დიდი ზეიმი უხმობდა თავისკენ დიდსა თუ მცირეს. დავდიოდი უჩვეულოდ მიყუჩებული სკოლის ნათელ, გაწყრილებულ დერეფნებში და ვფიქრობდი: მართლაც რომ შესანიშნავია, როცა სწავლობ სკოლაში, რომელიც დიდი ილიას სახელს ატარებს და, რაც მთავარია, ამართლებს კიდევ ასეთ პატივს. ყვარლის პირველი საშუალო სკოლის თაოსნობებსა და ტრადიციებს მთელი სა-

- ნორჩი
- მებრეველი
- გულდასმით
- უსმენენ
- ყვარლის
- რაიონის
- საბჭო
- მუარანაო
- უფროსის
- გურამ
- ტურაშვილის,
- მებრევე-
- ალექსანდრა
- ხაჩიაშვილის,
- მასწავლებლის
- ელენე
- ზაზაშვილის
- საუბარს
- ბუნების
- დაცვის
- თაობაზე.







ლაონები. არასოდეს ფაქივლებს, ვერ გავაკეთებ, არ შემოვიღებ. ისედაც თავზე საყრელი მაქვსო. აკი ასეა: დროის ნაკლებობას უფროს წუწუნებს, ვინც ყველაზე ნაკლებ იცის დროის ყადრი და რიგიანად ვერ იყენებს მას.

რესპუბლიკურ კონფერენციაზე, სხვებთან ერთად, ეკა ალექსიშვილი-მაც ისახელა თავი. ამ მეექვსეკლასელი ყოჩაღი გოგონას თემას უბრალოდ და უპრეტენზიოდ კი ერქვა „ჩემი დაკვირვება ვარდზე“, მაგრამ მასში ბუნების, ბიოლოგიის კანონების ისეთი ცოდნა და დამოუკიდებელი კვლევა-ძიების უნარი ჩანდა რომ გამოცდილი, უფროსი ადამიანები კარგა ხანს მსჯელობდნენ თემაში წამოჭრილ საკითხებზე. მეტყველი გახლავთ ის ფაქტიც, რომ სასკოლო სატყეო მეურნეობის წევრებმა, რომელთა შორის მეხუთე-მეათეკლასელი მოსწავლეები არიან, ეკას უყოყმანოდ ანდეს მდივნის საპასუხისმგებლო საქმე, ხოლო ის, რასაც მდივანი ქმნის, — მართალია, საქმიანი ქალაქდებისთვის დამახასიათებელი სიტყვაძუნწობით, მაგრამ მაინც ხელშეისახებად, — პატარა მატრიანე მთელი სასკოლო მეურნეობისა. ამ მატრიანეში წერია, როგორ შეესხა ფრთები ყვარლის პირველ-სკოლელთა შესანიშნავ თაოსნობას,



ბიოლოგიის მასწავლებელმა ნელი ჩიქოვანამ მოსწავლეები ზ. გოგიაშვილის სანაქვავო ბაღს ასტუმრა.

ქართველო იცნობს და აი, ესეც — ნორჩ მეტყვევთა გარჯა და შრომაც — ამ რიგისა და ამ კვალში დგას. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა შარშან, როცა ნორჩმა ყვარლელმა მოსწავლეებმა XXIX რესპუბლიკურ შემოქმედებით კონფერენციაზე თავიანთი მუშაობის შედეგები გააცნეს თანატოლებსა და უფროს მეგობრებს. ქებას და გულთბილ მოლოცვებს ვერ აუდიოდნენ მამუკა ფეიქრიშვილი, ეკა სეფაშვილი, ლალი ბურკიაშვილი, ეკა ალექსიშვილი. უფროსები ამბობდნენ: ეს რა მარჯვე ყმაწვილები ყოფილან, რამდენი რამ უსწავლიათ და გაუკეთებიათო. ერთი კია, კონფერენციაზე გამომსვლელთა შორის გოგონები ჭარბობდნენ, მაგრამ ამის გამო იმას ნუ ვიფიქრებთ, ვითომ ტყისა და ბუნების მოვლა-პატრონობაშიც ასე იყოს და ბიჭები გოგონებს ჩამორჩებოდნენ. ეს ისე, კონფერენციისათვის საჭირო თემების მომზადებაში უფრო მეტად გოგონებმა იგულმოდგინეს, თორემ შრომაში მართო გოგონები რას გახდებოდნენ.


დასაწუნი ყმაწვილი ნორჩ ყვარლელ მეტყვევთა შორის მაინცდამაინც არავინ მეგულეობა, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, კარგი იქნებოდა, რომ ასე საჭირო და სასარგებლო თემე-

ბის დამუშავება-მომზადებაშიც ბიჭებს თავიანთი სასკოლო სატყეოს თავმჯდომარის, მამუკა ფეიქრიშვილისათვის მიეძაძათ.

მამუკა მეათე კლასშია. ალბათ იცით, რა დაძაბული შრომა და მეცადინეობა მართებს მეათეკლასელს. სწავლაში ხომ ბეჯითია და ბეჯითი, მაგრამ მამუკა საზოგადოებრივ დავალებებსაც იმდენს და ისე წარმატებით ართმევს თავს, აღტაცებული



ასკილს პატრუკვლ კრეფან თეა სეფაშვილი და ბიოლოგიის მასწავლებელი.



როცა ნელი მასწავლებელმა, ნელი ჩიქოვანმა, თავისი აღსაზრდელების ჩანაფიქრი გაანდო რაიონის სატყეო მეურნეობისა და ბუნების დაცვის საზოგადოების ხელმძღვანელობას. თავიდან, გულახდილად უნთა ითქვას, უფროსები ერთნაირი ალტაცებითა და ენთუზიაზმით არ შეხვედრიან ამ ამბავს, ეტყობა, შიშობდნენ, ვაითუ ბავშვებს საქმე მარტო გასართობად და თავის მოსაწონებლად უნდოდეთ, ვაითუ ცოტა ხანში ყველაფერს ხელი შეუშვანო. მაგრამ ბევრმა მაშინვე დაუჭირა მხარი მოსწავლეთა წამოწყებას და დაიძრა კიდეც საქმე! ახლა ყველა ხედავს — სასკოლო სატყეომ მოლოდინი სავსებით გაამართლა! რაიონის სატყეო მეურნეობის მუშაკები სტუმარს თუ მასპინძელს სინარულით უჩვენებენ კაკლის, აკაციის, ბროწეულისა და იფნის ნერგებს, რომლებსაც მოსწავლეები უვლიან და ახარებენ. მარტო შარშან სასკოლო სატყეოს წევრებმა ორ ჰე-

ვეე მოუარეს მათ ილიას გორისა და ნეკრესის მიდამოებს.

რალა თქმა უნდა, თავიანთი ნაჯაფი და ნამაგარიც რომ არის, ყმაწვილებს უფრო მეტად შესტკივათ გული ტყეებსა თუ ველ-მინდვრებზე, მთის ფერდობებსა თუ მდინარეებზე. ამიტომაც ასე მძაფრად განიცადეს მათ ის შემთხვევა, ერთხელ ხანძარმა რომ იფეთქა ტყეში. ზამთარში, ახალშელამებულზე, ბევრმა შენიშნა ავისმალუწყებელი კვამლი, მაგრამ მშველელი მაინც არსაით ჩანდა. ისევ ნორჩმა მეტყევეებმა იმარჯვეს, იცოდნენ კიდეც, ვისთვის მიემართათ ასეთ დროს. ხანძრის ამბავი რაიონის სატყეო მეურნეობის მუშაკებს პირველებმა აუწყეს ყვარლის პირველი საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლემ გიორგი ზაუტაშვილმა და მეექვსეკლასელმა ოთარ ბიკოვემა. ყმაწვილები მხოლოდ მაშინ დაწყნარდნენ, როცა მეხანძრეებმა და გამოციდილმა მეტყევეებმა თქვეს — ახლა საშიში აღარაფერიაო. მეორე დღეს სკოლაში ყველა აქებდა ოთარსა და გიორგის, ეს რა მარჯვე და საზრიანი ბიჭები ყოფილანო.

როგორც ყველა კარგმა საქმემ იცის, ბუნების მოვლა-პატრონობამაც ბევრი შესანიშნავი მეგობარი შესძინა სასკოლო სატყეოს წევრებს. უჭირთ თუ ულხინთ, მათ მუდამ გვერდში ეგულებათ გამოციდილი, მრავალისმცოდნე და ყველასაგან დაფასებული ბუნების ისეთი ქომაგები, როგორიც ზინა გოგებაშვილი, მარო მოლაშვილი, ზინა გურასპიშვილი და სხვანი არიან. არაფერი სჯობს მათან ყოფნასა და მათი ნაამბობის მოსმენას, იმის ნახვას, თუ როგორ „კურნავენ“ ისინი ხე-მცენარეებს, როგორ ევლებიან თავს ტყეს თუ მდინარეს, ბალახს თუ ყვავილს.

მარტო ზინა გოგებაშვილის ეზო-კარის ხილვა რად ღირს! ნამდვილ წალკოტად უქცევია აქაურობა ამ სათნო მანდილოსანს. სწორედ ზინა გოგებაშვილთან მეგობრობის მადლია ის, რომ დღეს ყვარლის პირველ სკოლაში შესანიშნავი ცოცხალი კუთხეა მოწყობილი, რის გამოც მოსწავლეებმა ბუნების დაცვის სა-

ზოგადოების დიპლომი დაიმსახურეს. იფურცლება სასკოლო სატყეო მეურნეობის მატთან და იქიდან ერთმანეთზე ლამაზი და შინაარსიანი დღეები შემოგანათებენ:

დღეს გაიმართა „ფრინველთა დღე“...

მიმდინარეობს ბუნების დაცვის კვირეული...

ვაგროვებთ ტყის მცენარეთა ნაცოფს და თესლს...

გაიხსნა გამოფენა „ბუნება და ფანტაზია“...

გამოვიდა ხელნაწერი ყურნალის „დავიცვათ ბუნება“ მორიგი ნომერი...

და პატარა მეტყევე წერს პირველ მოთხრობას. ეს არის მოთხრობა იმაზე, თუ რა ატირებდა ყვარლის „ზღვაში“ პაწია ლიფსიტას...

და პატარა მეტყევე წერს პირველ ლექსს. ეს არის ლექსი იმაზე, თუ რა ამაყად შეეგება აღსასრულს მუხა...

და ეს არის ერთიმეორეზე მშვენიერი მოთხრობა და ლექსი, რომელთა ფასი მარტო ლიტერატურული ღირსებებით ამ შემთხვევაში სრულებითაც არ განიზომება.

აქ მთავარია სასწაული, რომელიც ადამიანს აძლევს ძალას, იხილოს ის, რაც თვალისთვის დაფარულია და რასაც მხოლოდ გულით ხედავენ.

და მხოლოდ მაშინ შეიძლება უთხრა ალაზნანს:

„მდინარევ, ჩემის მშობლიურ მთის ცრემლით შემდგარნო“...

და მხოლოდ მაშინ შეიძლება გაედლო მამულს:

„აყვავებულა მდელო, აყვავებულან მთები...“

და მხოლოდ მაშინ შეიძლება ირწმუნო, რომ ბუნების და მშობელი ქვეყნის სიყვარული განუყრელია; რომ დასაბამი და დასასრული არ აქვს ამ გრძნობას; რომ ამ ფიქრებმა ათქმევინა ჰაბუკ ილიას:

„კვლავ ვაგიღიებთ შორ ქვეყნიდან თქვენ ჩემი ხული“

და დაწივებცა სიყვარულით ფეჭავსა გული“.

აი, რით არის ასე ძვირფასი პატარა სასკოლო სატყეო მეურნეობის სიცოცხლით სავსე გაკვეთილები.



მამუკა შვიკარიშვილი

ქტარზე ბროწეულის, ხოლო ერთ ჰექტარზე კაკლის ნერგები გააშენეს. ამ გაზაფხულზე კი ყმაწვილები სატყეო მეურნეობას აკაციის სანერგის მოწყობაში მიეხმარნენ. ახლაც ხშირად ნახავთ მათ აქ გასამარგლავად მოსულებს.

ბუნების ნორჩი მეგობრები ერთგულად ამოუდგნენ მხარში უფროსებს მაშინაც, როცა ყვარლის „ზღვის“ — ჩალის ტბის შემოგარენში ტყის მასივები ნაკაფებისა და ნარჩენებისაგან გაათავისუფლეს. ას-



საქართველო  
საბჭოთა კავშირი

მხატვარი  
ე.ლ. ანგოლაძე

# ცარცით მახატული კარი

ვლადიმერ  
ასლაგანიძე

ქალაქი, სადაც მე ვცხოვრობ, პატარაა, ისეთი პატარაა, რომ ბავშვებს ერთი საშუალო სკოლა გვეყოფნის.

ქალაქი მთაზეა გაშენებული და ალაზნის ველს გადასცქერის. თავისი ლამაზი მდებარეობით, აქა-იქ შემორჩენილი წითელკრამიტის სახლებით, უზარმაზარი ქვის გალავნით, ბურჯებითა და სამრეკლოებით მრავალ სტუმარს იზიდავს. ტურისტებიც მოდიან მწიფე შვინდისფერი „იკარუსებით“. სიამოვნებით უყურებენ კირითა და ქვით ნაშენ გალავანსა თუ ბურჯებს, სამრეკლოებს, დადიან ვიწრო, ნაირ-ნაირი აივნებით დამშვენებულ ქუჩებში და გასცქერიან ხან მზით გაბრწყინებულ, ხან ჯანღით ზღვასავით სავსე ალაზნის ველს. თვალი ველარ მოუწყვეტიან შორს ბოლქვა-ბოლქვა ღრუბლებში თავშერგული კავკასიონის თოვლიანი მწვერვალებისათვის და აღტაცებას ვერ მალავენ. ჩვენ კი, ბავშვები, მალულად ვუთვალთვალებთ სტუმრებს და გვეამაყება, რომ ამ ქალაქის მკვიდრნი ვართ.

წარსულის ნაშთი, აგურით ნაგები, სამ-ოთხსართულიანი სახლის სიმაღლე სამრეკლო ჩვენი ქალაქის გალავნით შემოღობილ მოედანზე დგას. იქვე ახლოს დიდებული ტაძარიც ყოფილა აღმართული, მაგრამ სამასი წლის წინათ მიწისძვრას დაუნგრევია. ეტყობა, აღარავის უფიქრია მის აღდგენაზე და მთლად გაპარტახებულა.

სამრეკლო უზაროა, მის ფარღალა-ლა გუმბათზე ზამთარ-ზაფხულ მტრედები ბუდობენ, გაზაფხულობით მათ ნამგალები და შროშანებიც ემატებიან და არიან ერთ ამბავში.

პირველ სართულს ერთი მხრიდან ანჯამებმორყეული, ბოქლომდადებული ხის კარი აქვს დატანებული. დანარჩენი სამი მხრიდან წითელი აგურით გამოყვანილი ჯვრიანი, უსარკმლო ყრუ კედლებია. როცა ბიჭები ფეხბურთის თამაშს ვაპირებთ,

სამრეკლოსთან ვგროვდებით. იქ ჩვენი ჭკუით მოწყობილი სტადიონია. სამრეკლოს ერთ კედელს ცარცით კარი მივანატეთ. ვავიყოფით ხოლმე ორ გუნდად, რომელიმე ჩვენგანი კედელთან დგება და ვმართავთ ცალ კარში თამაშს. გატანილ გოლად ის ბურთი ითვლება, რომელიც ცარცით შემოხაზულის შიგნით მოხვდება.

კედელზე დახატული კარი სათამაშოდ უფრო მაშინ არის კარგი, როცა მარტო ხარ და სხვები არ ჩანან. მე-კარე საჭირო არც არის. ბურთს კედელი უკანვე გიბრუნებს და იმდენი რბენა არ გიხდება, როგორც ეს ნამდვილ ღია კარში თამაშის დროს ხდება.

სამრეკლოს მოედანზე ბევრჯერ მითამაშია ბურთი მარტოს.

წინა კვირას, ვისაუზმე თუ არა, ჩემი კოპლებიანი ბურთით სამრეკლოსაკენ გავწიე. დათქმულ დროზე ადრე მომივიდა მისვლა. ბიჭები არ ჩანდნენ, ვიდრე მოვიდოდნენ, თერთმეტმეტრიანებს ვურტყამდი კედელს.

კარგა ხანს გამიგრძელდა თამაში. ბურთის აქეთ-იქით დევნაში დამცხა და დავიღალე კიდევ. ჩამოსაჯდომად სამრეკლოდან მოშორებით, ქვით-კირის გალავანთან ჩარიგებული საფლავის ქვებისაკენ გავემართე — ბიჭები იქ ვისვენებთ ხოლმე.

ჩემს ამოჩემებულ ქვაზე ვიღაც ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი, შავსათვალისანი, უქულო, ჭალარა კაცი იჯდა. გვერდით წაბლისფერი ტყავის ჩანთა ედო. ოდნავ წინ წასრილი, მარცხენა ხელის იდაყვით მუხლს დაყრდნობოდა, მარჯვენა ძირს დაეშვა და თითებში სიგარეტი ეჭირა. ვხედავ, მე მიყურებს.

„საიდან გაჩნდა, რატომ ადრე ვერ შევნიშნე?“ — ვავიფიქრე. თვალი ავარიდე და ბურთი ფეხით თავზე ავიგდე, შუბლით გვერდზე ვისროლე

გადამენაცვლა.

— მოდი, აქ ჩამოჯექი, ადგილი შენც გეყოფა, — თქვა იმ კაცმა. ჩანთა აიღო და ფეხებთან დაიდგა.

ბურთი ისევ ფეხით შევისროლე მალლა, ხელით დავიჭირე და მივედი, მივესალმე.

— გაგიმარჯოს, — ხელი ჩამომართვა.

ჩამოვჯექი, ბურთი ფეხებშუა მოვიქციე.

იმან ბურთს დახედა.

— კოპლებიანია? სად იშოვე?

— დაბადების დღეზე მამამ ჩამომიტანა თბილისიდან.

შავსათვალისანი თავი სამრეკლოსკენ გაიქნია.

— სულ მარტო თამაშობ?

— არა, დღეს ადრე მომივიდა მისვლა. ისე, ბევრნი ვიკრიბებით ხოლმე!

— ცალ გოლს თამაშობთ?

— დიას, როგორ მიხვდით?

— კედელზე ცარცით კარი რომ მიგისატავთ, მაგით მიხვდით.


— ნამდვილ კარს ძელები უნდა, ამიტომ მივანატეთ კედელს.


— მართალია. თბილისში, ჩვენს უბანში, ყმაწვილობისას მეც მითამაშია კედელზე მიხატულ კართან. ზუსტი დარტყმების შესასწავლად კარგია, ან როცა მარტო ხარ და არავინ გყავს, რომ ეთამაშო. კედელი ბურთს შენკენ აბრუნებს, არა? — უცხო კაცმა სათვალე მოიხსნა, სიგარეტიანი ხელის ნეკა თითი მიწაზე მოუსვა და ისევ გაიკეთა.

— ჰო, თითქოს ვიღაც უკანვე გაწვდის. — დაუდასტურე.

— დიას, თითქოს ვიღაც გაწვდის. ეს კარგია, მაგრამ სამრეკლოს კედელზე ცარცით კარი რომ დაგიხატავთ და რაც ძალი და ღონე გაქვთ, ბურთს ურტყამთ, ეგ კი ცუდია, — ბოლო სიტყვები რომ თქვა, კაცმა კეთილად გაიღიმა და მხარზე ხელი დამარტყა.

გამიკვირდა: რა არის აქ ცუდი?





შურნალ „კომუნის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე მოთხრობას „ტარციოტ ღახატული პარი“ და „პაჟმა პანილვიძა“ მისამ პრემია მიანიჭათ.

— ვერ მიმიხვდი, არა? გეტყვი. — უცნობმა სიგარეტიანი ხელი სამრეკლოსკენ გაიშვირა და განაგრძო: — აი, ის, თქვენს ქალაქს რომ ამშვენებს, წარსულის ძეგლია. მე როგორც ვიცი, თამარის მეფობის დროს არის აგებული და ბევრი ჭირ-ვარამის მომსწრეა. ვინ მოთვლის, რამდენ ქარცეცხლსა და ახრებებს გაუძლო. კედელი კი არა, მაგისი თითო აგური ოქროდ ფასობს, ძვირფასი განძია, ამიტომ გაფრთხილება უნდა. თქვენ კი ზედ ცარციოთ კარი დაგინათავთ. და... ხვალ სხვა მიახატავს რაღაცას. მგონი, არც ბურთის ცემა დააყრის ხერის, კედელს არ დაამტვრევს, მაგრამ აგურსა და ბათქაშს დაუზიანებს, სილაზათეს დაუკარგავს.

რაზეც ის კაცი ლაპარაკობდა, ამაზე არასოდეს მიფიქრია. შემრცხვა, დამნაშავედ ვგრძნობდი თავს და თვალები გვერდზე გამიბოლოდა, შავსათვალისანიისთვის მზერა ველარ გამესწორებინა. ის კი განაგრძობდა:

— ამისთანა სამრეკლოები, კომკები, ციხეები და გალანები იცავდნენ ადამიანებს მომხდური მტრებისაგან. ხელი ეცარებოდათ ქალებისა და ბავშვების გამტაცებლებს. მე ერთი ლეგენდა ვიცი, როგორ გაექცათ პატარა ბიჭი ლეკებს და, იღბლად, გზაზე კომკი რომ არ შეხვედროდა...

კაცმა სიგარეტი ძირს დააგდო, ფეხით გასრისა, მერე ჩანთა მუხლებზე დაიდო, იქედან შავყდიანი საერთო რვეული ამოიღო, ჩანთა აღარ დაუკეტავს. თავის ადგილზე დადო და განაგრძო:

— ეს ლეგენდა ამას წინათ გურჯაანის რაიონში მიაბმეს, მე კი ჩემებურად ჩავიწერე, მოთხრობის სახე მივეცი. მოდი, წავიკითხოთ, ჰა?

„ნაღდად მწერალია“. — გავიფიქრე და ჩუმად გავიხედე გალანის თალიან კარში, საიდანაც ბიჭები უნდა გამოჩენილიყვნენ. როგორ გაცდებოდნენ, როცა გაიგებდნენ, ვინ იყო ის უცხო კაცი, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა და მოთხრობას მიკითხავდა.

თავიდან ფეხებამდე გალუმპული ბიჭი მთის კალთაზე დაფეთებული არბოდა. ბინდბუნდმორეული გზაფხულის თბილი სალამო იყო და მთა-

ზე აზიდული, სიბი ქვით ნაგები კომკი ცის მუქლურჯ ფონზე შავად მოჩანდა. ბიჭს შიშამდგარი თვალები იმ კომკისთვის მიეპყრო და, ვაითუ მღვერები უკვე გამოვიდნენ ჭალიდანო, უკან ველარ მოეხედა.

იგი ალაზნის ფონში გასვლისას გამოექცა ლეკებს. ორნი იყვნენ მისი გამტაცებლები. ერთის ძუაგამონასკულმა ცხენმა, რომელზედაც ბიჭიც იჯდა, წყალში წაიფორხილა, კარხნალში გაებლანდა ფეხი და ჩაიჩოქა. ეს იყო მიზეზი, რომ მხედარიცა და მის წინ მჯდომი თვალცრემლიანი ყმაწვილიც წყალში ჩაცვივდნენ.

მეორე ცხენოსანი ჯერაც არ შემოსულიყო ფონში. თოფმომარჯვებული მდინარის გამომლა ქანდაკივით იდგა. საეჭვო ხმა არაფერი ისმოდა. ჩანდა, ბიჭის მოტაცების ამბავი ჯერ არავის გაეგო, არ განხაურებულიყო და კვალში არავინ ჩამდგარიყო. მართო სალამოს ნიავი ამრიალებდა გამხმარ, შარშანდელ ჩალას.

ამღვრეული წყლიდან პირველად ბიჭმა ამოყო თავი. ცქციტად მიმოიხედა. ლეკი თავისი ყორანა ცხენის ახლოს ანკესზე წამოგებულ ლოქოსავით ფართხალებდა, ცალი ხელით აღვირს ჩაფრენოდა და ფეხზე დადგომას ლამობდა. ვერ მოეხერხებინა, ჩანდა, წყალში მიმალული ხის ტოტები უშლიდა ხელს.

ნაპირამდე მცირე მანძილი იყო დარჩენილი. მერე ხშირი, ტყიანი ჭალა იწყებოდა. ბიჭმა ცურვა იცოდა. მან წყალში ჩაყურყუმელავებულ ლეკს ერთი კი მოხედა და მკლავური მოუსვა. ლამიან ნაპირზე ფეხი შედგა თუ არა, ჭალას მისცა თავი.

წყალგამომლა დარჩენილმა მაშინლა შეასწრო თვალი გაქვეულს. გაოცებულმა რაღაც შეჰყვირა, ცხენს მათრახი გავაზე ღონივრად სწყვიტა და მდინარეში შეაგდო. წყალი აშხეფდა, აქაფდა. ფონში წაფორხილებულ ცხენსა და კაცს რომ გაუსწორდა, დაბოღმებულმა მათრახი სათითაოდ გადაუჭირა. შეიგინა და ვაღმა ნაპირზე გავარდა.

მათრახი ორივეს ემწვავა. ცხენი გვერდზე გაფრთხა. კარხნალში გაჭედილი ფეხი გაითავისუფლა და აღვირს ჩაფრენილი პატრონი დაიბრუნა.


ისევ ჩაყურყუმელავა. იმან მალე ამოყო თავი წყლიდან. ბონხიდან წყალი ღვარივით ჩამოსდიოდა ცხვირ-პირზე. სული ძლივს მოითქვა. ბიჭი იქ რომ ვერ დაინახა, კბილები გააღრჭილა, მათრახიანი ხელი წყალს დაჰკარა და ცხენს აღვირი კისერზე გადაუგდო, მერე უნაგირს ზედ მოევლო, მათრახი გამეტებით გადაუჭირა ცხენს და შეჰყვირა. ისიც ყალყზე შედგა, დაიჭიხინა და სტუნვა-სტუნვით ნაპირისკენ წავიდა.

ცხენოსნებს ბიჭი შორს ვერ უნდა გაჰქეცოდათ. მალე წამოეწოდნენ კიდეც, მაგრამ გზად გადმოზნექილი ხის ტოტები, ბაწარივით გაბმულ-გამომბული მაყვალი და ღიჭი ცხენებს აბრკოლებდნენ. მხედრებს სახეზე ეტლაშუნებოდა ხის წვრილი ტოტები, სუფთად გადაპარსული, კალისფერი თავებიდან მიწაზე უვარდებოდათ ტოტებს წამოდეებული ბონხები. ისინიც ძირს იხრებოდნენ. ქუდებს იღებდნენ და გაცოფებულები ცხენებზე იყრიდნენ ჯავრს, ფერდებზე დაუზოგავად სცემდნენ ქუსლებს.

მღვერებმა ჭალას თავი რომ დააღწიეს, ბიჭი უკვე მთის ფერდობზე არბოდა. შიშს ჩიტის ფრთები გამოეხსა მისთვის, მწვეარდადვენებული კურდღელივით სწრაფი გამხდარიყო. ფერდობის ნახევარზე მეტი აირბინა, კომკი უკვე შორს აღარ იყო და მისი იმედილა ჰქონდა.

კარგ ამინდში კომკი მათი სოფლიდანაც მოჩანდა. ერთხელ ნადირობიდან შინ დაბრუნებულმა მამამ ყურძნით საცხცე აბგა მოიტანა და ბიჭს

ქ. შარქისის სახ. საქ. სსრ  
ხახელმწიფო რესპუბლიკა  
ბინალოთსეა



შორს, ალაზნის ვაღმა, მთაზე აღმართული კოშკი დაანახა. ყურძენი იმ კოშკის ძირთან ამოსულ ბებერ ვაზზე მოეკრიფა. სწორედ ის კოშკი დასცქეროდა ახლა მალლიდან ყმაწვილს.

სირბილით ქანცვაცლილმა ძლივს-ლა მიათრია კოშკთან ფეხები. მძიმე რკინის ჟანგიანი კარი ღია დახვდა, ჩანდა, კოშკი დიდი ხანია უპატრონოდ იყო მიგდებული. ბიჭი ერთ წამსაც არ დაყოვნებულა, შიგ შეიძურწა, სახელურს ორივე ხელი ჩასჭიდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავისკენ დაქაჩა. ჩაქანგებულმა ანჯამებმა დაიზრიალეს, კარი მძიმედ დაიძრა; ვიდრე დაიხურებოდა, ფერდობზე პირველმა მღევარმა ამოყო თავი, ქუდქვეშ მოელვარე თვალები და შავი წვერულვაში მოუჩანდა, ცხენს გამეტებით უშენდა მათრახს.

ბიჭმა უფრო დაძაბა ძალი და კარი გრუხუნით დაიხურა. ურდული ადვილად მოძრაობდა და მისი გამაგრება არ გასჭირვებია. კარი საიმედოდ რომ ჩაკეტა, მაშინ კი მუხლები მოეკვეთა და იქვე ჩაიკეცა. შიშს ისე დაერია მისთვის ხელი, მთელი სხეულით კანკალებდა, კბილს კბილზე აცემინებდა.

მღევრებმა ზედ კოშკის კართან მიაგდეს გაქაფული ცხენები. ძირს ჩამოხტნენ და კარის სახელურს გააფთრებით ეცნენ, დაეჯაჯგურნენ, მაგრამ ვერ დაძრეს. მიხვდნენ, ადვილად ვერ გააღებდნენ. გამწარებულებმა კოშკს გარს შემოუარეს. სიბიქვით ნაგებ კედლებს ხელი არ მოეკიდებოდა, ზედ ასვლა და უსახურავო ჭერიდან შიგნით ჩახტომაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ბოლოს ხელი ჩაიქნიეს, მთელი დღის ნათრევ-ნაჯახირვეთ დაღლა მოეძალათ. ცხენებს პირიდან ლაგამი წაჰყარეს და გაზაფხულის სითბოთი ამოტყუებულ მწვანე ბალახზე მიუშვეს. თვითონ კოშკის კართან დააგდეს ნაბდები და იმ იმედით დაწვნენ, ბიჭს წყურვილი ან შიმშილი გააღებინებსო კარს.

ყმაწვილს მართლაც შიოდა და სწყურდა. ლეკბმა ღილას მოიტაცეს. ჯერ ლუკმა არ ჩაედო პირში. მისი მთელი ავლადიდება — ათიოდე ცხვარ-ბატკანი სოფლის ბოლოს ხა-

გომრებში სძოვდა. ის-ის იყო, მორეკა, გუდა იქვე, ასწლოვანი მუხის როკზე ჩამოჰკიდა, ფუჩჩრდაცობილი წყლის დოქი ძირს ფრთხილად დადგა და ვარდისფრად შეღებილ კავკასიონს გახედა. უუ, რა დილა თენდებოდა, თბილი და ლამაზი, ჩიტების ჟრიამულით, სტვენითა და გალობით სავსე. ყური კარგად რომ დაგვედოთ, მუხის ტოტებიდან კვირტების ტკაცუნს გაიგონებდით.

მუდამ ლამაზი საცქერია მზის ამოსვლა. განა ერთხელ და ორჯერ ენახა ბროწეულის ყვავილივით წითელი მზის ამობრწყინება მთებიდან? მაგრამ ვერ ძლებოდა იმის ყურებით. შინიდან ცხვარ-ბატკანს იმაზე ადრე არავინ ერეკებოდა საძოვარზე, თვითონ პირველობდა, რომ მზის ამოსვლა არ გამოაპრვოდა, დიდხანს დამტკბარიყო მისი ცქერით.

უყურა, ვიდრე ქვეყნის მანათობე-

ლი სულ არ ამოგორდა ცხვენივით რე სიწითლე არ გაუფრთხილდა და ნარინჯისფერი არ დაედო. თვალები დაელაღა. მზეს რომ თვალი მოსწყვიტა, ველარაფერს ხედავდა, თვალწინ წითელ-ყვითელი წრეები დაუტრიალდა. ხელები აიფარა სახეზე, ისრისა და ისრისა თვალები. რომ გამოიხედა, შიშით გაფითრდა: მის წინ ორი შავწვერულვაშიანი კაცი იდგა. საშველად ვერავის მოუხმო, ქორებივით დააცხრნენ, პირში მშრალი ჩვარი ჩასჩარეს. ნაბაღში გაახვიეს, ცხენზე შეაგდეს და ალაზნის ჭალას შეერივნენ. საღამომდე ჭალაში იმალებოდნენ.

მზე გომბორის მთებს იქით დაიმაღლა. მოსაღამოვდა. ლეკებმა ალაზნის ფონში გასვლის წინ გამოხსნეს ბიჭი ნაბდიდან, პირიდან ჩვარი გამოაცალეს და ხანჯლით დაემუქრნენ, — თუ ხმის ამოდებას გაბედავდა, იქ-





ვე გააქრობდნენ, მოკლავდნენ.

— შენ გენაცვალე, ალაზანო, რა კარგი მახე დაუგე ამ ძაღლთაპირებს! შენი ჭირიმი, კოშკო, რა იღბალზე შემომეყარე, შენ რომ არა, ცხენიანებს სად გავექცეოდი. ისევე დამიჭერდნენ და ვინ იცის, საით წამიყვანდნენ, — დუდუნებდა ბიჭი თავისთვის და კოშკს შიგნიდან ათვალიერებდა.

კოშკი უსახურავო იყო, თავლია, მაღლიდან ვარსკვლავებით მოჭედოლი, მუქი ლურჯი ცა დასცქეროდა. მიწის იატაკი ჰქონდა, რომლის შუაგულში, ალბათ დასაჯდომად, ქვები ეწყო. ქვებს შორის ნაცეცხლარი მოჩანდა შავად. კარის მარცხნივ, კედელში დატანებული ვიწრო სათოფურიდან თუ სარკმლიდან ვაზის მახისისსო ტოტი შემოსულიყო და დაბლა, ლამის იატაკამდე დახრილიყო. ზედ უნაბის ნაყოფის ხელა კვირტები ამოეტანა.

ვაზის ნახვამ ბიჭი უცებ გაახარა, შიში გაუქარწყლა. ალბათ შარშან ამ ვაზის ყურძენი მომიტანა მამამო, — გაიფიქრა და რატომღაც მარტოდ აღარ იგრძნო თავი, მასთან გამოლპაპარაკებაც მოუნდა. მამამისმაც ხომ ეგრე იცოდა — ვენახში, როცა სხლავდა ან ფურჩინდა, ვაზს ადამიანივით ელაპარაკებოდა ხოლმე: შენ, ჩვენო დედავ და ძალ-ღონევე, ღმერთმა ბარაქა და დღეგრძელობა არ მოგაკლოს, ჩემი ოჯახის დიდო მარჩენალოო. ხან „შენ ხარ ვენახიო“, წაუღიღინებდა. თითოეულ ლერწს ეფერებოდა, ესიყვარულებოდა. ბიჭსაც ასწავლიდა ვაზის პატივისცემასა და სიყვარულს. არწმუნებდა, მცენარეც ცოცხალი არსებაა, რასაც ეუბნები, ესმისო. ხო, ხო, ესმის, შენმა ვაზრდამო. ბიჭიც იდგა კედელში შემოსულ ვაზის ტოტთან, კვირტებს უყურებდა და ეფერებოდა, ეჩურჩულებოდა:

— შენ რაღა გინდა კოშკში, განა შენც ვისმე ემალები? რატომ გარეთ, დედასთან არა ხარ? ეე, ნეტავი ახლა დედასთან ვიყო! ნეტავ თუ გაიგო, რომ ლეკებმა მომიტაცეს! საღამოთი შინ რომ არ მივედი და ცხვარ-ბატკანი არ მივიყვანე, გაიგებდა, მა რა, ალბათ მთელი სოფელი შეიყარა უკ-

ვე. მამა თოფს აიღებდა ხელში, იმას სხვა კაცებიც აპყვებოდნენ და დამეტებენ. თუ კვალში ჩადგნენ, მიპოვნიან, თუ არა და, სულიც რომ გამძვრეს, კოშკიდან გარეთ ფეხს არ გავადგამ.

გარედან კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.

— ცხალი არ უნდა ბიჩოს? — მოიხსმა დამტვრეული ქართული.

ბიჭმა ხმა არ გასცა.

— პური არ უნდა ბიჩოს?

არც ახლა გაეძრახა ყმაწვილი.

— ცოდვა ვარ, ბიჩო, გააღე კარი, პური მოგცე, ცხალი დალიე, ცოდვა ვარ!

— თქვენც დაიკარგეთ, თქვენი პურიცა და წყალიც, — შეუკურთხა ბიჭმა თავის გულში.

ურდულთან რაღაც აჩხაკუნდა. ბიჭი კართან ფეხაკრეფით მივიდა, მიაყურადა, ხანჯლის წვერით ურდულის გაგდებას ლამობდნენ. ყმაწვილს ხელახლა დარია შიშმა ხელი, ემანდ მართლა არ იმარჯვონო, და ერთი დიდი ქვა მიაგორა კართან, მერე სხვა ქვებიც მიაყოლა, შემოსასვლელებში ჩახერგა.

— აი, დონღუზ, დონღუზ! — ილანძლებოდნენ გარეთ.

ოფლგადამსკდარ ბიჭს კი თვალები სიამოვნებით უბრწყინავდა, პირში ჩალაგამოვლებულების უკმაყოფილო ხმა რომ ესმოდა.

დრო კი მიდის, მიდის...

სველი ტანსაცმელი ბიჭს ტანზე შეაშრა. შესცივდა. ვაზის ტოტის დაბლა, კედელთან დაჯდა. შეტყუპული ხელები ლაჯებში ჩაიყო გასათობად, მერე ცას აპხედა, კოშკის თავს ბადრი მთვარე წამოჰპარვოდა. მთვარე კეცში გამომცხვარ მჭადსა ჰგავდა, დიდსა და გემრიელს. დედამისი მჭადსაც აცნობდა ხოლმე. ცხელი მჭადი და გუდის ყველი გემრიელი საჭმელია. ბიჭს მშოერი მუცელი აუჭუჭუნდა. ცრემლი მოერიო და მთვარეს თვალები მოსწყვიტა, თავი დახარა. წყურვილიც მოეძალა. მუხის როკზე დაკიდული გუდა ინატრა, შიგ შოთი პურის ნახევარი და ერთი თავი ნიორი იდო. ის ფუჩქრდაცული პატარა დოქიც ინატრა, დილას მუხასთან რომ დადგა. სულმოუთქმე-

ლად გამოსცლიდა, ისე სწყურვილი ან ნეტავ ალაზანზე ჩაარბენდა დააწაფა. მერედა, რა ახლოა ალაზანი, იქვე, ჭალაში მიდუდუნებს.

ტირილი მოუნდა. მარტო იყო და არ შერცხვა. თავი მუხლებზე დადო, ჩუმად აზლუქუნდა. ტირილში წასთვლიმა. დედა ნახა სიზმრად, თავისი სოფლის წყაროთი სავსე დოქს აწვდიდა. ისიც სვამს, სვამს დაუსრულებლად, სვამს და მაინც წყურვილი ჰკლავს...

გარეთ ცხენმა დაისვივინა. ბიჭს გამოეღვიძა. ყური მიუგდო, შორს სადღაც ჭოტები გასძახოდნენ ერთმანეთს:

— იპოვნე?

— ვერა, ვერა!

ჭალაში შაშვები და ბულბულები სტვენდნენ.

ბიჭს მუხლები დაბუჟებოდა. ადგა, ფეხები გამართა. ვაზის ტოტი ლოყაზე შეეხო. კვირტები რომ არ გაეყრევინებინა, ფრთხილად მოირიდა, მერე რაღაც გაახსენდა. შარვლის ჯიბეები მოიქექა, პატარა ჯაყვა ამოიღო. ის დანა მამამ აჩუქა, სამწყემსოზე ხშირად იმით ერთობოდა: შვინდანწლის წითელ წნელებს აჭრელებდა. კიტრის საფცქვენელად და სახამთროს საჭრელადაც კარგი იყო. გახსნა, ვაზის ტოტს ერთი ლერწი შეაჭრა და დახედა. მთვარის შუქზე კარგად მოჩანდა, როგორ ივსებოდა წყლის წვეთით გადანაჭერი. წვეთი დამძიმდა და ლერწს მოსწყდა. ახლა მეორე წვეთი გამობრწყინდა. მერე წამოვიდა და წამოვიდა.

როცა ვაზს ბროლის წვეთები სცვიოდა, სოფელში იტყოდნენ: ვაზი ტირისო.

— მართლა ტირის ვაზი? — ჰკითხა ერთხელ მამას.

— ტირის, მაშ, — ღიმილით დაჰკრა იმანაც კვერი. — ჩემმა პატრონმა გვიან რად გამსხლაო. ადრე გასხლულს, ვიდრე გაზაფხული დადგება და ჰაერი გათბება, ცვარი არ გავარდება.

ბიჭმა ჯაყვა დაკეცა და ჯიბეში ჩაიღო. ლერწს პეშვი შეუშვირა. ერთი, ორი, სამი... მბრწყინავი, მთვარის შუქით აციმციმებული წვეთები მოდის და მოდის, პეშვში გუბდება. ბი-

ჭმა ორიოდე ყლუპით დაღია, დაიგემოვნა, ეამა, ცივიც იყო და გემრიელიც. წვეთებს ისევ შეუშვირა ხელი.

გარეთ ცხენები ძოვენ და ფრუტუნებენ. რკინის კართან ჩახმაცხემართული თოფებით ლეკები მიწოლილან და ძილფზიზლობენ. მთვარე რა ხანია გადასცდა კოშკის თავს და რომელიღაც ფრინველმა ჩრდილივით გადაიარა, ქვევით, ალაზნის ჭალისაკენ დაეშვა. სადღაც ბაყაყები ყიყინებენ, შაშვები სტვენენ.

იმ დროს ბიჭისთვის სხვა აღარაფერი არსებობდა ამ ქვეყნად — გავაციცებით დაჰყურებდა ლერწს და წვეთებს ითვლიდა ისევ...

წყურვილი რომ მოიკლა, სველი ხელი ქორხრზე გადაისვა, კმაყოფილი კედელთან დაჯდა, შუბლი მუხლებზე ჯვარედინად დაწყობილ მკლავებზე დადო და იმავე წუთს ჩაეძინა. კვლავ დედა დაეისომრა, იმაზე უკეთესს სხვას რას ნახავდა. დედას ხელები ვაზის ტოტებად ჰქცეოდა, ტანზე ვაზის ფოთლებისაგან შეკერილი კაბა ეცვა, მწიფე ყურძნის მტკვნები ჯაგანივით ესხა ნაწნავებზე, შვილს ეფერებოდა და ვაზის ფოთლების საბანში ჰფუთნიდა, არ გამიცვიდყო.

განთიადისას ჭალაში ძაღლი აყეფდა. თოფმა იქუნა. ლეკები გველნაკბენივით წამოხტნენ, ქვევით გადაიხედეს. მთის ფერდობს რამდენიმე მწვეარი შემონთებოდა, ყეფით მოიწევდნენ ზევით.

ლეკებმა ნაბდები აიტაცეს ხელში, ფაცხა-ფუცხით ცხენებს ლაგმები ამოსდეს, მოახტნენ და კოშკის უკან მთის ფერდობზე თავგამეტებით დაეშვნენ.

ბიჭს არაფერი გაუგია. ვაზის ფოთლის საბანში გახვეულს ისევ დედა ეფერებოდა, მუდამ თბილი, საყვარელი დედა.

მოთხრობა აქ დამთავრდა. კაცმა რვეული დახურა, ჩანთაში ჩადო და დაკეტა. მარცხენა ხელის მაჯიდან პიჯაკის სახელო ოდნავ გადაიწია. ელექტროსათის მომწვანო ციფერბლატი გამოაჩინა, დახედა, ჩემი წასვლის დროაო, — თქვა, ჩანთას დაავლო ხელი, ფეხზე წამოდგა და გამოსამშვიდობებლად ხელი გამომიწოდა. მეც ავდექი, იმის ხელს ჩემი შევაგებე.

— ნახვამდის!

— კარგად ბრძანდებოდეთ, ძია!

ის კაცი ისე წავიდა, არ უკითხავს, მოთხრობა მომეწონა თუ არა. გალავნის თაღოვან ჭიშკარს რომ მიეფარა, თვალი სამრეკლოს კედელზე ცარცით მიხატულ კარს დავადგი და ვფიქრობდი, რა ამოშლიდა ცარცის კვალს. ალბათ, სველი ტილო, ცოტათი რომ გაიხეხოს...

ბურთი ამოვიღლიავე და შინ გავიქეცი.

შემდეგ კვირას სამრეკლოსთან ბურთი აღარ გვითამაშია. ბიჭებს მოთხრობის შინაარსი დაწვრილებით მოუწყევი, რაც იმ კაცმა ილაპარაკა წარსულის ძეგლების მნიშვნელობაზე, ისიც სულ ჩამოვკაკლე. მერე რაც უნდა გაგვეკეთებინა, ადვილად მოვიფიქრეთ. პირველ რიგში სამრეკლოს კედელზე მიხატული კარი ისე ჩამოვრცხეთ. ცარცის კვალს ველარ იპოვის კაცი. ვიშოვეთ ხის ძელი და სამრეკლოდან მოშორებით კარი გავაკეთეთ. ცალ გოლში ახლა იქ ვთამაშობთ ფეხბურთს ბიჭები.

კარტოფილს ჩაჰყრიდა, უველაფერ ამას ჩანთაში ჩააწყობდა. შიგ ვაზის სასხლავ მაკრატელსა და აკურისფერ ქვის სალესავს ჩადებდა. ცრტა ხანს ჩაფიქრდებოდა, ხო არაფერი მაგიწყებოაო, მალე გაიხსენებდა კიდევ; თიხის დოქს ახალი წყლით გაავსებდა, სიმინდის ფუჩიჩით პირს მაგრად დაუცობდა და დინჯად გაუყვებოდა ვენახისკენ მიმავალ გზას.

სიარული იცოდა იმისთანა, ღვართქაფი რომ მოვარდნილიყო, ფეხს არ აუჩქარებდა. ჩავიდოდა ვენახში და მაშინვე საქმეს შეუდგებოდა; ამავრებდა ყანყალა ბოძებს, ჭიმავედა მავთულს და სხლავდა ვაზს.

ერთ კვირა დღეს გავყევი, წალმის გამოტანაში მოგეშველები-მეთქი. წყლით სავსე დოქი გამოვართვი, იმან ბრეზენტის ჩანთა დაიჭირა და ვენახისკენ მიმავალ გზას დავადექით. სოფელს რომ გავცდით, ალაზნის არხს ქვემოთ ვაზის განაკაფით დატვირთული ცხენიანი ტაჭკა შემოგვხვდა. წინ კალანთ ვახტანგი მოუძლოდა. მარცხენა ხელი აღვირში ჩავვლო ცხენისათვის, მარჯვენათი მათრახს მოათამაშებდა. მსხვილი, მსუქანი ტუჩები გამოეშვირა და არხეინად უსტვენდა. ჩვენ რომ მოგვიახლოვდა, გამარჯობათო, რიხიანად მოგვესალმა.

პაპამ სმა არ გასცა, არ მიესალმა; თავი დაელირა და საითაც ჩანთა ეჭირა. იმ მხარეს ოდნავ მხარაწეული მიდიოდა.

გამიკვირდა. პაპაჩემი სალმიანი კაცი იყო. გამარჯობას ვერავინ დაასწრებდა. თუ ვინმე ბაიყუმივით ჩაივლიდა, ნაწყენი მიაძანებდა: „კაცო, სალამ-ქალამი ჩვენნიარ ხალხს დაუწესებია, შენ რა ღმერთი გავიწყრა. გამარჯობას რომ მაკარგვინებო“.

ვერ მოვითმინე და პაპას ვკითხე: — იმ კაცმა გამარჯობა რომ თქვა, რატომ არ უპასუხე, მართლა ვერ გაიგონე?

— ტაჭკაზე, ნახე, რა ელო? — კითხვითვე მომმართა იმან.

— როგორ არა, — კისერი უკან მოვიღრიე და ტაჭკას გახვდე, — აკაფული ვაზია!

— ხოდა, კაცი რომ ვაზს აკაფავს, საწალდედ გაიმეტებს, იმას შეიძლე-

## ვაჟმა გაიღვიძა

დეკემბერიც უთოვლო, მზიანი გამოდგა, ამინდი ხელს უწყობდა მევენახეებს, საგაზაფხულო სამუშაოებს აწინაურებდნენ. პაპა სულ ვენახში იყო. გათენდებოდა თუ არა, აიღებდა ბრეზენტის ძველ, გახეხილ შავ

ჩანთას, გაზეთში ორად გადატეხილ შოთ პურსა და ყველს გაახვევდა, ცელოფანის პარკში ჭარხლით შეწითლებულ, კამის სურნელით გაჟღენთილ კომბოსტოს მწნილს და მოხარშულ, საგულდაგულოდ გაფცქვნილ

ბა მიესალმო?

— იქნებ ძველი ვაზი აკაფა, პაპა?

— მერე ეგ ძველი იყო? ხუთი-ექვსი წლის იქნებოდა, მეტისა არა. თუ იცის, ამ ასაკში იცის ყურძნის ბარაქიანი მოსავალი. მაგან კი რა გააკეთა, იმ არასასწენებელ შაჰაბასივით ვაზს დაერია და გაკაჭა. ვაი, რათ უნდა, რომ ცოცხალია და მიწაზე დადის. თფუი! — პაპამ ჯავრით გვერდზე გადააფურთხა და თავი გაიქნამოიქნია.

— მაინც რათა? — ვერ გამეგო, რატომ აჩეხა ვენახი კალანთ ვახტანგმა.

— იმად, რომ ვაზს მეტი ჯაფა სჭირდება, სულ ვენახში უნდა იტრი-ალო, ეფურო და ესიყვარულო; ეგრე ყოფილან ჩვენი მამა-პაპანი, მაგ უნამუსოს კი ეგ არ შეუძლიან. იმად გაკაჭა, რომა სინარბემ დააბრმავა, გონი დაუკარგა. ნავენახარში კიტრი და პამიდორი მოიყვანა, რომ უფრო ბლომა ფულები ჩაიჯიბოს. ეგ არი კაცობა, ბიჭო? შენ კიდე მეუბნები, რატომ გამარჯობა არ უთხარიო. არი ღირსი რო?

ამ ლაპარაკში ვართ, რომ პაპა შეჩერდა, თვალი ძირს გაუშტერდა. გზას დასცქერის და მეუბნება:

— ბიჭო, ე ვაზის ნერგი არა გდია ძირსა?

გზაზე მართლაც ვაზის ნერგი ეგდო. ასე ჩემი სამი-ოთხი მტკავლის სიგრძე. ვილაცას ვენახში დასარგავად წაედო და დაჰკარგვოდა. ურმი-სა თუ ტაჭკის რკინის სალტიან თვალს ზედ გადაეველო და წვერო ორ კვირტზე ნივრის კბილივით ჩაეჩეჩევა. სამაგიეროდ, ფესვები საღსალამათი ჰქონდა.

— სულზე მოვუსწართ, თორემ კიდევ რამე შესდგებოდა ზედ და მთლად დაიფშენიტებოდა. — პაპამ ვაზის ნერგი ყურადღებით დაათვალიერა, ჩანთიდან სასხლავი ამოიღო და დაზიანებული წვერო წაასხიპა.

— ვითომ იხარებს? — დაეჭვებით ვიკითხე.

— იხარებსო?! თაფლივით ტკბილ ყურძენსაც მოისხამს ეს რქაწითელი, — იმედინად თქვა პაპამ.

ვენახში მალე მივედი. ჩანთა და დოქი კრამიტგადახურულ ფარდულ-



ში დავდგით. პაპამ ნერგი მე მომცა, თვითონ ბარი აიღო და ვაზის რიგებს დაუყვევით. ერთ ადგილას შეჩერდა. რიგში, ვაზებს შორის, მეჩხერი ადგილი აღმოჩნდა.

— აქ ვაზი იდგა და გახმა. ეგე, იმ ვაზის ტოტი უნდა აქეთ გადმომეწვინა, რომ შემეფსო; ნერგი გვაქვს და გადაწვენა აღარ დასჭირდება, — პაპა ბარის საგოგავს მარჯვენა ფეხის ტერფით ღონივრად დააწვა და ბარის პირი ნოტიო, ფხვიერ ნიადაგში ღრმად წავიდა. სულ ორი პირი მიწის ამოღება დასჭირდა, რომ ორმოში ნერგი გამართულიყო.

— ჩადგი ნერგი და ფესვებზე მიწა მიატკეპნე, — მითხრა პაპამ.

ნერგს ფესვები განზე გავუწიე და მიწა დავაყარე, თითებით ჩავტეტკევე. პაპამ ვენახის ზემოთ, ფარდულისკენ ხელი გაიშვირა:

— შენ გაზრდას, ესლა დოქი მოაბუნინე და წყალი დაუსხი.

ნერგს წყალი დავუსხი, მერე ორ-

მოში ისევ მიწა ჩავყარე და პირამდე ავაგვე.

— კოკოლა გაუკეთე! ვიცოდი, რისთვის იყო საჭირო კოკოლა. ახალდარგულ ვაზის ნერგს ზემოდან ძაბრივით მიწას წააყრიან, რომ ყინვამ არ დააზროს, ქარმა არ გაახმოს საკვირტე.

ნერგს კოკოლა გავუკეთე. მიწიან ხელებზე დოქიდან წყალი დავიპირე და დასაბანად.

— იავნანა, ვაზო, ნანა, ვაზო, ნანინაო, — გაგრძელებით წაიღიღინა პაპამ.

— აკვნის ყმაწვილია, რომ უმღერი? — ვთქვი სიცილით და პირზე დოქი მოვიყუდე, წყალი მოვსვი.

— მაშ რა არი, ნერგიც თოთო ბავშვივითაა, იმასავით მოვლა და პატრონობა სჭირდება, უნდა უმღერო კიდევ. ხედავ, როგორი საბანი დავახურეთ? — პაპამ მისანიშნებლად კოკოლასთან ვაზის ლერწი ჩაურჭო.

იმ დღეს ორივემ გემრიელად ვი-



მუშავეთ. პაპა ვაზს სხლავდა, მე წალამს ვაგროვებდი, მავთულის ნაწვევებებით კონებად ვკრავდი და ფარდულთან ვეზიდებოდი, რომ მერე მანქანაზე დაგვეწყო და თონის გასახურებლად ბებიასთვის წავველო.

იანვარში ამინდი შეიცვალა. დასავლეთის ცივმა, გამთოშავმა ქარმა დაჰბერა, ცა მოიღრუბლა, ალაზნის ველზე ჯანლი ჩამოწვა და ხის ტოტები, თითქოს გამდნარ მინაში ამოუვლიათო, გამჭვირვალე ყინულის ქერქით დაიფარა. დაიწყო თოვა. სამი დღე და ღამე არ გადაუღია. თოვდა და თოვდა. ელექტრობოძებზე გაბმული მავთულები შეიფიფქა, გემის ბაგირებივით დამსხვილდა და დამძიმდა.

გავიდა თებერვალიც, მარტიც... ცა თანდათან ღრუბლებისაგან გაიცალა, ჯანლი იშვიათადლა წვებოდა ალაზნის ველზე. მზეს ძალა მოემატა, საამურად დათბა. თოვლი შეთხელდა. აქა-იქ სველი, ჩაბუბუბებული, ორთქლავარდნილი მიწა გამოჩნდა. ზოგან კუპრივით შავი, ზოგან მოყვითალო, თიხნარიანი. თოვლის საბანი გადაიძრეს ზამთარგამოვლილმა ჯეჯილებმა და მწვანე, ცვრიანი თვალეზით შესცინეს მზეს.

გაზაფხულის დადგომა პირველად ნუშებმა იგრძნეს. ჯერ თოვლი ხეირიანად არ გამდნარიყო, რომ მიწიდან მოწოლილი დალა ველარ შეიკავეს და კვირტები ბატიბუტივით თეთრად გადაეპენტათ. ნუშებს ჭერებმა და ტყემლებმა აუბეს მხარი.

მე არ მაგიწყდებოდა ჩვენი დარგული ვაზის ნერგი. ერთ დღესაც, სკოლიდან რომ მოვედი, შინ არც შევსულვარ, წიგნის ჩანთა აივნის კიბეზე დავდე და ვენახისკენ გავიქეცი.

მიწა ძალიან სველი იყო, რბილი... ასეთ დროს ვენახში არავინ შედის, ტალახობს და შეშრობას უცდიან. მე კი ამ წესს ვარღვევდი, რადგან ძალიან მინდოდა მენახა, გაიხარა თუ არა ნერგმა. იმ რიგს დავეყვი, სადაც ის მეგულებოდა. ცომივით ჩვილ, წებოვან შავ მიწაში ფეხი მეფლობოდა, ფეხსაცმელებს ტალახი მიეწევა და დამიძიმდა.

პაპამ მისანიშნებლად ხომ კოკოლასთან ლერწი ჩაარჭო, და ამიტომ

იმის პონა არ გამძნელებია. კოკოლა თითქოს დაპატარავებულიყო, წვეროზე მიწა ჩამოშლოდა. ვაზის ცერის სიმსხო კვირტს თავი ამოეყო და ორი პაწაწინა მწვანე ფოთოლი გამოეჩინა. ვაზს გაელვიძნა.

მისი ცქერით კარგად რომ დავმტკბარიყავი, ჩავიმუხლე, ლოყებზე ხელისგულები მივიდე და აი, ასე, სინარულით დავყურებდი ჩემი ხელით დარგულ ვაზს.

უცებ ვენახის ზემოდან ხმა მომესმა:

— ჰე-ჰეი, მანდ რომელი ხარ?

ფეხზე წამოვხტი და იქით გავიხედე, საიდანაც ხმა გავიგონე.

ვენახის თავში, რიგთა შორის, პაპაჩემი იდგა, ხელით შუბლი მოეჩრდილა და ჩემკენ იყურებოდა.

— მე ვარ, პაპა, მე! — შევეხმიანე მაშინვე.

პაპა რიგებს დინჯად ჩამოუყვავა და თავს წამომადგა.

— აქ რამ მოგიყვანა, ბიჭო?!

— ამან, — თითით ვაზის ნერგი ვუჩვენე, — გაულვიძია, ხედავ?

— ხო, გაულვიძია, აუშვია თავი არტახებიდან. ეე, შენ კი გენაცვალე, შენა, — ენა მოუჩლიქა პაპამ. — მეც ამან გამომიტყუა, სულ ეგრე მეძანდა — მოდი, მნახე, მოდი, მნახეო. კვერცხიდან გამოსასვლელ წიწილასავით არ ამოუმტვრევია კოკოლა, ეეეე, — ამბობდა მოხუცი და კმაყოფილი იდიმებოდა. იმის ცქერით გული რომ იჯერა, სხვა ვაზებიც შეათვალეირა. ლერწებს კვირტები დასკდომოდათ, რამდენიმე დღეში შეიფოთლებოდნენ კიდევ.

— ჭირიმე შენი ფესვისა, მოგკვდები მე შენს ძირშია, — წაიღიღინა პაპამ.

მე სულგანაბული ვუგდებდი ყურს და ჩუმი, გამოუთქმელი სინარულით მევესებოდა გული, რადგან გაზაფხულის სითბოთი აფეთქებულ ვაზებს, ვენახში ნისლივით ჩამდგარ მიწის ორთქლს, იმ ვაზებს შორის მოდიღინე, შუბლნათელ პაპას და მე თავზე დიდი, დიდი, თვალისმომჭრელი, თბილი მზე დაგვენათოდა.

ინსფერ ცას ჩიტუნების ჟრიამული ავსებდა.



პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რეკსპულიკური საბჭოს წევრი ნათელა ფაილდოძე

# უენი სიმაღლე

თითოეული თქვენგანი უკვე იცნობს მარშის პროგრამას, რომელმაც 2 ოქტომბრიდან აილო სტარტი, იცნობს ყველა რგოლი, რაზმი, რაზმეული. მარშმა პიონერულ აქტივის მოქმედების ფართო ასპარეზი გადაუშალა, მისი მარშრუტები ვენამარებათ, პიონერული წვლილი შეიტანოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობისა და საკავშირო კომკავშირის მე-19 ყრილობის გადაწყვეტილებების, სასკოლო რეფორმის განხორციელებაში, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის XII მსოფლიო ფესტივალისათვის მზადებაში.

მარში „სალუტ, გამარჯვება!“, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-40 წლისთავს ეძღვნება, პირველ, მეორე, მესამე სიმაღლეა დაძლევაში გენმარებათ. იგი კვლავაც განსაზღვრავს პიონერული კოლექტივის წარმატებას, პიონერული აქტივისგან კი მოითხოვს თაოსნობას, პასუხისმგებლობას, გულისხმიერებას. უამისოდ პიონერული კოლექტივების წინამძღოლებს გაგიჭირდებათ კოლექტივის ხელმძღვანელობა.

კეთილი რჩევა მუდამ გამოადგება პიონერულ აქტივის მუშაობაში, უბიძგებს საინტერესო საქმეებისაკენ. იმის შესახებ, თუ რა დაეხმარება რაზმს ერთი სიმაღლიდან მეორე სიმაღლისაკენ სვლაში, პიონერული სიტყვის შესრულებაში, გესაუბრებათ ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რეკსპულიკური სახასლის დირექტორის მოადგილე ლია დანიელაშვილი.

...პიონერული მარშის სტარტის აღებთან ერთ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთ პიონერულ კოლექტივში

მარშის პროგრამას, ამ პიონერულ დოკუმენტს კარგად არ იცნობენ. ჭერ კიდევ ისევ ადრეული რაზმეული მუშაობა, როგორც ამას პროგრამა გვისახავს. აქ პირველი სიტყვა პიონერულ აქტივს ეკუთვნის, ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული მის უნარსა და თაოსნობაზე, ბავშვთა კოლექტივის წინამძღოლის დამოკიდებულებაზე მეტად საპატიო პიონერული დავალებიანადღი.

როგორ ასრულებს აღებულ სიტყვას შენი რაზმი? როგორ ართმევს თავს მარშის მიერ მის წინაშე დასმულ ახალ ამოცანებს?

რაზმი ხომ სიტყვას იმისთვის იღებს, რომ თითოეული პიონერი ნორჩ ლენინელთა კანონების მიხედვით ცხოვრობდეს, თავისი ყოველდღიური მოქმედებით ამტკიცებდეს პიონერთა რიგებში შესვლისას წარმოთქმული საზეიმო დაპირებისადმი ერთგულებას.

რაზმის სიტყვა ნიშნავს პიონერული კოლექტივის სწრაფვას უკეთესობისაკენ, იმისაკენ, რომ იყოს უფრო ძლიერი და უფრო ორგანიზებული. თითოეული რაზმი თავის სიტყვას საქმით განამტკიცებს; სწორედ საქმეა რაზმის სამოქმედო და სამუშაო გეგმა, ამ გეგმაში გამოხატავს იგი სწრაფვას სკოლის, რაზმეულის საქმეებში, ყველა აქციაში, პიონერული საქმეების შრომით სუთწოდებში აქტიური მონაწილეობისაკენ.

მარშის მარშრუტების ყველა საქმე დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-40 წლისთავს და ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის XII მსოფლიო ფესტივალს ეძღვნება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ომის ვეტერანებზე თემურულ ზრუნვას. პიონერული აქტივი ეხმარება წითელ კვლამაძიებლებს საძიებო მუშაობაში, მონაწილეობს იმ მეხიგანალებებისა და შესაყვრიების მოძებნაში, რომლებსაც ახსოვთ სამშობლოს ცაცხალი თუ დაღუპული დამცველები მათი სკოლის ყოველი მოსწავლეებიდან. რაზმეულის საბჭომ დროდადრო ყურადღებით უნდა გადახედოს იმ სამუშაო გეგმასაც, რომელიც ჭერ კიდევ გაზაფხულზე პიონერული აქტივის ანგარიშგება-არჩევნების დამთავრების შემდეგ შედგა, ახალი საქმეებით გაამდიდროს იგი და, მარშის პროგრამიდან გამომდინარე, ახალი ამოცანები დააყენოს პიონერული აქტივისა და თითოეული პიონერის წინაშე; ამ დროს უსათულო გაითვალისწინეთ მშობლიური სკოლის, სოფლის, რაიონის, ქალაქის, რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანები, განსაზღვრეთ თქვენი პიონერული კოლექტივის წვლილი და ადგილი. ამის შესახებ, ალბათ, ჭერ კიდევ სექტემბრის დასაწყისში გქონდათ მსჯელობა პიონერული აქტივის სკოლის მეცადინეობაზე, იქ მოილაპარაკეთ, რა უნდა გაგკეთებინათ წლეულს პიონერებმძღვანელების, მასწავლებლების, თქვენი სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის დახმარებით. ეს რომ შეძლოთ, თქვენ და თქვენი პიონერე-

ბი გულდასმით უნდა გაეცნოთ პარტიის საგულისხმო დოკუმენტებს: ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვას საბჭოთა არმიის კომკავშირული ორგანიზაციების საკავშირო შეკრებაზე; სკკ კენტრალური კომიტეტის დადგენილებას კომკავშირზე პარტიული ხელმძღვანელობისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის ამდლებების შესახებ; სასკოლო რეფორმის მასალებს; ერთხელ კიდევ უნდა ჩაუფიქრდეთ, რატომ შეინიშნება ხოლმე ზოგჯერ თქვენს კოლექტივებში მოწყენილობა ანდა ფორმალისმი მუშაობაში, როგორ უნდა გახადოთ რაზმის ცხოვრება უფრო საინტერესო, მებრძოლური, როგორ გამოიყენოთ ყველაფერი ის, რასაც რაზმეულის კარგი ტრადიცია გქონდათ.

თითოეულმა თქვენგანმა ჭერ კიდევ სექტემბერში გამართულ პიონერთა საკავშირო შეკრებაზე აიღო სიტყვა, ამ დროს თქვენთან იყვნენ კომკავშირელები, ომის, შრომის, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები. თქვენ მათთან ერთად დასახეთ, განსაზღვრეთ პარტიისა და ხალხის საქმეებში პიონერთა მონაწილეობის კონკრეტული გზები, ის, რაც უნდა გაკეთდეს პიონერული რგოლების, რაზმების, რაზმეულის განსამტკიცებლად. ყოველივე ამის წარმატებით გადაწყვეტაში მთავარი პიონერული დავალებისადმი დამოკიდებულებაა; ამის საუკეთესო მაგალითი თვით პიონერული აქტივი უნდა იყოს, ერთმანეთს უნდა მოვთხოვოთ პასუხი მის შესრულებაზე.

რაზმეულის საბჭომ ერთი წუთითაც არ უნდა შეანელოს ყურადღება რაზმებისადმი, იგი უნდა იყოს მათი ყოველდღიური საქმიანობის საქმის კურსში, დროზე მისცეს მითითებანი, დაეხმაროს უმცროსებს, სკოლის რადიოკვანძისა და კედლის გაზეთის დახმარებით ფართოდ გააშუქოს მარშის მიხედვით მთელ რაზმეულში მიმდინარე მუშაობა.

დროს ნუ დაკარგავთ. ამთავითვე სერიოზულად დაინტერესდით, მოქმედებს თუ არა თითოეული პიონერი თავისი ინტერესების მიხედვით. ამის გაუთვალისწინებლად რაზმს გაუჭირდება თავისი სიმალის აღება.

ინტერესი რაიმე საქმისადმი ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს, მაგრამ მას ყოველთვის სწრაფად ვერ განსაზღვრავ; ამაში წიგნები და ადამიანებთან ურთიერთობა დაეხმარება.

ვთქვათ, შენი ამხანაგი გემთსამოდლო წრეში მეცადინეობს, მან ერთხელ თავისთან მიიწვივა და თავისი ხელით დამაღებული ხომალდის მოდელი გაჩვენა. მოდელი მოგეწონა და შენც გაგიჩინა გემთსამოდლო წრეში მისვლის სურვილი. ჩაეწიეთ იმ წრეში; დაიწყო წიგნების კითხვა ზღვაოსნებზე და ზღვაოსნობაზე, მოგზაურობებზე, დედას უურნალ „იუნი ტენისის“ გამოწერაც სთხოვე... ასე იწყება თვალსაწიერის გაფართოება. ეს გეხმარება მეგობრებთან ურთიერთობაში, რის გარეშეც არ შეიძლება სო-

ციალურად აქტიური პიროვნება გახდეს.

„სოციალურად აქტიური“ — ე. ი. აქტიური სხვებისათვის, საზოგადოებისათვის. მაგრამ რა შეგიძლია მისცე სხვებს, თუ თვითონ შენ ცოტა რამ იცი? ამიტომ არ უნდა შემოიფარგლო მარტო შენი ინტერესებით. იშვიათი როდია, როცა ნორჩი სპორტსმენი თანატოლთა შორის თავისი სპორტული მიღწევებით გამოირჩევა, მაგრამ სწავლისადმი, პიონერული მუშაობისადმი არავითარ ინტერესს არ იჩენს, ასეთ ადამიანთან ურთიერთობა საინტერესო არ არის, რადგან მისი ცოდნა მხოლოდ სპორტით შემოიფარგლება. მიმოიხედე ირგვლივ, კარგად დააკვირდი, როგორი ინტერესით ცხოვრობენ შენი ამხანაგები. არის კი ყველა ინტერესი საზოგადოებისათვის სასარგებლო, იმსახურებს ყურადღებას? თუ ამას ჩაუფიქრდები, დარწმუნდები, რომ ადამიანს ყველა გატაცება საკუთარი პიროვნების აღზრდაში ეხმარება... ვინ იცის, რამდენ დროს გართმევს კოლექციონერობა, მაგრამ კოლექციონერობა მხოლოდ კოლექციონერობისათვის არ არსებობს.

მარკები და სამკერდე ნიშნები ცოდნის შეძენაში დაგეხმარება. უნდა ეცადოთ, ბევრი რამ შეიტყოთ იმ ქვეყანაზე, სადაც მარკები გამოიცა, იმ მოვლენაზე, რასაც ესა თუ ის მარკა მიეძღვნა. ისიც უნდა შეგეძლოს, რომ ამის შესახებ რაზმში თანატოლებს მოუთხორო.

ჩვენს ქვეყანაში ინტერესების მიხედვით მუშაობის დიდი შესაძლებლობაა შექმნილი. სკოლაში ყოველი მეორე თუ მესამე მოსწავლე მუსიკას სწავლობს, მაგრამ პატარებისათვის რომ დაუკრას, არ უნდა — ოქტომბრელთა დღეაზე მათი მოყვანა ჭირს.

...ბოტანიკა გიტაცებს, სკოლის ფანჯრის რაფაზე კი ქოთნის ყვავილები ხმება;

გატაცებული ხარ სპორტით, თანრიგის გაქვს, შენი რაზმი კი დღემდე არ მონაწილეობს „იმედის“ სტარტებში, რაზმში ბევრი დილის ვარჯიშსაც არ ასრულებს, არ მიუღია „მშ“ ნიშნები. რატომ?

რამდენადაც ფართოა შენი ინტერესების წრე, იმდენად საინტერესო, ნათელი და შინაარსიანია შენი ცხოვრება, თითოეული თქვენგანის მონაწილეობა პიონერული კოლექტივის ცხოვრებაში, უფრო შესამჩნევი ხდება თითოეულის გატაცება ხატვით, ლიტერატურით, მუსიკით, სპორტით...

რაც უფრო მრავალფეროვანი და საინტერესოა თითოეული პიონერის გატაცება, იმდენად მრავალფეროვანი და საინტერესოა იმ რაზმის ცხოვრება, რომელიც შენი წინამძღოლობითა და დახმარებით მარშის მარშრუტებზე პიონერულ სიმაღლეებს იპყრობს; პირველ რიგში თვით შენ უნდა იყო სამაგალითო ამ სიმაღლეთა დაძლევის გზაზე.

გახსოვდეს: პიონერთა ორგანიზაციაში ყველა წარმატება შენით იწყება!



გორი კორასპონდენტთა ჟურნალი II

### მასწავლებელი წავიდა...

ამ ლექსის გმირია ქალი, ვინც ცოდნის ნათელი, ალი აგვინთო გულებში ლამბრად, აგვინთო ჯადოსნურ ძალით. იგი სულ, სულ ჩვენთან იყო, — ალერსით, ღიმილით, დავით — და ვერც კი გავიგეთ თვითონ, როგორ შეგვაყვარა თავი. მერე კი დაგვწყვიტა გული... ახლა მის საფლავთან ვდგავართ... და, მობუზულები მხრებში, უღედო წიწილებს ვგავართ.

### რ ვ ე ნ ა

არა ვართ ბევრნი, მაგრამ ვინცა ვართ, ალალი გულით გვიყვარს მამული. აწმყოს შევხარით, წარსულს ვფიცავართ და მყოფადს ველით სხვა სინარულით.

ხმლითა და ლექსით გამოვიარეთ საუკუნეთა ლაბირინთები. ახლა დღეის და ხვალის სიკეთეს ხოტბას ასხამენ ჩემი რითმები.

### ჩემი სოფელი

„ცვრიან ბალახზე თუ ფხვნივზელა არ გაიარე — რაა მამული?!“  
ბალატიონი

იმერეთის სამხრეთში, გურიის საზღვარზე, მთებს შორის არის მოქცეული ჩემი სოფელი. თვით სოფელიც მთაგორიანია, მისი უბნები დამრეც კალთებზეა შეფენილი, იმერული კოპწია ოდები მერცხლის ბუდე-ებზეთ ჩანან აქა-იქ. სოფელს შუაზე

ჩამოუდის პატარა მდინარე — ყუმური. სოფელსაც და მდინარესაც ერთი და იგივე სახელი ჰქვია. ადრე მარტო მდინარეს ერქვა ყუმური.

ძველად ეს სოფელი აზნაურ პაიჭაძეებს ეკუთვნოდათ და სახელად საპაიჭაო ერქვა. სოფლის ასეთი სახელწოდებები საერთოდ გავრცელებული იყო მთელ საქართველოში (მაგალითად, საწერეთლო, საამილახვრო, საჯიჯაო და სხვ.).

20-იან წლებში სოფელს ძველი სახელი გამოუცვალეს და მდინარის სახელწოდება — ყუმური დაარქვეს.

სოფელში არის XVI-XVII საუკუნეთა მიჯნით დათარიღებული ციხე. ახლა მისი მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი.

ციხეს „მაისოურის ციხეს“ ეძახიან. ეს ყუმურის ერთ-ერთი უბნის სახელია. ციხე ძველად მნიშვნელოვანი თავდაცვითი ზღუდე ყოფილა.

აქ ყოველ ქვას, ყოველ გოჭ მიწას ჩემი წინაპრების ნატერფალი ატყვია. ფრთხილად, ფრთხილად დავაბიჯებ, უნებლიეთ რომ არ წავშალო ეს ნატერფალები.

### გაზაფხული

ზამთრის სუსხს წელი მოსწყდა. ქარის წივილ-კივილი და კვნესა მიწყნარდა. ღრუბელ-ბურუსი ზღვაში ჩაიკარგა. მომძლავრებულმა მზემ ღიმილით გადმოხედა დედამიწას და სამური სითბო მოჰფინა. ზამთარმა უკან დაიხია და კეკლუც გაზაფხულს დაუთმო ტახტი.

მინდორ-ველი და ტყე თვალწარმტაცი ზურმუხტით შეიმოსა, ცა გაფირუზდა, ფრთოსნებმა ჭიკჭიკითა და გალობით დაატკბეს არე-მარე.

აგერ, შარშანდელი დამჰქნარი ფოთლებიდან გამოძვრა ჭრელად მოხატული ჭიამაია, შეიმშუშნა, გაიზმორა და კრძალვით აცოცდა ბალახზე. მასაც გაუხარდა გაზაფხულის მოსვლა.

გლესკაცს ათასი საქმე გამოუჩნდა: სხვლა, თოხნა, თესვა, ვაზის გადახვევა. დილაობით ყველანი საკო-

ლმეურნეო მინდვრებისაკენ მიეხურებიან. დღესაც ასე იყო: თითქოს უცებ მოვარდნილმა მდინარემ ჩაიარაო, ისე გადაუარა სოფელს დილის ხმაურმა და საკოლმეურნეო მინდვრებში გაითანტა...

მაია აღიზვილი,

თბილისის 71-ე საშუალო სკოლა, IX კლასი.

### მთავი კელანდა

ნისლში გახვეული მთები მელანდება, ქალაქში მათზე ფიქრი მინთია კელატრებად. მთვარე იქაური მე მზედ მეჩვენება, მწარე იქაური თაფლად მეჩვენება, ღამე იქაური დილად მეჩვენება, რკოც კი იქაური ხილად მეჩვენება... მცხუნვარე თბილისში სვიმი\* მენატრება, ჩემი მშობლიური სვანეთი მელანდება.

### უამოდგომა

სიო ქროდა გრილი, ნელი, დაბინდული ვნახე ზეცა, და მაშინვე სანატრელი შემოდგომის სუნი მეცა.

მძიმედ იყო დახუნძლული ხე ატმისა, ვაშლის, მსხალის... შემოდგომის მეცა სუნი, შემოდგომის ვიგრძენ ძალი.

გამიხარა ფიქრმა გული, მზემ ღრუბელი გადაკეცა, მესმა ჩიტთა ყრიაშული, შემოდგომის სუნი მეცა.

გარდია გველგანიანი,

თბილისის 167-ე საშუალო სკოლა, IX კლასი.

\* სვიმი — მყავე წყალი.



# მამულა

პენს ქაუზე

მხატვარი ი. სამსონაძე

## იუმორისტული მოთხრობა

მე და მონიკა ტყუბები ვართ. ჩვენი ძმა კალე წლინახევრით უფროსია. სამივენი ერთსა და იმავე სკოლაში ვსწავლობთ. კალე მეშვიდე კლასშია, ჩვენ კი — მეექვსეში. ამ უმცროსობის გამო მე და მონიკა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით. წამდაუწუმ ჩაგვძახიან: თქვენი ძმის მაგალითს მიჰბაძეთო. კალე ნამდვილად კარგი ბიჭია, ჩინებულად სწავლობს და სპორტულ შეჯიბრებებშიც ხშირად იმარჯვებს. პიონერთა რაზმშიც ერთ-ერთი საუკეთესოა. სულაც არ არის გასაკვირი, რომ უკვე მესამედ აირჩიეს რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ. მან თავის წილად ასზე მეტი ხე დარგო, კედლის გაზეთში საგანგებოდ მისი სურათიც კი გამოაკრეს. „კალე ვინერი ბევრისათვის ბრწყინვალე მაგალითია“, — ეწერა ფოტოს ქვეშ. კალე ამ ფოტოთი ძალიან ამაყობდა. მერე ის სურათი ჩარჩოში ჩასვა და საწოლთან დაიკიდა.

— ჰა, რას იტყვი, გოგონებო? — გვკითხა თავმომწონედ. მე და მონიკამ ხოტბა შევასხით. კალე პატივმოყვარეობით იღიმებოდა. მერე კი... დაბრიყვება მოგვინდომა და ჩვენს თვალში ფასი დაკარგა. ეს ამბავი ნაგვის სათლიდან დაიწყო. სამზარეულოში გვითხრა: თქვენ უფრო ნორჩი ფეხები გაქვთ და ამ სათლს სანაგვეში უფრო სწრაფად წააცუხცუხებთო.

მერე აღარც საოჯახო საყიდლებზე დადიოდა. ყველაფერი ჩვენი გასაკეთებელი გახდა.

— რა მეფესავით ბრძანებლობ! — ვუსაყვედურებდით მე და მონიკა. — შენი მოსამსახურეები ხომ არა ვართ!

კალე ხელს აგდებულად აგვიქნევდა და ქედმაღლურად გვეუბნებოდა:

— რამდენს ჰიჭყინებთ, ლაწირაკებო, გირჩეენიათ, ცოტა გაინძრეთ,

თორემ გასუქდებით და დასნეულდებით; რატომ ჯანმრთელობას არ უფრთხილდებით? — მერე უდარდელად გაიხურავდა კარს და უამრავ საქმეს გვიტოვებდა.

იმის ნაცვლად, რომ ბოლოსდაბო-

ლოს ჰკუაზე მოსულიყო, თანდათან კიდეც უფრო გათავხედდა. დალაგება-დასუფთავებაზე აღარ ფიქრობდა, ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული, გეგონებოდათ, ყაჩაღებს უთარეშიათო. თავის ტალახიან ბუცებსაც კი ჩვენ გვაწმენდინებდა. რა უნდა გვექნა?! მშობლებს მოხმარება არ შეეძლოთ. მამა შორეულ მხარეში დიდ მშენებლობაზე მუშაობდა, დედა კი მთელ დღეს ფაბრიკაში იყო და თანაც დაუსწრებლად სწავლობდა. ბოლოს გადავწყვიტეთ, ჩვენი გაჭირვება კალეს პიონე-



რთა რაზმისთვის შეგვეჩვილა და შეველა გვეთხოვა. მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, მისამართი შეგვეშალა.

— კალეთი დიდად კმაყოფილები ვართ, ალბათ დამნაშავე თქვენ თვითონა ხართო, — გაგვიცრუეს იმედი.

აი, ჭკუის კოლოფები! მთელ ორ დღეს ვვიშვიშებდით საგონებელში ჩავარდნილები. გაგონილა ასეთი რამ?! პიონერი და თანაც რაზმის საბჭოს თავმჯდომარე გრაფივით იზღინებდა, ამდენ უსამართლობას სჩადის და პასუხს კი არავინ სთხოვს!

მონიკას შეეთავაზე, რჩევა ერიკასათვის გვეთხოვა. ერიკა ჩვენი სკოლის პიონერხელმძღვანელია.

— აი, ნახავ, ის კალეს რაზმივით უყურადღებოდ არ მოგვექცევა, — დავაიმედე მონიკა.

მართლაც, ერიკამ მაშინვე დახმარება აღგვითქვა.

— ჩვენ კალე ტახტიდან უნდა ჩამოვაგდოთ, — თქვა მან. მერე ცოტა ხანს ჩაფიქრდა და ეშმაკურად გაიღიმა, ეტყობოდა, თავში რაღაც იდეა დაებადა. — ამ შაბათს კალეს რაზმის წევრები დაქსვალდის ახალგაზრდულ ტურბაზაში მიდიან, ღამე იქ უნდა გაათიონ. — განაგრძო ერიკამ. — ვფიქრობ, კალეს კვირა დილას ვეწვიოთ. თქვენ საშუალება გექნებათ იქ, კალეს რაზმის თვალწინ მოემსახუროთ და სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენოთ. დარწმუნებული ვარ, ამით საქმეს ეშველება. თანახმა ხართ?

რა კითხვა უნდოდა! ცხადია, თანახმა ვიყავით.

მე და მონიკას კვირამდე მოთმინება აღარა გვყოფნიდა. ერიკამ ქალაქის თეატრიდან კოსტიუმებით მოგვამარაგა. ეს შუა საუკუნეების მეფეთა პაეების ტანსაცმელი იყო. ჩვენი ძმა გაცოცხლებული დარჩებოდა.

დაქსვალდის გზას ერიკასთან ერთად დილაადრიან გავუდევით და ტურბაზაში დროულად ჩავედით. ჯერ ისევ ყველას ეძინა. მე და მონიკა კოსტიუმებში გამოვეწყვეთ და ნამდვილ პაეებს დავემსგავსეთ. ტურბაზის დირექტორმა (მან ერიკასთან

უკვე ყველაფერი იცოდა) რაზმელები ლოგინებიდან წამოშალა. გოგონები და ბიჭები დილის ვარჯიშისათვის მოედანზე გავიდნენ. ამასობაში ჩვენც გამოეჩნდით. კალე სწორედ იმ დროს პირსაბანისკენ მიიჩქაროდა. წინ გადაუდევით და მიწამდე დავუკარით თავი.

— დილა მშვიდობისა, დილო მეფეო, — მიესალმა ზეიმურად მონიკა. — გეახელით შენი მსახურები და ბრძანებებს ველით. ნება გვიბოძე, პირსახოცი ჩვენ წამოგილოთ და კბილების გახეხვაში მოგეხმაროთ.

კალე მოგვაშტერდა. — გადაირიეთ? — წაიდუღუნა უკმაყოფილოდ. — რას ნიშნავს ეს სპექტაკლი? ახლავ თავიდან მომწყდით!

— ოჰ, ეტყობა, ჩვენს ბატონს ცუდად ეძინა, გუნებაზე ვერ არის, — თქვა დანანებით მონიკამ.

— საბრალო მეფე კალე, საბრალო მეფე კალე! — შევძახე მეც ხმამაღლა. ყოველი მხრიდან გოგონები და ბიჭები ცნობისმოყვარეობით ჩვენკენ გამოეშურნენ. კალე პირსაბანისკენ გაიქცა. იქ საიმედო თავშესაფარი ეგულებოდა, კარებზე ეწერა: „მხოლოდ ბიჭებისათვის“.

გარეთ დაველოდეთ. მალე კალეს ახლო მეგობარი რუდი კელერი მოგვიახლოვდა.

— რას ნიშნავს ეს? აჯობებდა, თქვენს თოჯინებთან გეთამაშათ!

— გთხოვ, ხელს ნუ გვიშლი, — მივუგე თავაზიანად, — ჩვენს ძმას ვემსახურებით. დიდ მეფე კალეს ვესაჭიროებით, უმსახუროდ ცხოვრება არ შეუძლია. შინ ასეა შეჩვეული...

კალემ პირი დაიბანა, თმა დაივარცხნა და პირსაბანიდან გამოვიდა.

— აი, მეფე კალე მოდის! — წამოიძახა ერთხმად რამდენიმე რაზმელმა, რომლებსაც ჩვენი თამაში მოეწონათ. კალემ ბრაზიანად შემოგვხედდა.

— დილო მეფეო, მოწყალეობა მოიღე და თქვენი ფეხსაცმლის გაწმენდის უფლება დაგვრთე. თქვენი სათუთი თითები აფსუსია ამ უხეში სამუშაოსათვის, — მიმართა მონიკამ.

ყველა იცინოდა. კალემ საძინებელი ოთახისაკენ გასწია ტანისამოსი ჩასაცემლად. ერიკა ყველაფერს თვალყურს ადევნებდა. მან მოგვიხმო და შეგვაქო:

— დიდებული სცენა გაითამაშეთ, კალეს ტახტი უკვე ჭრიალებს.

სადილობისას ისევ წინ გამოვეჭიმეთ. მონიკას სავარძლის ბალიში ეჭირა ხელში, მე კი — ყავის ფინჯანი.

— ინებეთ, დილო მეფეო! — წარმოვთქვი მოწიწებით და თავი მიწამდე დავხარეთ. კალემ ყავის ფინჯანი გვერდზე გასწია, სავარძლის ბალიშს კი იქვე კუთხეში მიგდებდა დაუბირა, მაგრამ რაზმი აუჯანყდა.

— არავითარ შემთხვევაში! ჩვენი მეფე რბილად უნდა იჯდეს, — შეჰყვირა ყველამ ერთხმად. — აბა, მთავრით მეფეს სასმელ-საჭმელი.

კალე იძულებული გახდა დამორჩილებოდა. იგი რბილ ბალიშზე დაჯდა და ყავა მოწრუბა. ეტყობოდა, სმა-ჭამის ხასიათზე არ იყო. სახე აჭარბებოდა.

„საბრალო კალე“, — გავიფიქრე გუნებაში. ჩვენი უფროსი ძმა ახლანამდვილად შემეცოდა.

ერიკამ ბატონ მიუღერს ხმადაბლა რაღაც უთხრა. ორივემ კალეს შეხედა.

— კალე, რამის თქმა ხომ არ გინდა? აი, გისმენთ, — მიმართა ბატონმა მიუღერმა.

კალე წამოდგა.

— სრული სიმართლეა, მე, მე... ამ უკანასკნელ ხანს შინ ფუქსაეატურ ცხოვრებას ვეწეოდი, დებს ვაიძულებდი, მომსახურებოდნენ, მაგრამ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდება. პირობას ვიძლევი...

დაჯდა. ვხედავდი, მღელვარებისაგან ხელები როგორ უკანკალებდა. ძალიან შემებრალა. მივირბინე და პაქცემ.

ყველამ მხიარული ყიყინით ტამი დასცხო.

ერიკა წამოხტა და დაიძახა: — ვაშაა, მეფე მოკვდა! გაუმარჯოს ჩვენი რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს!


გერმანულიდან თარგმნა  
ფოთა ამირანაშვილი

**საქართველოს  
სსრკ  
ნითელი  
ნიბნი**

**საქართველოს  
სსრკ  
ნითელი  
ნიბნი**

**საქართველოს  
სსრკ  
ნითელი  
ნიბნი**

ირემი ისეთ ტყეებში ბინადრობს, სადაც ფართო ბალახიანი ველები სუბალპურ და ალპურ მდელოებში გადადის და თან წყლიანი ხეები და ბუნებრივი სამარილები ახლავს. ირემს უწყლოდ არსებობა არ შეუძლია, იგი მას იყენებს როგორც სასმელად, ისე საბანაოდ. წყლისა და მარილისთვის საკმაოდ დიდ მანძილზე დადის. მარილი ირემს წლის ყველა დროს სჭირდება. ძოვს დილით და საღამოს, დღისით კი ისვენებს, ჰუმს ბა-



ლახს, ტოტებს, ყლორტებს და ხეების კვირტებს, ერთ ჯერზე 15-20 კგ საკვები სჭირდება.

ჩვენს ტყეებში ირემის ადგილ-სამყოფელის ფართობი ტყეების გამეჩხვრებისა და ჩხვის გამო გაიზარდა, სამაგიეროდ, სუბალპურ და ალპურ ზონებში საძოვრების ინტენსიური გამოყენების გამო შემცირდა. ამჟამად ირემის რიცხოვნობა საქართველოში 700-800 სულს არ აღემატება.

ირემის სხეულის სიგრძე 2,5-3,0 მეტრამდეა, სიმაღლე მინდაში — 120-160 სმ, წონა — 200-400 კგ. მდედრი შესამჩნევად ნაკლები ზომისაა, ვიდრე მამრი. რქები 1,5 მეტრამდე სიგრძისა, აქვთ მხოლოდ მამრებს. რქები ყოველწლიურად მარტში სცივიათ, ივლისისათვის კი ახალი რქები უვითარდებათ. საგზაფხულო განგური მთავრდება მაისში და ბუწვი იქნის მოყვითალო შეფერილობის. საშემოდგომო განგური ნოემბრის ბოლოსთვის მთავრდება და მაშინ ბუწვი რუს ფერს იქნის. ნუკრებს აქვთ მკაფიო შეფერილობა და მრავალი ლაქა.

ირემი მაის-ივნისში შობს ერთ ნუკრს. დედა პირველად არ ატარებს მას, ბალახებში მალავს. ერთი თვის შემდეგ კი ნუკრი თან დასდევს დედას. ირემი ცოცხლობს 20 წლამდე, ტყეებში კი — 6-8 წლამდე.

ირემის მტრებიდან აღსანიშნავია მგელი, ფოცხვერი, მანჯანჭლა ძაღლები; მისი რიცხოვნობის შემცირების ძირითადი მიზეზებია ბრაკონიერობა, ნაკრძალში მგლის სიმრავლე, ადამიანის გავლენით მისი ადგილმონაცვლეობისა და გავრცელების შეზღუდვა. ირემი ადვილად ეჩვევა ადამიანს, კარგად იტანს ტყეობას და მრავლდება კიდევ.

ირემზე ნადირობა აიკრძალა საბჭოთა სელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე ჯერ განსაზღვრული, შემდეგ კი განუსაზღვრელი ვადით. ამჟამად ირემზე ყოველგვარი ნადირობა (სამეცნიერო მიზნითაც კი) აკრძალულია.

ირემი გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდილო აფრიკასა და ჩრდილო ამერიკაში. საქართველოში ბინადრობს ირემის ქვესახეობა — კავკასიური ირემი. ამჟამად კავკასიური ირემი მხოლოდ მთის ტყეების ზოგიერთ უბანში გვხვდება და ისიც — მცირე რაოდენობით. ჭალის ტყეებში, გარდა გარდაბნის სატყეო-სამონადირეო მუხრნეობისა, აღარსად ბინადრობს. გვხვდება მხოლოდ ბორჯომის, ლაგოდეხისა და საგურამოს ნაკრძალებში, ერთეულების სახით კი — ყვარლის, დუშეთის, ლენინგორის, კასპის, ცხინვალის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის რაიონებში და აფხაზეთში — გზიფის ხეობაში, რიწის ნაკრძალში.

**საინჟინერო  
საზღვაო**

**ტანპარი  
ცხვრებისათვის**

ახლო და შუა აღმოსავლეთის მცხოვრებთა საყვარელი კერძი ცხვრის ხორცია, მაგრამ ნახევრად უდაბნოში ცხვრის მომრავლება ძნელი საქმეა. ამიტომ ისინი იმედის თვლით გასცქერავენ ავსტრალიას. მაგრამ ავსტრალიაც რომ შორსაა? შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მოხაზა შვედურმა ფირმამ. მან ააგო ათსართულიანი გემი, რომელსაც ერთი რეისით 30 ათასამდე ცხვრის გადაყვანა შეუძლია, მაგრამ არც ასეთი გემი აღმოჩნდა სა-

კმარისი. ამჟამად ამავე მიზნით იაპონიაში აგებენ 50 000 ტ წყალწყვის მქონე ტანკერს.

**პლასტმასა — ხის ნაცვლად**

ერთი ინგლისური ფირმა შეუდგა პლასტმასის სატელეგრაფო ბოძების დამზადებას, რომელთა სიმაღლე 12 მეტრია, ფუძის დიამეტრი — 245 მმ, წვეროსი კი 120 მმ.

პლასტმასის ბოძები ხისაზე 4-ჯერ იაფი ღირს, მათი „სამსახურის“ ვადა 40 წელია.

**საწმკობარ-თარმომებარი**

სიცხის გაზომვა სამედიცინო პროცედურათა შორის ყველაზე უწყინარია, მაგრამ მდგომარეობა საგრძნობლად რთულდება,

როცა საქმე ჩვილ ბავშვებს ეხება — პატარებს ხომ სიცხის გაზომვა საოცრად ეზარებათ.

ამერიკელმა სპეციალისტებმა გლიცერინით სავსე საწოვარათერმომეტრი გამოიგონეს, რომელშიაც თბომგრძნობიარე ბუნებრივი ქოლესტერინიანი მწვანე დისკოა მოთავსებული. როგორც კი ტემპერატურა 37,7-ს გადააჭარბებს, დისკო შავდება.

**ავტომობილის ახალი მოდელი**

კანადელმა დიზაინერებმა შექმნეს ავტომობილი, რომლის ზედაპირი პოლიურეტანის პანელებითაა დაფარული და ძლიერ დარტყმებს იტანს. პანელზე არ მოქმედებს კოროზია, იგი არ სკდება და არ ფუჭდება, მაგრამ თუ მინც დაზი-

ანდა, მძღოლს რამდენიმე წუთში შეუძლია მისი გამოცვლა.

**ბაგირითა და რელსით**

პირველი რელსიანი სამთო საბაგირო გზა ააგეს ავსტრიელმა ინჟინრებმა 1892 წელს. აქედან მოკიდებული, ამ ტრანსპორტმა არაერთი ცვლილება განიცადა. გაჩნდა საკიდე ქანქარაინი, კაბინური, საბუქსირო გზები (ავსტრიაში ამჟამად 4 ათასზე მეტი ასეთი გზაა!). მაგრამ რელსიანი გზები ყველაზე საიმედოა და მათ დღემდე აგებენ ხოლმე. თანაც ისინი ახლა განსაკუთრებით კომფორტული და ორიგინალური გახლავთ, გარდა ამისა, სინქრეტ საკმაოდ მაღალია — 15 კილომეტრი საათში.



# უხეჩი წიგნაჲი

## ახთანლილ ბურგენიქა პაპე პიჭის პაპაპი

ბევრი თქვენგანისათვის და თქვენი პატარა დაძმებისათვისაც მიუნიჭებია სიხარული ავთანლილ გურგენიძის საბავშვო



ვო ლექსებს. დარწმუნებული ვართ, ბევრსაც ზეპირად დავისწავლიათ ისინი. ჰოდა, გამომცემლობა „ნაკადულმა“, რომელმაც კარგად იცის თქვენი და-

მოკიდებულება პოეტთან, ახლახან გამოსცა მისი ახალი ლექსების კრებული სათაურით „ბეჭე ბიჭის ამბავი“.

დიდი ბეჭემოთის შვილის, პატარა ბეჭეს ამბავი თქვენთვის ცნობილია. მის თავს გადამხლარ ფათერაკებს ამ წიგნშიაც გავცნობით და ბევრსაც იცინებთ. მაგრამ ბეჭეს თავგადასავლის გარდა კრებულში სხვა მშვენიერი ლექსებიცაა შეტანილი. ისევე, როგორც თავად თქვენ, თქვენი პატარა დაძმების უმრავლესობაც მშობლებს მხარში უდგას, საოჯახო საქმეში ეხმარება, არ ზარმაცობს, უურადლებიანია, — ერთი სიტყვით, ბეჭეს როდი ჰგავს. თუმცა... თუმცა შეიძლება ისეთი ბავშვებიც შეგვხვდნენ, რომლებმაც არ იციან, უყარათობა დანაშაული რომ არის და ამიტომ არად დაგიდევნ დღისით მოჩახჩახე ელექტრონათურას, იატაკზე დაგდებულ პურის ნაჭერს ან ღიად დარჩენილ ონკანს. აი, ასეთებზე ამბობს პოეტი: „ონკანიდან წყალი მოჩქევს, ატალახდა მთელი ეზო... სუყველაფერს ხედავს გია, სუყველაფერს ხედავს რეზო, ორივენი ღია ონკანს აუღლიან, ჩაუღლიან... ხომ არაფერს აშავენ? — მაინც დანაშაულია!“

ალბათ თქვენც დაეთანხმებით პოეტს, რომ გია და რეზო, მართლაც, სწორად არ იქცევიან.

## ნოღარ შამანაქა წითალი ვაზლი ვის უნდა?

პოეტმა ნოღარ შამანაქემ თავისი ახალი ლექსების წიგნი („წითელი ვაზლი ვის უნდა?“), რომელიც „ნაკადულმა“ გამოსცა, უმცროსკლასელებს მიუძღვნა. ავტორი კარგად იცნობს მოზარდების ხასიათს, ჩვეულებებს, მათი ინტერესების სფეროს. ამიტომაც, ალბათ, გეცნობათ ღია, რომელიც კაქაჰივით ბევრს ლაპარაკობს, ჭერ სიტყვას იტყვის და მერე ფიქრობს, რისი თქმა სურდა; ცრუ, რომელსაც მართალსაც აღარ უჭერებენ; პატარა გოგონა ციური, რომელმაც პირველი ჭუთიანი საყვარელ ბებიას მიუძღვნა. ან, აი, ხომ გეცნობათ ასეთი სურათი:

ქეთინომ უთხრა ამირანს:  
— შენი ძმობილი არ მიყვარს.  
— რა დააშავა ესეთი?  
— ქვევარა აქვს კაცური, პირში სულ მუღამ კევი აქვს, დაღის ტუჩების ცმაცუნით.



ზე უზომოდ შეყვარებული, მეგობრის ერთგული, მშობლების ამავის ჭეროვნად დამფასებელი, მცოდნე და ჭანსალი ვაჟი თუ ქალი. და კიდევ — იყოთ იმ არწივივით მიზანსწრაფული, რომელიც ზოგჯერ ტყვეა და გალიის განგარევაზე, ცაში ირავს კვრავზე, თავისუფლებაზე ოცნებობს, იმ არწივივით, რომელზედაც ძერამ თქვა: „აბა როგორ განგარეგვს ამ ვეება რკინებსო, მაგრამ მაინც კარგია, რომ არ კარგავს იმედსო“...

## ბულბული

ამ რამდენიმე წლის წინათ, მაისის მიწურულში, თბილისში, სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე, მოეწყო სანადირო ძაღლების, დეკორატიული ფრინველების, მცენარეებისა და აკვარიუმის თევზების რესპუბლიკური გამოფენა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.




დგომის პირზე გაუთავისუფლებია, ის კი გაზაფხულზე უკანვე დაბრუნებულა. ასეთი რამ კი, დამერწმუნეთ, არცთუ ხშირად ხდება.  
მას, ვინც ბულბულის მოვლა-პატრონობა გადაწყვიტა, უნდა ესმოდეს, რომ საქმაოდ მძიმე ტვირთს ჰკიდებს ხელს.  
ყველა ბულბული ერთნაირად

როდი გალობს. მათგან ზოგი ჩვეულებრივი, რიგითი მომღერალია, ზოგი კი თავისი საქმის დიდოსტატი, ნამდვილი ვი-

რტუოზი გახლავთ. თქვენ, რა თქმა უნდა, ვირტუოზს აირჩევთ, და ეს ბუნებრივიცაა. თავისუფალი ბულბული მწე-





# გულნითა

რებითა და მათი მატლებით იკვებება, ტყვეობაში დღეში ორჯერ უნდა აჭამოთ. მისი საკვები მრავალფეროვანია; გახეხილ სტაფილოსთან შერეული ჭიანჭველის კვერცხები ან ფჭვილის მატლები, წვრილად დაკეპილი მონარშული ხორცი, შვრიის ნორჩი აღმონაცენი, მაცვლის, ულოხს, ანწლის, მოცხარის ნაყოფი.

წედან ვახსენე, ბულბული საკმაოდ შეუხედავი ჩიტა-მეთქი. მაგრამ თუ დაუყვირდებით, დამეთანხმებით, რომ მისი შავი ცოცხალი თვალები და გრძელი ფეხები ძალზე მიმზიდველად გამოიყურებიან.

ბულბულს მოჩუხჩუხე ნაკადულეები, ხეებითა და ბუჩქნარით დაფარული ადგილები უყვარს. ცხოვრობს დაბლა, მიწის სიახლოვეს. მიწაზე ბედურასავით დახტის. მისი ბულბული ისეა გარემოსთან შეხამებული, რომ შემჩნევა თითქმის შეუძლებელია. გალობს დილით და საღამომოთ, დღისით — იშვიათად.

ბულბულს მეტად ძლიერი ხმა აქვს და მისი გალობა სხვა ფრინველების ხმას ფარავს ხოლმე. ამიტომ ამბობენ, ბულბული რომ გალობას იწყებს, სხვა ჩიტები ჩუმდებიანო.

გაზაფხულზე, როცა არემარე მწვანით შეიმოსება და მწერები მომრავლდებიან, ბულბულიც მოფრინდება შორეული ქვეყნიდან და თავისი გალობით ატკობს დიდსა და პატარას.

ახალდაჭერილი ბულბული თეთრი ქსოვილით დაფარულ გალიაში უნდა ჩახვთო (გალია საკმაოდ დიდი უნდა იყოს) და დღეში ორჯერ კვებოთ. ჩვეულებრივ, ორიოდ კვირაში ჩიტი ტყვეობას ეჩვევა. ამ დროს მის გალიას ქსოვილი უნდა მოაცალოთ, თუ ყველაფერი რიგზეა, ბულბული იწყებს გალობას.

სასურველია, სექტემბრის დასაწყისში თქვენი ტყვე გაათავისუფლოთ. იგი გამოსაჯამებლად ჩრდილო აფრიკაში, არაბეთში ან სამხრეთ ირანში გაფრინდება. თუ კარგად, გულიანად მოუვლით და თავს შეაყვარებთ, შეიძლება გაზაფხულზე დაგიბრუნდეთ კიდეც.

ალიონზე, ცისკიდური ფერს იცვლის თუ არა, ხის კენჭებზე პაწაწინა, მხიარული ჩიტუნა შემოაჯდება და ხალისიან და სახიამოვნო ჭიკჭიკს იწყებს. ეს გულწითელია გახლავთ. იგი გალობს საღამომოთაც. დღისით სხვა საქმიანობითა დაკავებული — ან ბარტყებს უვლის, ან საკვების მოსაპოვებლად დაფრინავს აღმა-დაღმა.

გულწითელი ძალზე მიმზიდვით ფრინველია, ტყვეობას სწრაფად ეჩვევა და შეიძლება პირველსავე დღეებში გაბედოს თქვენი ხელისგულიდან საკენკის ჭამა.

გალიის პირობებში გულწითელი თანამომკმეებს ვერ ეგუება და ეჩხუბება კიდეც, სხვა სახეობის ფრინველებთან კი ძალზე თვინიერი და გულდიაა. საოცარი სინაზით ექცევა არა მარტო საკუთარ, არამედ სხვის ბარტყებსაც, აჭმევს მათ და, თუ სჭირდებათ, სიამოვნებათ უნაწილებს თავისი სხეულის სითბოს.

დატყვევებული გულწითელია, შეიძლება ითქვას, ნახევარი ხმით გალობს. გალობას ადრე გაზაფხულზე იწყებს და გვიან



შემოდგომაზე ამთავრებს. ბულბულის მსგავსად, გულწითელიც სუსტინესკარტიანი ფრინველია და ისიც რთული შედგენილობის საკვებით იკვებება. ამ საკვებთან ერთად მას დროდადრო ყაყაროს თესლიც უნდა აძლიოთ ხოლმე.

ი. ანდრეივი



## ტყუირი ეპიგამი

ვინც ჭიანჭველათა ჩვევებს იცნობს, მისთვის ძნელად ასახსნელი ფაქტია ერთი და იმავე ჭიანჭველეთის წარმომადგენელთა ორთაბრძოლა. აი, ერთმანეთს შეეტაკა ორი ჭიანჭველა, ერთი გააფთრებით უტევს, მეორე — თავს იცავს. საქმე იმით თავდება, რომ გამარჯვებული ჩხუბისთავი ამაყად ტოვებს ბრძოლის ველს, ხოლო მისი ფეხებწაკვეთილი მოპირდაპირე ადგილზე რჩება.

ნატურალისტებმა, რომლებმაც დაკვირვებით შეისწავლეს ასეთ „დუელთა“ დიდი რიცხვი, აღმოაჩინეს, რომ ეს თურმე ჩხუბი კი არ ყოფილა, არამედ ჩვეულებრივი... ამბუტაცია — მოტყეხილი კიდურების მოცილება ქირურგიული ჩარევის გზით...

ერთმანეთს მკურნალობენ ძუძუმწოვრები და ფრინველებიც. მაგალითად, მაჩვმა ადამიანზე დიდი ხნით ადრე აღმოაჩინა მინერალური წყლების სამკურნალო თვისება. მოზრდილი მაჩვები, რომლებიც თავიანთ პატარებს კანის დაავადებას შეამჩნევენ, აძულდებენ მათ იყუყუმალაონ მინერალურ წყაროში. ველური ბოცვერი ჭრილობაზე წებოვან აბლაბუდას იფენს — ამით სისხლდენასაც იჩერებს და ტკივილიც უამდება. დედალი სპილოები მშობიარობისას ერთმანეთს ეხმარებიან. დედაინებს წყლის სიღრმიდან ზედაპირზე ამოპყავთ თანამომე, რომ იგი წყალში არ გაიგუდოს. კამეჩები თბილ ტალახში წოლით იშუშებენ განაქარს, კრილობასა და წულულებს.

ნატურალისტებმა უენიშნეს, თუ როგორ დაადო ერთხელ მტკივან ფეხზე ტალახისა და

ბალახის მომსხო ღეროებისაგან გაკეთებული „არტაშინის“ ერთმა ვალდუნებამა მკურნალობის უნახავთ, როგორ ჩაიდო „თაბაშირში“ მოტყეხილი ფეხი შოტლანდიურმა გნოლმა — გარშემო ტალახის სქელი ფენა შემოიკრა.

ბევრი ცხოველი იცნობს ჰომეოპათიას (ბალახეულით მკურნალობის მეთოდს). მოწამლული გარეული კატა ტყეში პოულლობს და ჭამს ბალახს, რომელიც გულისრევას იწვევს. მაიმუნი გაბონი, რომელსაც სტომატიტი აწუხებს, წულულზე დაცოხნილ სამკურნალო მცენარის ფოთოლს იღებს ხოლმე.

ცხადია, თანამედროვე მედიცინის არსენალი მდიდარი და მრავალფეროვანია, მაგრამ იქნებ ტყუირ მკურნალობაგანაც გვესწავლა ზოგი რამ?

## გიგანტური ატლასი

ბერლინის საქალაქო ბიბლიოთეკაში ინახება ატლასი, რომლის ზომებია 170 X 110 სმ. იგი XVII საუკუნეში შეუდგენიათ და დღემდე ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კარტოგრაფიულ გამოცემადა. ამ გიგანტურ ატლასში 85 კედლის რუკა შედის, ხოლო მისი წონა — არც მეტი, არც ნაკლები — 175 კილოგრამია.

## ძანდაკმბა... მითივემითა გაღეუი

კუნძულ ლემნოსის მახლობლად (ეგეოსის ზღვაში) მეთევზეთა ბადეში მოხვდა ბრინჯაოს ქანდაკება. არქეოლოგთა აზრით, ეს არის პირველი რომაული იმპერატორის ოქტავიანე ავგუსტუსის სკულპტურა, რომელიც მაკედონიელ ოსტატთა ნახელავია. ამ პერიოდის ბრინჯაოს ქანდაკებები საკმაო იშვიათობად ითვლება. საბერძნეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი ქანდაკება აღსადგენად ათენში გააგზავნეს.

## ყველა გოგონა „შავპილია“

პანამის ქალაქ სან-ბლასში საინტერესო ჩვეულებაა შემორჩენილი: აქ ყველა გოგონას 12 წლამდე „ყვავილს“ ეძახიან. მხოლოდ შემდეგ არქმევენ მათ ქალის ჩვეულებრივ სახელს.





განყოფილებას  
ხელმძღვანელობს  
საქართველოს სსრ  
დამხმარებელი  
მწვრთნელი  
ზორბა ინჟირაძე

**იცნობდეთ — ეს  
ქეთი კახიანი!**

საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი გოგონებში, დიდლილოელი 13 წლის ოსტატობის კანდიდატი ქეთევან კახიანი ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოჭადრაკეა. მის შემოქმედებაში სტრატეგია შეჯერებულია ტაქტიკური ოპერაციებით და რამდენადმე მოგვაგონებს სმისლოვ-კარპოვის ხელწერას. ცნობილია: სტილი — ეს პიროვნებაა, და ქეთი კახიანის თამაშის მანერაც მისი ბუნების გამოხატულებაა, რაც, საერთოდ, მეტად საშუაო რამ არის. ცხადია, არსებითა ძალა და არა სტილი. საქართველოს ნორჩი ჩემპიონის შემოქმედებიდან გაგაცნობთ რამდენიმე პარტიას მისი საჭადრაკო ძალისა და ხელწერის გასაცნობად. ვნახოთ, თუ როგორი უღმობლობით უსწორდება მაღალკვალიფიციურ მოჭადრაკეებს ქეთი კახიანი 11-12 წლის ასაკში.

მასალის მომზადებისას ვერ შევძელი პარტიების დასათაურება, განსაკუთრებით ეს შეეხება სატულოვსკაიასთან ნათამაშე პარტიას. აღმოჩნდა, რომ ქეთი კახიანის შემოქმედებაში თემატურობა გამოკვეთილი არ არის, ის ძნელად ან სრულიად არ ექვემდებარება კლასიფიკაციას. თუ ამას დავუმატებთ მის ბრძოლისუნარიანობას, შეიძლება ვივარაუ-

დოთ, რომ ქალ მოჭადრაკეებს ქეთი კახიანის სახით ელით მეტად ძნელი მეტოქე. თვითმყოფადობით, არასტანდარტულობით ის გაფრინდაშვილ-ჩიბურდანიძეს ენათესავება.

**პახინანი** (ოსტატობის კანდიდატი, საქართველო) — ლმპატინი (ოსტატი, ბელორუსია). ლვოვი, 1983 წელი. „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატი ქალებში.

1. d4 გ6 2. c4 კგ7 3. მც3 დ6 4. e4 მც6 5. d5 მდ4 6. კძ3 (უფუხტობა. კარგი გაგრძელებაა 6. კმ3 ც5 7. მგე2 ± მოგვყავს უბილავა-ჩაჩიბაიას პარტია საქართველოს 1984 წლის ვაჟთა ჩემპიონატიდან: 7... ლბ6 8. მა4 ლა5 9. კძ2 ლა6 10. მ×d4 კ×d4 11. მც3 კგ7 12. კე2 მწ6 13. მხ5! მფდ8 14. კც3 კძ7 15. ა4 ხ6 16. 0—0 ეგ8 17. ე5! მე8 18. კწ3 ლბ7 19. ეე1 ა6 20. მა3 კე5 21. კ×e5 de 22. d6 კც6 23. de მფ×e7 24. ე×e5 მფ6 25. ლე1 ედ8 26. ლც3! ედ4 27. მც2 მფ×e5 28. ეე1 მფ6 29. მ×d4 cd 30. ლ×d4 მფგ5 31. ლძ2 მფწ5 32. გ4 მფ6 33. ლძ4 მფგ5 34. ლე3 შავები და ნებდნენ). 6... c5 7. მგე2 მწ6 8. 0—0 0—0 9. მწ კძ7 10. კე3 მე8 11. ეხ1 ეხ8 12. ა3 ხ5 13. მბ მ×h5 14. მ×h5 კ×h5 15. კ×h5 ე×h5 16. ხ4 მბ 17. მძ4! (გადაწყვეტი სვლაა. c6-ზე შეჭრის მუქარა შავებს აიძულებს დათმონ მეტად საჭირო ფიგურა). 17... კ×d4 18. ლ×d4 მწ6 19. ე×h4 გა5 20. ლხ2 ეე8 21. ეე1 მფგ7 22. ეხ7 (..გაუმარჯოს მე-7 ჰორიზონტალს!“ — ნიმცოვიჩი. ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელო-

ვანი მაგისტრალი თეთრების ხელთაა, მათი ძალების მზარდი კოორდინირება მრისხანე სახეს ეღებულობს). 22. ... ე6? 23. ე1c7. ლოპატინა დანება.


მიაქციეთ ყურადღება: შავებმა ვერ გადაწყვიტეს სადებიუტო პრობლემა-განვითარება და, ამდენად, მათ მიერ წამოწყებული აქტიური მოქმედება ლაზიერის ფრთაზე (11. ... ეხ8, 12. ... ხ5) დღემოკლე აღმოჩნდა. გარკვეული როლი ითამაშა თეთრების ტერიტორიულმა უპირატესობამ („ომი — ეს კომუნიკაცია“, ნაპოლეონ).

**პახინანი — უღმობპი** (ოსტატი, ბელორუსია), ერევანი, 1984 წელი. „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატი გოგონებში. 1. d4 მწ6 2. c4 c5 3. d5 ხ5 (ვოლგის გამბიტი) 4. მბ ა6 5. ბა კ×a6 6. გ3 გ6 7. კგ2 კგ7 (საჭიროა 7. ... d6) 8. d6! მც6 9. მც8 0—0 10. მწ6 (მხედარი მიემართება f4-ზე, „d5 უჭრაზე“ კონტროლის გასაძლიერებლად). 10. ... ეა7 11. კე3 ლა5 (ჭობდა 11. ... ლხ6) 12. de ეე8 (12. ... მ×e7 13. ლძ6) 13. 0—0 მ×e7 14. მწ4 კხ7 15. ა4 d5? (ერთი შეხედვით, შავების მდგომარეობა არათუ გამოსწორდა, თითქოს ინიციატივაც მოიპოვეს. კახიანს ეს გათვალისწინებული ჰქონდა). 16. მხ5! (შავების მდგომარეობა უიმედოა). 16. ... ეაა8 17. კ×c5 კც6 18. ხ4! ლძ8 19. მძ4 მე4? 20. კ×e7 ლ×e7 21. მ×c6 ლძ6 22. კ×e4 კ×a1 23. კ×d5! შავები დანებდნენ.

შემდეგ პარტიაში, რომელიც „დინამოს“ ქალთა საკავშირო ჩემპიონატში გათამაშდა, თეთ-

რებით თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონობის კონკრეტული ციკლის მრავალგზის მონაწილე, დიდოსტატი სატულოვსკაია.

**სატულოვსკაია** (დიდოსტატი, მოსკოვი) — პახინანი (ოსტატობის კანდიდატი, დიდილილო). ლვოვი, 1983 წელი. 1. e4 ე5 2. მწ3 მც6 3. კხ5 ა6 4. კა4 მწ6 5. 0—0 ეე7 6. ეე1 ხ5 7. კხ8 დ6 8. c3 0—0 9. ხ3 კხ7 10. d4 ეე8 (ი. ზაიცვის სისტემა) 11. ა4 ხ6 12. მხძ2 კწ8 13. კე2 ed (უკვე შეიძლება პაიკთა ცენტრის დათმობა — შავ ფიგურებს სამოქმედო ასპარეზი ეხსნებათ). 14. cd მბ4 15. კბ1 გ6 16. ეა8 c5 17. ეაე8 კგ7 18. მწ1 (ტალმა ერთ-ერთ პარტიაში ითამაშა 18. d5, რომლის შემდეგ შავებმა კარგი პოზიცია მიიღეს. რეკომენდებული იყო 18. მწ1 შესაძლებელი გაგრძელებით: 18. ... cd 19. მ×d4 ლხ6 20. მგ3 ხელსაყრელ მომენტში მხედრის f5-ზე შეწირვით. კახიანმა მიაგნო უკეთეს გზას) 18. ... მძ7!



ეს პოზიცია ცენტრის ორთოდოქსული და თანამედროვე გაგების დაპირისპირების თვალსაჩინოებაა. შავების e8 ეტლი და ორივე კუ აწვებიან თეთრების პაიკთა ცენტრს. d6 (c5) პაიკი, e8 ფელი, გ7 კუ და d7 მხედარი აკონტროლებენ ენ უჭრას და ამით საგრძნობლად აქარწყლებენ თეთრების ცენტრის პოტენციურ ენერგიას. ეს ცენტრი შეიძლება მივაკუთვნოთ „დაძაბული ცენტრის“ სახეობას, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს ნებისმიერ ფორმაციაში. აქ ცენტრში კონტროლი გადაკვანძულია ლაზიერის ფრთაზე კონტრამაშთან) 19. მ3 ხა 20. ხა ა5 21. კხ2 მხ6 22. მძძ2 კც6 (ცენტრში კონტროლი მნიშვნელოვანი გარანტიაა ლაზიერის ფრთაზე




**ქ. კახიანი ვალრაპუი პაეპრობისას**



აგრესიის წარმატებისათვის) 23. dc  $\times$  a4 24. ლc1  $\times$  b2 25. ლ  $\times$  b2 dc 26. ლc3 c4 27. მეა  $\times$  e5 28. ლ  $\times$  e5  $\times$  d2 29. ლc5 (შავებმა მატერიალური უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ თეთრებს მიეცათ გააქტივების საშუალება). 29. ... ლd8! (კახიანი მოწოდების სიმალდეზეა). 30. e5 მძდ5 31. ეფ3 ეც8 32. ლd4  $\times$  c2! 33. e6  $\times$  b1 34. ef მე  $\times$  f7 35.  $\times$  b1 მფ6 36. ლf4 მეფ7 (ჯობდა 36. ... გ5 37. ლf5 ეც6 და შემდეგ ლd5) 37. ლf3?! (ჯობდა 37. ლf5. შავებს აქაც მოსაგები პოზიცია აქვთ, მაგრამ უფრო მეტი სიძნელის გადალახვა მოუწევდათ. შესაძლებელი ვარიანტი: 37. ლf5 გ5 38. h4 გ4 39. f8 ლd4 40. მეფ2 ეც5) 37. ... c8 38. ეc1 c2 39. ლb3 ლd2 (შავები კვლავ ეუფლებიან ინიციატივას და, ამდენად, მატერიალური უპირატესობის რეალიზება შესაძლებელი ხდება). 40. ლხ2 ეც7 41. მეფ2 მძ3 42. ლხ6 ეფ7 43.  $\times$  d3 ლ  $\times$  c1 44. ეც3 ლf4 45. გ3 c1ლ 46.  $\times$  c1 ლ  $\times$  c1 47. ლ  $\times$  a5 მეფ4! აქ კი ზატულღვსკაია დანებდა. მასტაბური პარტია!

27. h4  $\times$  c4 28.  $\times$  c4 bc 29. ლc2 ლc6.  
(ახლა ქეთი კახიანის ტალანტი ძალუმად შლის ფრთებს) 26. ... ლas! 27. ლc3 ეც8! 28. ეc1




28. ... მ  $\times$  e4!! (ეს უკვე დიდი მოჭადრაკის ხელწერაა. რეალური შეწირვა — იგი ეურდნობა პოზიციის შეფასებას და ადლოს — ამ შემთხვევაში უპირატესობის შენარჩუნებისა და მისი შეტევაში გადაზრდის უძლიერეს გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ. გარდა აღნიშნულისა, რეალური შეწირვის განხორციელება მოითხოვს გამბედაობას, რამეთუ შეწირვა არაკონკრეტულია, და, ამდენად, მისი ბოლომდე გათვლა შეუძლებელია). 29.  $\times$  c4  $\times$  c4 30. ლ  $\times$  e4 ლ  $\times$  e4 31.  $\times$  c4 f5 32. ეe1 f4 33. კი2  $\times$  c3 34.  $\times$  c3  $\times$  c3 (პოზიცია გამორჩევა. შავებს მხედარში ორი პაიკი ჰყავთ. h2 კუ ბრძოლის ველიდან გამოთიშულია, მაგრამ შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ეს დროებითი მოვლენაა. აქტიურია შავი ეტლი, მაგრამ შავების ცენტრალური პაიკების გააქტიურება ჭერჭერობით შეუძლებლად გამოიყურება. ცხადია, კახიანს აქამდე ყველაფერი ჰქონდა გათვლილი და შექმნილ ვითარებას წინასწარ თავის სასარგებლოდ აფასებდა). 35. ეე2 ეc1! 36. მე1?! d5!! (შესანიშნავია! ტაქტიკა სტრატეგიის სამსახურში!) თუ ახლა 37.  $\times$  e5, მაშინ 37. ... კხ4 38. მეფ1 d4—+. ეს ვარიანტი შავების უკანასკნელი სვლის ტაქტიკური გამართლებაა.

ხელის ერთი დაკვრით ამოძრავდა ცენტრალური პაიკები და ბრძოლაში ებმება e7 კუ) 37. f3 კc5! 38. მეფ1 (38. მეფ1? კხ4—+) 38. ... d4! 39. ეc2 (39. ეფ1 d3 40. ედ2

$\times$  g1 41. მე  $\times$  g1 ე  $\times$  e1 42. მეფ2 ეე2—+) 40. ...  $\times$  c2 41. მ  $\times$  c2 d3! 42. მა1 კd4!

(ფაქტიურად ზედმეტი ფიგურა შავებს ჰყავთ და არა თეთრებს. პოზიცია ცენტრალიზაციის მნიშვნელობის კარგი ილუსტრაციაა). 43. მეფ1  $\times$  a1 44. მეფ2 კd4! (კახიანი საათის მექანიზმის სიზუსტით მოქმედებს). 45. მე  $\times$  d3 მეფ7 46. h4 კf2 47. hg ხ2 48. მეე2 კd4 49. a4 მეე6 50. გ3 ეფ7 51. გf გf 52. ab ab 53. მეფd3 კc5 54. მეც3 h4 55. მეფd3 ეc3!




თეთრები დანებდნენ ზედმიწევნით სასწავლო პოზიციაა. თამაშიდან ფიგურის გამოთიშვის პრიორიტეტი კაპაბლანკას ეკუთვნის. კაპაბლანკასთან (და სხვა ოსტატებთან) გამოთიშული ფიგურა საკუთარი ან მოწინააღმდეგის პაიკებითაა გარემოცული. აქ კი კუს დატყვევებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი ოპონენტი. გენიალური კაპაბლანკას იდეამ ამ პარტიაში ახლებური ელფერი შეიძინა. პარტია დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი ნორჩი მოჭადრაკის ბრწყინვალე შემოქმედებითი გამარჯვებაა!

„ბიონერის“ 1983 წლის მე-7 (1. კf6!) მე-11 (1. ... მf3!), 1984 წლის 1-ელ (1. ... კf5!!) და მე-3 (1.  $\times$  d4!) ნომრებში დაბეჭდილ დავალებათა სწორი პასუხები პირველებმა გამოგზავნეს: ნ. და კ. აბაშიძეებმა, ვ. ჩხაიძემ, დ. ურუშაძემ, დ. ფირ-


ცხლაიშვილმა, ე. ჩხაიძემ, ნ. ლმა, კ. დავითაიამ, შ. გულაშვილმა, ნ. და ნ. ესიავებმა, ი. შენგელიამ, ე. სურგულაძემ, გ. ლორთქიფანიძემ, მ. კორძაიამ, ლ. მიქელიაშვილმა, მ. ტიკარაძემ, ლ. ჩხაიძემ, დ. ხოსროშვილმა, ა. ბოლქვაძემ, გ. გოგიბერიძემ, ლ. ძიმისტარაშვილმა, კ. კვიციანიძემ, დ. ესიავამ, ი. და ხ. ურუშაძეებმა, მ. გიორგაძემ, გ. კალაიანმა, მ. ლოლაძემ, ლ. და მ. ჭყონიძემა, გ. შალამბერიძემ, ი. იაშვილმა (ბათუმი), გ. ჩავანავამ, ი. სხარულაძემ, თ. ზოიძემ, დ. ამაღლობელმა, ა. სტამბოლიშვილმა, გ. კაკაულაძემ, გ. და გ. კობრიძეებმა, ბ. და ა. მუავანაძეებმა (ქობულეთი), ე. ხარაშმა (ქობულეთის რ-ნი, ქვედა კვირიკე), ო. კარალიძემ, მ. მოწყობილმა (ქობულეთის რ-ნი, გვარა), ჯ. კაკაბაძემ (ქობულეთის რ-ნი, ბობოყვათი), ქ. დარბაზიშვილმა (გურჯაანის რ-ნი, ვაზისუბანი), ლ. ტურაშვილმა, თ. შაკიაშვილმა (გურჯაანის რ-ნი, კარდანახი), თ. შონიამ (ბიჭვინთა), ზ. კანკავამ (გალის რ-ნი, პირველი ვალი), ნ. ფერაძემ (შორაპანი), ნ. წულაიამ (წულუკიძის რ-ნი, ხიდი), ვ. და ზ. კობლაძეებმა (წყალტუბო), კ. კიკვაძემ (წყალტუბოს რ-ნი, ფარცხანაყენევი), მ. და მ. აბულაძეებმა (აბასთუმანი), მ., ვ. და მ. მაჩიტაძეებმა, ქ. კაცაძემ, მ. ვაშაკიძემ (სამტრედია), კ. დარჯინამ (სამტრედის რ-ნი, ახალსოფელი), ე. არიშვილმა (ლანჩხუთი), ი. ქლიბაძემ (1უთაისი), ზ. იგრიაშვილმა, კ. ბიჭინაშვილმა, ს. დათაშვილმა (რუსთავი), თ. ბატიაშვილმა (ლაგოდეხი), მ. მაჩანოვმა (ხორაგაული), გ. თათრიაშვილმა (გორის რ-ნი, ქვახვრელი), ზ. კასრაძემ, მ. ჩერქეზიშვილმა, ხ. მადრაძემ, ნ. ნარიანიშვილმა, ნ. და ვ. შუშკატაშვილებმა, მ. ბატიაშვილმა, გ. ფუხაშვილმა, ი. ადამაშვილმა, კ. სურგულაძემ, ნ. და გ. ტარყაშვილებმა (თბილისი).



ტის ხაზს. ისრების ჩვენება გადაიანგარიშე მასშტაბით, რომლის დადგენაც დაწყობებიან სახაზავზე საათის მოსამართი თავის გაგორებით შეგიძლია.




საკერავი მანქანით კერვისას ზოგჯერ ძაფი მასრას ახსლტება და მანქალს დაეხვევა ხოლმე. შენც ადექი, ცარიელი ძაფის კოტი გადასტერი, მასრას ჩაუდგი და უველაფერი რიგზე იქნება.



სადურგლო გონიოს შეუძლია წარმატებით გასწიოს მოხანიშნი ხელსაწყოს მაგივრობა: საამისოდ საკმარისია ზედ დანაყოფები დაატანო და დაბურლო ა მმ-ის ინტერვალით.




თუ წყალსადინარი მილის ნაცვლად ლითონის ან ქლასტმანის ჩაჭვს გამოიყენებ, ამით კი არ წააგებ რამეს, პირიქით, — ჩაჭვი უფრო მსუბუქია, უფრო იაფია, უინულს არ იკრავს, წვიმის წყალს კი მშვენივრად აძლევს გეზს კასრისაკენ.



შეგიძლია მარტივი სამწვადე თვითონვე დაამზადო. აიდეორი 200x400 მმ ზომის რკინის ფურცელი, ზედ მანქალეები მიამოქლონე და ზემოთ შამფურებისათვის კილოები ამოსტერი. ამით ლაშქრობაში დროსაც მოიგებ და მწვადიც კარგი გამოგივა.



ბოსტნულ მცენარეთა თესვისას კარგ სამსახურს გაგაწევს 80 მმ სიგანე ძელაკი: თუ კვლებში ნაღარს მისი დახმარებით გააკეთებ (ოღონდ ლონივრად უნდა დააწვე), თხლი ერთ სიღრმეზე განლაგდება და აღმონაცენიც თანაბარი იქნება.



რუკაზე მრულხაზოვანი მარშრუტის გასაზომად შეგიძლია გამოიყენო მაჭის საათი. მისი მოსამართი თავი ამოსწიე და გორავით გააყოლე მარშრუ-

მეგობრობისა და სოლიდარობის დიდი ზეიმი	2
ა. ფომინი — ასეთი იყო ჩვენი ბელადი (მოთხრობა)	2
ა. დიდბაშვილი — დიდი ოჯახი; თავთუხის ველები (ლექსები)	3
ლ. კუტუბიძე — სიჭაბუკის განუყრელი თანამგზავრი (წერილი)	4
ა. ლორია — კვამლი მთაში (მოთხრობა, გაგრძელება)	6
მ. ჩხეთიანი — ოუ, ჩელა; ნონას (ლექსები)	12
თ. მებრეველი — „...და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქვასა გული“ (ნარკვევი)	13
ვ. ასლამაშვილი — ცარცით დახატული კარი; ვაზმა გაიღვიძა (მოთხრობები)	16
კოცონი	22
აისი	24
პ. კრაუზე — მეფე კალე (იუმორისტული მოთხრობა)	25
ბუნების კარი	27
საინტერესო სიას ლენი	27
ახალი წიგნები	28
ი. ანდრევი — ჩვენი ფრთოსანი მეგობრები (წერილი)	28
ხადოსნური სარკე	29
მხედრიონი	30
გამოგადგები	32
ცხრაკლიტული	3
თ. ჭალაღია — დიეგო ველასკესი (წერილი)	4

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა თ. ფსნიკიძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შალია

სარედაქციო კოლეგია: ნუზუარ აფხაზაძე, ზურაბ გომეზაძე, ავთანდილ გურბენიძე, დოდო ვადაშკორია, ბიორგი კლიბაძე, როზმარტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრინანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შაფირული, ზურაბ წვერიბაშვილი, ზურაბ ჭუმუზარიძე.

საქართველოს კ. ც. კ. -ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივანი—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცემა ასაწყობად 25. 09. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 11. 84 წ., ქალაქის ფორმატი 60x90<sup>1</sup>/<sub>3</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. № 2164 ტირაჟი 156.000 ეგზ., უე 08288.


თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Формат 60x90<sup>1</sup>/<sub>3</sub>, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 156.000 экз. Цена 20 коп.





**ჩვენ**  
**საგამოყვანი**  
**დარგაზიდან**



**დიეგო ველასკესი**

სიშართლის მხატვარს უწოდებდნენ თანამედროვენი დიეგო როდრიგეს დე სილვა ველასკესს, ესპანეთის მეფის — ფილიპე IV-ის კარის მხატვარს. XVII საუკუნის არცერთ შემოქმედს არ შეუქმნია ისეთი მართალი სურათები, როგორც მას, ღარიბი პორტუგალიელი აზნაურის შვილს. ველასკესის პორტრეტებმა იმთავითვე აღორძინება და განცვიფრება გამოიწვია შესრულების ოსტატობით, გამოსახულ პირთა ხასიათის უაღრესად ზუსტი და ღრმა წვდომით. ცნობილია, მაგალითად, რომ როდესაც რომის პაპმა ინოკენტი X-მ შეხედა ველასკესის მიერ შესრულებულ მის პორტრეტს, სადაც საოცარი სიმახვილით არის გადმოცემული ძალაუფლების მოყვარული, გამპირიანი, ქვიანი და სასტიკი ხასიათი, თავი ვედარ შეიკავა და წამოიძახა: ზედმეტად ზუსტია!

ველასკესის ნიჭი იმდენად დიდი და უდავო იყო, რომ როდესაც 1828 წელს 23 წლის კაბუეი მხატვარი პირველად ჩავიდა

**„მენინები“**

სევილიიდან მადრიდში, უმალ სამეფო კარის მხატვრად დაინიშნა. ცხადია, ახალგაზრდა მხატვარს საუკეთესო პირობები შეუქმნეს, მაგრამ მისი ნიჭი სასახლის კედლებში ჩაიკეტა, მის ხელოვნებას მხოლოდ სამეფო კარის ვიწრო წრე ეცნობოდა. ამის გამო ველასკესის სახელი კარგახანს უცნობი იყო. გამოსავალი ისევ მეფე ფილიპე IV-მ გამოძებნა. მას გულწრფელად უყვარდა მხატვარი და დიდად აფასებდა მის ოსტატობას. მეფის ბრძანებით, ველასკესის პორტრეტები სან ფელიპეს კიბეზე გამოდინეს ქვეყნის დასახნავად.

მადრიდში ცხოვრების 40 წლის მანძილზე ველასკესი ძირითადად სამეფო საგვარეულოს წევრთა პორტრეტებს ხატავდა. მათ შორის გამოირჩევა „მენინები“ — სცენა სამეფო კარის ყოველდღიური, „არაოფიციალური“ ცხოვრებიდან. მხატვარი (ეს თავად ველასკესია) მეფე-დედოფლის პორტრეტს ხატავს, მაგრამ ისინი არ ჩანან, ჩანს მხოლოდ მათი

ანარკლი დიდ სარკეში. ოთახის ცენტრშია მშვენიერი პატარა ინფანტა მარგარიტა, რომელიც ეტუობა, გასართობად მოუყვანიათ ხანგრძლივი სენსით დაღლილ მშობლებთან. ესპანური წესის თანახმად, ერთ-ერთი სეფექალი მუხლმოყრილი აწვდის წყალს გოგონას. ბავშვი მარცხნივ იხედება — იქ, კედელთან, ორი ჭკუა ძაღლს ეთამაშება. უკანა პლანზე გამოსახულია მცველი რაინდი და დუენია, სიღრმეში კი მამაკაცის ფიგურაა ღია კარის ფონზე. „მენინებს“ უწოდეს „იდეალური სურათი ისტორიკოსთათვის“, რადგანაც მასზე გამოსახული ყველა პერსონაჟი სავესებით რეალური პირია, მათი სახეები პორტრეტულად ზუსტია, ცნობილია მათი სახელები და მდგომარეობა. და მაინც, ისტორიული მხარე აქ მეორეხარისხოვანია, მთავარია სურათის წმინდა მხატვრული და უმაღლესი ფერწერული ღირსებები.

განცვიფრებას იწვევს მაღალი და თავისუფალი სივრცე, რომელიც თითქოს სცილდება ჩარჩოს საზღვრებს. ამას მხატვარი აღწევს სურათის ზედმიწევნით გააზრებული და რთული აგებით. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, თითქოსდა მეორეხარისხოვან ისეთ დეტალებს, როგორც არის სარკე უკანა კედელზე და ღია კარი, საიდანაც სინათლე იჭრება. სწორედ ეს აფართოებს სურათის სივრცეს და განსაკუთრებულ დამაჯერებლობას ანიჭებს მას. უკანა პლანი სიბნელეშია ჩაძირული და ამიტომ სხვიების მძლავრი ნაკლით განათებული მთავარი პერსონაჟებია წინა პლანზე შექმნილი კონტრასტის წყალობით უმაღლესი იპურობენ მნახველის ყურადღებას. მათი სამოსის ვერცხლისფერი, საღვინისფერი, ვარდისფერი და თეთრი ფერი აქა-იქ მუდგერი წითელი ლაქებით არის გაცოცხლებული, ბავშვს ჩაღისფერი თმა აქვს და გამკვივრავლე კანი — და ფერების ეს კეთილშობილი, დახვეწილი და მდიდრული სიმფონია კიდევ უფრო მშვენიერი ჩანს უკანა პლანის შავ ფონზე. რბილი შავი ფერიც კი ვერ ქმნის სიმძიმის ატმოსფეროს, რადგანაც ველასკესის შავი ფერიც ვერცხლისფერი ციმციმიოთაა სავსე.

ველასკესის მაღალმა ხელოვნებამ მხატვარს თანამედროვეთა დიდი აღიარება მოუპოვა. ცნობილია, რომ როდესაც ველასკესი გარდაიცვალა, მეფე ფილიპე IV-მ ველასკესის ავტოპორტრეტს „მენინებში“ საკუთარს ხელით მიახვია წმინდა სებასტიანეს ორდენის წითელი ჭვარი, მაგრამ ვერავითარი ჯილდო ვერ შეედრება იმ თაყვანისცემას, რომელიც ხალხმა მიაგო დიდ მხატვარს.

თეო ჯალალანია,  
ხელოვნებათმცოდნე.